

ჯონ ვითი, ჯრ. და ნინა-ლუიზა აროლდი

გაღლა ასწიეთ ჯვარი?

განსხვავება სახელმწიფო საკუთრებაზე განთავსებული რელიგიური
სიმბოლოების შესახებ ახალ ეპროცესზე და ამერიკულ სასამართლო
გადაწყვეტილებებს შორის

თანხმობა ნამუშევრის ხელახლა გამოქვეყნებაზე მიღებულია ავტორებისაგან, რისთვისაც მათ დიდ მაღლობას
მოვახსენებთ. სტატია პირველად დაიტენდა ემორის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვაში

ჯონ ვითი, ჯრ.

ჯონას რობიჩერის სამართლის პროფესორი, ემორის უნივერსიტეტი.
ალონზო ლ. მაქდონალდის გამოჩენილი პროფესორი, რელიგიისა და
სამართლის სწავლების ცენტრის დირექტორი, ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა.

ნინა-ლუიზა აროლდი

სამართლის ასოცირებული პროფესორი, ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი.
ასოცირებული პროფესორი, რაულ ვალენბერგის ადამიანთა უფლებებისა და
ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტი.

შესავალი

შედარებითი ანთროპოლოგი ვერ ინატრებდა უკეთეს სცენარს: ორი გახმაურებული სასა-
მართლო საქმე, ერთი ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოში და მეორე შეერთე-
ბული შტატების უზენაეს სასამართლოში, თითოეული მათგანი შეიცავს სახელმწიფო სა-
კუთრებაზე ჯვრების ტრადიციულ განთავსებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ევროპის
სასამართლომ ჯვრის განთავსება კონვენციასთან შეუსაბამოდ ცნო. ამერიკის უზენაესმა
სასამართლომ კი ძალაში დატოვა პრაქტიკა. ორივე სასამართლო საქმე პროცედურულად
გართულებული და ფაქტობრივად განსხვავებულია. მაგრამ ამ გადაწყვეტილებების შედა-
რება არის ილუსტრირება იმისა, თუ როგორ იზრდება განსხვავება ევროპისა და ამერიკის
დამოკიდებულებას შორის სახელმწიფო საკუთრებაზე ტრადიციული რელიგიური სიმბო-

ლოებისა და, უფრო ზოგადად, რელიგიური თავისუფლებისადმი. ჩანს, რომ ევროპა როგორც ქრისტიანობის ბურჯი ორი ათასწლეულის განმავლობაში, სეკულარიზაციისა და *laïcité*-ს (ფრანგული სეკულარიზაცია) გაძლიერებისაკენ მიდის, ამერიკა კი, რომელიც ჩემპიონია სახელმწიფოსაგან ეკლესის მკაცრად გამოყოფის საკითხში, როგორც ჩანს, უფრო დიდსულოვნად უდგება მისი რელიგიური ტრადიციებისა და სიმბოლოების განთავსებას.

სასამართლო საქმეში ლუცი იტალიის წინააღმდეგ¹, ორი შვილის დედა, რომლის შვილებიც სწავლობდნენ იტალიის საჯარო სკოლაში, ეწინააღმდეგება იტალიურ ტრადიციას, რომელიც დაიწყო 1924 წელს და რომლის თანახმადაც, თითოეულ სკოლის საკლასო ოთახში² უნდა ყოფილიყო ჯვარცმა. ლუცი დავობდა, რომ ამ აშკარა ქრისტიანული სიმბოლოების მუდმივად გამოფენა კლასში ეწინააღმდეგებოდა მის ათეიისტურ რწმენას, რომლითაც მას უნდოდა, აღეზარდა და განათლება მიეცა თავისი შვილებისათვის³. ამგვარად, იგი მოითხოვდა, რომ ჩამოექსნათ ჯვარცმა⁴. მან მოიგო ეს საქმე იტალიის პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესზე⁵. მაგრამ წააგო იტალიის სხვა შიდა სასამართლოში, რომელმაც განაცხადა, რომ ჯვარი იტალიის ისტორიის, კულტურისა და ინდივიდუალურობის განუყოფელი ნაწილი იყო და რომ თვითონ ჯვარი წარმოადგენდა ყველა შშვიდობიანი რწმენისადმი შეგუების, პლურალიზმისა და თავისუფლებისადმი ერის განსხვავებული თავდადების სიმბოლოს⁶. შემდეგ ლუციმ გაასაჩივრა ეს საქმე ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოში, სადაც დავობდა, რომ იტალია თავისი ქმედებებით არღვევს მისი და მისი შვილების განათლებისა და რელიგიური თავისუფლების უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლითა და მე-9 მუხლის მიხედვით⁷.

2009 წლის 3 ნოემბერს ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს ერთსულოვანმა, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარმა პალატამ საქმე ლუცის სასარგებლოდ გადაწყვიტა⁸. სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის საჯაროდ გამოფენა არღვევს ორივეს, როგორც მშობლების უფლებას, მისცენ განათლება თავიანთ შვილებს მათივე საკუთარი მრწამისის შესაბამისად, ასევე ირლვევა შვილების აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება. ეს უკანასკნელი მოიცავს უფლებას, არ დაექვემდება-

¹ ლუცი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო (2009). [შემდგომში მოვიხსენიებთ ლაცი იტალიის წინააღმდეგ], [http://www.eclj.org/Releases/Read.aspx?GUID=983c3dd3-9c17-4b70-a016-37851446ec0e&s=eur](http://echr.coe.int/echr/Homepage_EN/მიყვევით „Case-Law hyperlink; შემდეგ“HUDOC“ hyperlink; შემდეგ მოქებეთ „Lautsi“/“Case Title“ და „Italy“/“Respondent State“ (გადაეცა დიდ პალატას 2010 წლის 1 მარტს.) მოსმენა გაიმართა 2010 წლის 30 ივნისს. ათიდან რვა მონაწილე სახელმწიფო უქცერდა მხარს იტალიის სახელმწიფოს. ადამიანის უფლების ევროპის სასამართლო, ჯვარცმის საქმე: ევროპის ოცმა ქვეყნამ დაუჭირა მხარი ჯვარცმას, ევროპის ცენტრი კანონი და სამართლიანობისთვის(21 ივნისი ,2010), <a href=).

² იხ. ლუცი იტალიის წინააღმდეგ, იხ.ზემოთ შენიშვნა 1, § 1,3,20.

³ იხ.იგივე, § 1, 7.

⁴ იგივე, § 1, 7.

⁵ იხ. იგივე, § 13-15.

⁶ იხ. ანდრეა პინი, საჯარო სკოლა, იტალიური ჯვარცმა და ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო: ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფა იტალიაში, 25, ემორის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა, 95, 102 (2011).

⁷ ლუცი იტალიის წინააღმდეგ, იხ.ზემოთ შენიშვნა 1. პარ 3,27; იხ. შენიშვნა ქვემოთ 65-69 და თანდართული ტექსტი.

⁸ ლუცი -იტალია, იხ.ზემოთ შენიშვნა 1, § 70.

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

როს ძალდატანებას რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და წესების დაცვისთვის⁹. სასამართლომ ლუცისათვის დაადგინა 5000 ევრო ზიანის ანაზღაურების სახით¹⁰. იტალიამ გაასაჩივრა და გამოთქვა შეშფოთება, რომ ეს იყო მისი ეროვნული კულტურისა და ტრადიციებისა შეურაცხყფა¹¹.

2010 წლის 30 ივნისს ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს დიდმა პალატამ დამატებითი არგუმენტები მოისმინა ამ საქმესთან დაკავშირებით¹². სულ ცოტა, ოცმა ევროპულმა სახელმწიფომ საჯაროდ გამოხატა იტალიისადმი თავისი მხარდაჭერა და გაიზიარა მისი კრიტიკა ევროპის სასამართლოს პირველი პალატის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით¹³. ლუცის საქმე განსახილველად მიიღო დიდმა პალატამ და დაექვემდებარა ინტენსიური ლობირების ზეწოლას ორივე მხრიდან.

2011 წლის 18 მარტს, ზუსტად მაშინ, როცა ეს სტატია საბოლოოდ უნდა დაბეჭდილიყო, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს დიდმა პალატამ გააუქმა ქვედა პალატის გადაწყვეტილება და 15-ით 2-ის წინააღმდეგ იტალიის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე და, სულ ცოტა, შეაჩერა მაინც ის თანმიმდევრული მარში, რომელიც მიმართული იყო სეკულარიზაციისა და laicite-s¹⁴ გაზრდისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტატია წარმოადგენს პირველადი სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზს უფრო ადრეული ევროპის სასამართლოს საქმეების ფონზე, ჩვენ დიდი პალატის სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობას აგსახავთ დასკვნაში და გაჩვენებთ მზარდ შესაბამისობას აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელ პრეცედენტულ სამართალთან.

საქმეში სალაზარი ბუონის¹⁵ წინააღმდეგ, ეროვნული პარკის გადამდგარი მუშა კალიფორნიის შტატის¹⁶ ეროვნულ პარკში ჯვრის განთავსების წინააღმდეგ დავობდა. საგარეო ომების ვეტერანებმა ("VFW"), რომლებიც წარმოადგენდნენ კერძო ჯგუფს, შეწირეს და აღმართეს ჯვარი 1934 წელს, როგორც ომში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების¹⁷ მემორიალი. ჯვარი განცალკევებით იდგა და ჩანდა ჰორიზონტზე¹⁸. ჯვრის ძირში პატარა ნიშანი მიუთითებდა რომ იგი საგარეო ომების ვეტერანების შემოწირულობა იყო¹⁹. ბუონომ აღძრა სარჩელი, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო მიწაზე ჯვრის არსებობა წარმოადგენდა რელიგიის დაწესებას აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების დებულე-

⁹ იხ. იგივე, § 55-56.

¹⁰ იგივე, § 70.

¹¹ ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო ჯვარცმის საქმე: ევროპის ოცმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი ჯვარცმას, იხ.ზემოთ შენიშვნა 1.

¹² იგივე.

¹³ იხ. იგივე, ოცი სახელმწიფოს სრული სისათვის.

¹⁴ ლუცი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო (2011) [ამის შემდეგ ლუცი II], http://echr.coe.int/echr/Homepage_EN (მოყვეთ „Case-Law hyperlink; შემდეგ „HUDOC“ hyperlink; შემდეგ მოძებნეთ „Lautsi“/„Case Title“ და Italy/„Respondent State“).

¹⁵ სალაზარი ბუონის წინააღმდეგ, 130 უზენაესი სასამართლო (2010).

¹⁶ იგივე, 1812-ზე.

¹⁷ იგივე, 1811-ზე.

¹⁸ იგივე, 1812-ზე.

¹⁹ იგივე, ნოვემბერი მას შემდეგ ჩამოდებულია და ჯვარი ამჟამადაც დგას.

ბის²⁰ დარღვევით. ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯვრის გამოფენა იყო არაკონსტიტუციური²¹. კონგრესმა ამის პასუხად ფედერალური მიწის პატარა ნაკვეთი ჯვართან და მის მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად გადასცა ვეტერანებს ახლომდებარე კერძო მიწის ზოლის ნაცვლად, რომელიც დაემატა ეროვნულ პარკს²². რაიონულმა სასამართლომ გამოაცხადა ეს კონსტიტუციური პრობლემის მოგვარება „ფარსად“ და გაიმეორა თავისი სასამართლო აკრძალვა, რომ ჯვარი უნდა მოხსნილიყო²³. საბოლოოდ ეროვნული პარკის სამსახურმა მიმართა უზენაეს სასამართლოს²⁴.

უზენაესმა სასამართლომ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ ჯვარი უნდა დარჩენილიყო²⁵. უმრავლესობის სახელით მოსამართლე კენედის მიერ დაწერილ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ რაიონულ ფედერალურ სასამართლოს კონგრესისთვის მიწის გაყიდვის აკრძალვისთვის ცალკე კონსტიტუციური კვლევა უნდა ჩატარებინა, რათა დაედგინა, ხომ არ დაარღვია კონგრესმა პირველი შესწორებით გათვალისწინებული რელიგიის დაწესების დებულება, ამისთვის უბრალოდ ვარაუდის გაკეთება, რომ მიწის გაყიდვა იყო „ფარსი“, სასამართლოს პირველი გადაწყვეტილებისთვის²⁶ თავის ასარიდებლად არ იყო საკმარისი. კონგრესი შეეცადა გადაეჭრა დილემა, რომელიც შექმნა რაიონულმა სასამართლომ: ის ვერ დატოვებდა ჯვარს სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, მისი მოხსნა კი იქნებოდა იმ დალუპული ჯარისკაცებისადმი უპატივცემულობის გამოხატვა, რომელთა პატივსაცემადაც დაიდგა ეს ჯვარი. მიიჩნია რა რომ არც ერთი ალტერნატივა არ იყო დამაკმაყოფილებელი,“ კონგრესმა ამის სანაცვლოდ მიჰყიდა მიწა და ჯვარი კერძო მხარეს²⁷. რაიონულ სასამართლოს ახლა მოუწევდა არსებითად განეხილა კონგრესის მოქმედების კონსტიტუციურობა²⁸. მოსამართლე კენედის აზრით, რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის რეალობა, რომ თუმცადა ჯვარი „მართლაც ქრისტიანობის სიმბოლოა“, იგი აღმართეს პარკში არა როგორც „ქრისტიანული მრწამსის ხელშეწყობისთვის“, ან როგორც „სახელმწიფოს სანქციის დაწესება გარკვეულ კრედობების მათ ვინც აღმართეს ეს ჯვარი განზრახული ჰქონდათ უბრალოდ გამოხსატათ პატივისცემა ჩვენი ქვეყნის დალუპული ჯარისკაცებისადმი“²⁹. რაიონულ სასამართლოს მოუწევდა შემდგომში ელიარებინა, რომ „დრომაც ითამაშა თავისი როლი“ და რომ „ჯვარი და მიზეზი, რომლის პატივსაცემადაც ის აღიმართა, ერთმანეთშია გადაწნული ხალხის ცნობიერებაში და წარმოადგენს „ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის“³⁰ ნაწილს.

²⁰ იგივე, აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება („კონგრესი არ გამოუშვებს კანონს, რომელიც შეეხება რელიგიის დაწესებას...“).

²¹ სალაზარი, 130 უზენაესი სასამართლო, 1812.

²² იგივე, 1813-ზე.

²³ ბურნ კემპტონის წინააღმდეგ (ბურნ IV), 502 F.მე-3, 1069,1077-78(მე9 საოლქო2009); ის. ადამ ლინკერი, როგორ ახერხებს სალაზარი-ბურნის საქმე დაწესების დებულების პრეცედენტის ერთ ტესტად სინთეზირებას), 25 ემორის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა .. 57, 79 (2011).

²⁴ სალაზარი, 130 უზენაესი სასამართლო, გვ. 1814.

²⁵ იგივე, გვ. 1821.

²⁶ იგივე, გვ. 1814-21.

²⁷ იგივე, გვ 1809.

²⁸ იგივე, გვ. 1820-21.

²⁹ იგივე, 1816-17.

³⁰ იგივე, გვ. 1817.

ამ საქმეებს შორის კონტრასტი ირონიულია და განსაცვიფრებელი. ირონიულია ის, რომ იტალიას, ქვეყანას რომელიც გაჯერებულია ქრისტიანული სიმბოლოებით, უბრძანეს, რომ უარი ეთქვა ჯვრებზე, მაშინ როცა კალიფორნიას, რომელიც ცნობილია ჰოლივუდური სეკულარიზმითა და ავანგარდული კულტურით, შეუძლია შეინარჩუნოს ჯვარი. ირონიულია ის, რომ მრავალი საუკუნის კულტურული ადაპტაციისა და განვითარების შემდეგ იტალიაში ჯვარს ჯერ კიდევ განიხილავენ როგორც შეურაცხმყოფელ რელიგიურ სიმბოლოს, მაშინ როცა ამერიკაში რამდენიმე დეკადის შემდეგ მემორიალურ ჯვარს განიხილავენ, როგორც ღრმად ჩაქსოვილს ამერიკელი „ხალხის ცნობიერებაში“ და „ეროვნულ მემკვიდრეობაში“, რომლის მოშორება შეუძლებლადა მიჩნეული³¹. და ირონიულია ის, რომ ევროპის სასამართლომ, რომელიც მოქმედებს რელიგიის დაწესების პირდაპირი აკრძალვების გარეშე, უარყო ჯვარი, მაშინ როცა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, რომელიც შეიარაღებულია მკაფიო კონსტიტუციური მითითებით, რომ „კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც დააწესებს რელიგიას“³² დაუშვა, რომ ჯვარი მდგარიყო იმ მიწაზე, რომელსაც აკონტროლებდა კონგრესი.

რაც ირონიას და განცვიფრებას არ იწვევს ის არის, რომ ლუცის სასამართლო ასე მტკიცედ დადგა საჯარო სკოლის მიდამოებში ჯვრის საჯაროდ განთავსების წინააღმდეგ. ახალგაზრდა სტუდენტები, რომლებზეც შეიძლება შთაბეჭდილების მოხდენა და რომლებსაც ხშირად აიძულებენ სკოლაში დასწრებას, ზოგადად მტკიცნეულად აღიქვამენ რელიგიურ წენებსა და ძალდატანებას და დასავლეთის სასამართლოები უკვე დიდი ხანია გულმოძგინეთი იცავენ მათ რელიგიის თავისუფლების სახელით. სინამდვილეში, სალაზარის საქმემდე ექვსი დეკადის განმავლობაში, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა საჯარო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების გამოყენება, ისევე როგორც ლოცვები, ბიბლიის კითხვა და რელიგიური სწავლება³³. მთელმა რიგმა ევროპულმა ერებმა, გარდა იტალიისა, იგივე გააკეთა³⁴. ეს გვაციქრებინებს, რომ ლუცის მაგალითით, რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, ამერიკული და ევროპული სამართალი უფრო მეტად უახლოვდება ერთმანეთს, ვიდრე შორდება და ეს დამატებით საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლუცის საქმე, მიუხედავად მისი სეკულარიზაციისა და laicite-ის მკაცრი გამოხატულებისა, შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საჯარო სკოლებით თავის განაცხადში და არ გახდება წინგადადგმული ნაბიჯი მოლიპულ ფერდობზე, რომელიც მიდის ევროპის უფრო დიდი სეკულარიზაციისკენ, რისი შიშიც ზოგიერთ კრიტიკოსს აქვს. დაბოლოს, მიუხედავად მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე საკონსტიტუციო ლოგიკისა ეკლესიისა და სახელმწიფოს მკაცრად გამიჯვნის³⁵

³¹ იგივე.

³² აშშ კონსტიტუციის 1-ლი შესწროება.

³³ იხ. ჯონ ვითი, ჯრ. და ჯოელი. ა. ნიკოლას, რელიგია და ამერიკის კონსტიტუციური ექსპერიმენტი 223-40 (მე-3 გამოცემა 2011).

³⁴ იხ.მაგ., Bundesverfassungsgerichts [BVerfG] [ფედერალური კონსტიტუციური სასამართლო] 16 მაისი, 1995, 93 ENTSCHEIDUNGEN DES BUNDESVERFASSUNGSGSGERICHTS [BVerfGE] I (გერმანია) [ამის შემდეგ გერმანიის ჯვარცმის საქმე] ხელმისაწვდომია http://www.utexas.edu/law/academics/centers/transnational/work_new/german/case.php?id=615 (საკლასო ოთახის ჯვრცმის საქმის თარგიბინ) [განონი ბავრისის საჯარო სკოლებში ჯვრცმის გამოყენის წინააღმდეგ] ზოგადად იხ. საჯარო სკოლებში რელიგიური განათლება: შედარებითი სამართლის კვლევა (ხოსე ლუსის მარტინესი ლოპეზ-მუნისის და სხვათა რედაქტორობით. 2006) (დისკუსია ევროპის რელიგიისა და განათლების თავისუფლების საკითხებზე).

³⁵ იხ. ჯონ ვითი, ჯრ. ფაქტები და ბელეტრისტიკა სახელმწიფოსა და ეკლესიის გამოყოფის ისტორიის შესახებ, 48 სამართლი, ეკლესიისა და სახელმწიფო 15,15-46 (2006).

შესახებ, რომელიც აისახა რელიგიისა და საჯარო სკოლების ბევრ სასამართლო საქმეში, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ იშვიათად გამოიყენა ეს საქმეები როგორც პრეცედენტი, რათა უკანონოდ მიეჩნია ღია რელიგიური გამოხატვა, რელიგიის თავისუფლების რეალიზება და ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში³⁶. განსაკუთრებით ბოლო წლებში უზენაესმა სასამართლომ მოზღვავებული ნეოფედერალური ენერგიით გამოიჩინა მორიდება სახელმწიფოს და ადგილობრივი ოფიციალური პირების ქმედებებისადმი რელიგიისათან დაკავშირებით, როცა ამ ქმედებებს ასაჩივრებდნენ პირველი შესწორების დებულებასთან მიმართებით³⁷. ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლომ შესაძლოა ანალოგიურად შეზღუდოს ლუცის საქმის ეფექტი მხოლოდ საჯარო სკოლებით თავისი პარალელური დოქტრინის გამოყენებით, როგორიცაა ფედერალიზმი და შეფასების თავისუფლება იმ ეროვნული ტრადიციებისა და ჩვეულებითი პრაქტიკის მიმართ, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების გარანტიების დარღვევად აფასებენ³⁸.

„სამთავრობო საკუთრებაზე რელიგიური სიმბოლოების“ შესახებ მინი-სიმპოზიუმის მთავარი მიზანია ამ საკითხების უფრო სიღრმისეული გამოკვლევა. სტატიის მომდევნო ნაწილებში ავტორები ლუცისა და სალაზარის საქმეებს მიუჩენენ სათანადო ადგილს ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს არსებულ პრეცედენტულ სამართალში. როგორც აღმოჩნდა, ლუცის საქმე წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სიტყვას, რომელიც თქმულა ამ საკითხზე. ევროპის სასამართლოს ბევრი საქმე რელიგიის თავისუფლებისა და განათლების უფლების შესახებ დაკავშირებული იყო საჯარო სკოლებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ინდივიდუალურ გამოხატვასთან რელიგიური სამოსისა და მორთულობის სახით³⁹. სალაზარის საქმე კი პირიქით ბოლოა უზენაესი სასამართლოს ერთმანეთში გადაწყვეტილი საქმეების⁴⁰ სამდეკადიან სერიაში. როგორც ჩანს, ეს არის სასამართლოს მიერ უკან დახევის სიგნალი თავისი პირველადი მიდგომისცენ, რომლითაც ძველი რელიგიის სიმბოლოების განთავსება საზოგადოებრივ ადგილებში დასაშვები იყო, თუმცა ეს არ ეხებოდა საჯარო სკოლებს⁴¹.

ორი ექსპერტი გვაწოდებს ლუცისა და სალაზარის საქმეების სიღრმისეულ ანალიზს და არკვევენ, რისი ბედი წყდება თითოეული სასამართლოს პრაქტიკაში. ადამ ლინკნერი, კონსტიტუციური სამართლის ბრწყინვალე ექსპერტი, რომელიც ახლა გამოჩენილი ფედერალური მოსამართლის თანაშემწევა, დასაწყისიდანვე ჩართული იყო სალაზარის საქმეში. ის ხაზს უსვამს იმას თუ რამდენად განსხვავებულად იმსჯელა ქვემდგომმა ფედერალურმა სასამართლომ სწორედ იმ საკითხზე რაზეც სალაზარის საქმეში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ხმები გაიყო – სამთავრობო საკუთრების გაყიდვა, რომელიც შეიცავს თვალ-

³⁶ იგივე.

³⁷ ვითი & ნიკოლასი, იხ, ზემოთ შენიშვნა 33, გვ. 186.

³⁸ იხ. ჯორჯ ლეტსასი. ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციის თეორია 80 (2007); ჰოვარდ ს. იოუროუ, შეფასების თავისუფლების დოქტრინა ადამიანთა უფლებების ევროპის იურისპრუდენციის დინამიკაში 13 (1996).

³⁹ იხ. ქვემოთ, ტექსტი, რომელიც ახლავს შენიშვნას 128-56.

⁴⁰ იხ. ქვემოთ, ტექსტი, რომელიც ახლავს შენიშვნას 387-89.

⁴¹ იხ. ქვემოთ, ტექსტი, რომელიც ახლავს შენიშვნას 411-23.

შისაცემ რელიგიურ სიმბოლოებს, არის თუ არა ნებადართული პირველი შესწორების დებულების⁴² მიხედვით. სალაზარის საქმის რეალური პრობლემა, როგორც იგი განსჯის, არის ის, რომ უზენაესმა სასამართლომ არასაკმარისი ხელმძღვანელობა გაუწია რაიონულ სასამართლოს, რომელსაც საქმე უკან დაუბრუნდა განსახილველად, რათა განესაზღვრათ კონგრესის მიწის გაყიდვის კონსტიტუციურობა⁴³. ლინკნერმა ამ გზით ჭკვიანურად გამოიყენა ერთმანეთზე გადაბმული ექვსდეკადიანი უზენაესი სასამართლოს მიღომები რელიგიის დაწესების დებულებისადმი და მიიღო უფრო მეტად გამოიყენებადი და პროგნოზირებადი ტესტი „პერსპექტივა შიგნიდან/პერსპექტივა გარედან“. ის ამაყად ახდენს დემონსტრირებას, რომ თავად სალაზარის საქმის მრავალრიცხოვან მოსაზრებებშიც ჩანს ამ ტესტის გამოიყენება⁴⁴. პირველ რიგში, ეს ტესტი მოითხოვს, რომ სასამართლომ განიხილოს, იყო თუ არა მთავრობის „მთავარი მიზანი“ ან განზრახვა რელიგიისთვის სარგებლის, ხელშეწყობის ან პრივილეგირებული მდგომარეობის მინიჭება⁴⁵. ეს არის შიდა პერსპექტივის კვლევა“, რაც დაკავშირებული იყო ხელისუფლების ყველა იმ მტკიცებულების შემოწმებასთან, რაც ხელისუფლებამ გაითვალისწინა თავის რელიგიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასა და ქმედებაში⁴⁶. მეორე ტესტი მოითხოვს სასამართლოსგან იმის შეფასებას, გარედან, გონიერი დამკვირვებელი თუ მიიჩნევდა, რომ ხელისუფლების მოქმედების პირველადი ეფექტი რელიგიის წახალისება იყო⁴⁷. გარე პერსპექტივიდან კვლევის ჩატარებისას, ვუყურებთ ხელისუფლების ქმედების შედეგს კონტექსტში და განვსაზღვრავთ, ის არსებითად ხომ არ ახდენს არარელიგიურ გამოვლინებებთან შედარებით რელიგიის მხარდაჭერას, ხელშეწყობას და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას⁴⁸. როგორც ლინკნერი ამტკიცებს, ესენი წარმოადგენენ განცალკევებულ კითხვებს. მთავრობის ქმედება რელიგიასთან დაკავშირებით უნდა იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი, თუ მისი მთავარი მიზანი ან ძირითადი ეფექტი რელიგიისთვის სარგებლის მომტანია⁴⁹. ლინკნერის აზრით, ისე აშკარად ჩანდა კონგრესის მიწის გაყიდვის სარგებლიანობა რელიგიისათვის, რომ ის ვერ უძლებს შიდა და გარე პერსპექტივიდან გამოკვლევას⁵⁰. დაბოლოს, ლინკნერი ფიქრობს, სალაზარი არ არის მართალი და რომ ჯვარი უნდა მოიხსნას. მისთვის მისაღებია ბოლო პერიოდში გადაწყვეტილი სასამართლო საქმე – თრანქი ქალაქ სან დიეგოს წინააღმდეგ, სადაც მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სალაზარის პრეცედენტი არ უნდა გამოეყენებინა განსხვავებული გარემოებების გამო და ბრძანა დიდი ჯვრის მოხსნა, რომელიც კერძო შემოწირულობა იყო შეერთებული შტატებისადმი თითქმის საუკუნის წინ, ახლა კი წარმოადგენდა ფედერალური მთავრობის საკუთრებას – გარე პერსპექტივიდან, მეცხრე საოლქო სასამართლომ მიიჩნია რომ, ჯვრის ძირითადი ეფექტი რელიგიის წახალისება იყო⁵¹.

⁴² ლინკნერი, იხილე ზემოთ შენიშვნა 23, გვ.57-65.

⁴³ იგივე, 58-59.

⁴⁴ იხ. იგივე, 70-72.

⁴⁵ იგივე, გვ. 59-60.

⁴⁶ იგივე.

⁴⁷ იგივე.

⁴⁸ იგივე.

⁴⁹ იხ. იგივე, გვ. 81-83.

⁵⁰ იგივე, გვ. 92.

⁵¹ იხ. იგივე, სხვადასხვა აღვილზე; თრანკი სანდიეგოს წინააღმდეგ, 629 ფ3.დ1099, 1125 (მე-9 ფედერალური საოლქო

ანდრეა პინი, გამორჩეული კონსტიტუციური სამართლის პროფესორი პადუას უნივერსიტეტში, თვალს ადევნებდა, თუ როგორ წარმოიშვა ლუცის საქმე იტალიის იმ რაიონში, სადაც პინი სწავლობდა ბავშვობაში და სადაც იგი ასწავლის როგორც სამართლის პროფესორი. პინი გვთავაზობს იტალიის კონსტიტუციური ისტორიისა და კულტურული ბრძოლის ვრცელ და ღრმა ანალიზს რელიგიის თავისუფლების, კათოლიკური ეკლესიისა და იტალიის სახელმწიფოს შორის ცვალებადი ურთიერთობისა და laicita-ს იტალიური სტილის უნიკალური გაგების შესახებ(რაც განსხვავდება ფრანგული სტილის laicite-საგან)⁵². პინი შემდეგ ერთმანეთს უპირისპირებს რელიგიური სიმბოლიზმის იტალიურ კონსტიტუციურ სამართლსა და ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს განვითარებად იურისპრუდენციას რელიგიური თავისუფლების შესახებ⁵³. პინი ლუცის საქმეს მიიჩნევს, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის სასამართლო საქმეს, რომელიც გამოხატავს მზარდ დაძაბულობას იტალიასა და ევროპას შორის, რელიგიურ ტრადიციებსა და არარელიგიურ თანამედროვეობას შორის, ასევე გამოხატავს დაძაბულობას რელიგიისა და სახელმწიფოს ფართო კონსტიტუციურ თანხმობასა და სეკულარისტების განვითარებად უფლებას შორის, ვეტო დაადონ ამ ფრთხილად ჩამოყალიბებულ ეროვნულ შეთანხმებებს ევროპის რელიგიის თავისუფლების სახელით⁵⁴. დაბოლოს, პინი ფიქრობს რომ ლუცის საქმესთან დაკავშირებით პალატის თავდაპირველი გადაწყვეტილება მცდარია და ჯვრები უნდა დარჩეს. იგი ამგვარად მიესალმება დიდი პალატის სასამართლოს გადაწყვეტილებას⁵⁵.

ეს ორი მუხლი ერთად გვაძლევს იმ სირთულეების ილუსტრირებას, რომლებიც თან სდევს სამთავრობო მიწაზე რელიგიური სიმბოლოების არსებობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს და აჩვენებს, როგორ შეიძლება სერიოზულ ექსპერტებსა და მოსამართლეებს საწინააღმდეგო შეხედულებები გააჩნდეთ ამ საკითხებზე და დამაჯერებელი არგუმენტები მოჰკავდეთ თითოეული მათგანისათვის, ადგილია იყო ცინიკური ამ სასამართლო საქმეების მიმართ – შეიძლება იმის თქმა, რომ ეს არის აურგზაური არაფრის გამო ან საზოგადოებრივ პრობლემებზე სასამართლოში დავის წარმოების მსურველების და კულტურული თავისებურებების მოწინააღმდეგებებისთვის ძვირადღირებული მუდმივი განხილვის საგანი. მაგრამ, ეს შეხედულება სათანადოდ ვერ აფასებს უჩვეულო ფუფუნებას დასავლეთში, რომ აქ შესაძლებელია რელიგიურ სიმბოლოებზე კულტურული დავა სასამართლოებსა და აკადემიებში და არა ქუჩებსა და საბრძოლო მოედნებზე. გასულ საუკუნეებში დასავლეთში და მსოფლიოს ბევრ რეგიონში დღესაც რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებული დავა ხშირად მიდის ძალმომრეობამდე და ზოგჯერ საომარ მოქმედებამდე⁵⁶, რადგან რელიგიური და კულტურული სიმბოლოები ხშირად მოიცავს და აღვიძებს ღრმა პიროვნულ და საზოგადოებრივ ემოციებს. დაფიქრდით, რა შეიძლება მოხდეს, თუ ვინმე თავს დაესხმის ან დაამახინჯებს ხატს, დროშას, საყვარელი ადამიანის

სასამართლო, 2011).

⁵² პინი, იხილე ზემოთ შენიშვნა 6, 110-35.

⁵³ იგივე, 117-20.

⁵⁴ იხ. იგივე, 141-49.

⁵⁵ იხ. იგივე სხვადასხვა ადგილზე.

⁵⁶ იხ. რენ ჯერარდი, საღმრთოობა და ძალმომრეობა (1977); სამუელ აზარია, რელიგიური არატოლერანტობის ძალმომრეობა, ეკლესიის მსოფლიო საბჭო, <http://www.wec-coe.org/wec/what/jpe/echoes-18-06.html> (ბოლო ვიზიტი 2 აპრილი, 2011).

საფლავს ან დაღუპული გმირის მემორიალს. ამ ჯვრების საქმეებში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამის ბედი წყდება, ვიდრე ერთად შეკრული რამდენიმე ხის ნაჭერია. ეს საქმეები წარმოადგენს მნიშვნელოვან ფორუმს, სადაც ჩვენი კულტურული განსხვავებულობის მიუხედავად, ერთად უნდა ვიმუშავოთ და მშვიდობიანად გადავჭრათ საკითხები, თუ რომელი ტრადიცია და ჩვეულებითი საქმიანობა უნდა გაგრძელდეს და რომელი უნდა შეიცვალოს.

I. რელიგიური თავისუფლება და რელიგიური სიმბოლოები ევროპის კონვენციაში და აღამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში

ლუცი არის არსებითად პირველი გადაწყვეტილება აღნიშნულ სამართლებრივ საკითხზე, თუმცა იგი სასამართლო პრაქტიკაში განვითარებულ რამდენიმე მიდგომას ეყრდნობა. ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს ადამიანის უფლებების შესახებ ევროპის კონვენციაში და იმ პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოში სარჩელების გადასაწყვეტად კონვენციის მიხედვით. ჩვენ განვიხილავთ სასამართლოს შესაბამის საქმეებს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებაზე და განათლებისა და გამოხატვის უფლებებზე. თითოეული ქვეთავის ბოლოს მოკლედ მიმოვიხილავთ გზებს, თუ როგორ შეიძლება ეს პრეცედენტები ისე იქნეს გამოყენებული, რომ ლუცის საქმის ორივე მხარის მხარდაჭერისთვის გამოდგეს, ახლა უკვე დიდი პალატის წინაშე.

ა. დებულებები და პროცედურები

ევროპის საბჭოს ძირითადი ინსტრუმენტი, ადამიანის უფლებებზე 1959 წლის ევროპის კონვენცია („ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“) სავალდებულოა ამჟამად ყველა ორმოცდაშვიდივე წევრი-სახელმწიფოსათვის⁵⁷. ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო, („სასამართლო“ ან „ევროპის სასამართლო“), რომელიც რეფორმირებული იქნა 1998⁵⁸ წელს, კონვენციის ძირითადი ინტერპრეტატორია⁵⁹. ეს წარმოადგენს მუდმივმოქმედ და სრულად ფუნქციონირებად საზედამხედველო ორგანოს, რომლის მომსახურე პერსონალი

⁵⁷ იბ. ადამიანთა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების კონვენცია, მუხლი 46, ხელი მოეწერა 4 ნოემბერს, 1959, უ.ნ.ტ.ს. 221 [შემდგომ მოხსენიებული იქნება, როგორც „ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენცია“] (ძალაშია 1953 წლის 3 სექტემბრიდან).

⁵⁸ იბ.ზოგადდ ადამიანთა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი 11, რომლითაც განხორციელდა ევროპული ზედამხედველობის მექანიზმის რეკონსტრუქცია, ხელი მოეწერა 11 მაისს, 1994 წელს, ე.ტ.ს. 155 [შემდგომში მოხსენიებულია როგორც ოქმი ნო. 11] (ძალაში შევიდა 1 ნოემბერს, 1998) (ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაში ცვლილებების შესატანად).

⁵⁹ იგივე მუხლი 19.

შედგება 47 მოსამართლისაგან, რომელიც წარმოადგენენ თითოეულ სახელმწიფოს და მათთან ერთად 640 მოხელისაგან⁶⁰. სასამართლოს ძირითადი ამოცანაა, მოისმინოს საქმეები, რომლებიც განსაზღვრავენ, არღვევენ თუ არა წევრი სახელმწიფოები უფლებებს, რომელთა გარანტიასაც ადამიანებს აძლევს კონვენცია⁶¹. 1998 წლის შემდეგ ნებისმიერი პირი, რომელიც ხვდება ევროპის რომელიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, უფლებამოსილია, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევაზე აღძრას სარჩელი და წარადგინოს პირდაპირ სასამართლოში⁶². თუმცა სასამართლო ხშირად ადგენს, რომ იგი არ არის საზოლოო ინსტანციის სასამართლო, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებები⁶³.

ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი არის მთავარი დებულება რელიგიური თავისუფლების შესახებ⁶⁴. ის იძლევა გარანტიას რომ:

1. ყველას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება შეიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებთ.
2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად⁶⁵.

ევროპის სასამართლომ ცხადყო, რომ რელიგიური თავისუფლებას „მოიცავს სხვათა შორის, თავისუფლებას, ჰერენდეს ან არ ჰერენდეს პირს რელიგიური რწმენა და იცხოვროს ან არ იცხოვროს რომელიმე რელიგიის შესაბამისად“⁶⁶. მან ასევე განაცხადა რომ ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის მუხლი 9 (2) შეიცავს ამომწურავ სიას იმ საფუძვლებისა, რომელზე დაყრდნობითაც შეუძლია ხელისუფლების წარმომადგენელს დააწესოს შეზღუდვები რელიგიის თავისუფლებაზე⁶⁷.

⁶⁰ იხ.სამდივნოს როლი, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, <http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/The+Court/How+the+Court+works/The+Registry> (ბოლო ვიზიტი 20 მარტი, 2011).

⁶¹ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, სასამართლოს მოკლე აღწერა, (2010) ხელმისაწვდომია http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/DF074FE4-96C2-4384-BFF6-404AAF5BC585/0/Brochure_en_bref_EN.pdf.

⁶² იგივე.

⁶³ იხ.ნინა-ლუიზა აროლდი, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს სამართლებრივი კულტურა 31 (2007) (სასამართლოს ზოგადი მუშაობისა და წევრ-სახელმწიფოებთან ურთიერთობის ანალიზი).

⁶⁴ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია, იხ. ზემოთ შენიშვნა 57, მუხლი 9.

⁶⁵ იგივე, მუხლი 9.

⁶⁶ ბეჭედითი სარინოს წინააღმდეგ, 1999-1 ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 605, 616

⁶⁷ დევიდ.ჯ. ჰარისი, მაიქლ ო'ბორლე და ქოლონ ვარბრიკი, ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციის სამართლი 435 (მე-2 გამოცემა, 2009); ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციის თეორია და პრაქტიკა 768 (პიეტერ ვან დაიკისა და სხვების რედაქტორობით, , მე-4 გამოცემა, 2006).

ევროპის კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი არის მე-9 მუხლის რელიგიური თავისუფლების გარანტიის შევსება განათლების საქმეებში⁶⁸. მე-2 მუხლი ითვალისწინებს: არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული, მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება⁶⁹. გარდა ამისა, კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიურ საფუძველზე⁷⁰ და მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს რელიგიურ და ანტირელიგიურ გამოხატვას⁷¹.

რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები, რომლებიც წარმოიშვა მე-9 მუხლის საფუძველზე, ასე თუ ისე, ცოტაა ადამიანთა უფლებების სხვა სფეროებთან შედარებით⁷². 1959 წლიდან 2009 წლამდე, ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოში (და მის წინამორბედში) სულ მთლიანად იყო ოცდაათი შემთხვევა ამ მუხლის დარღვევისა⁷³, მათგან ხუთი მოხდა მხოლოდ 2009 წელს⁷⁴. ამასთან შედარებით, იგივე 45 წლის განმავლობაში სასამართლომ განიხილა მე-6 მუხლის 4008 დარღვევა სასამართლო წარმოების ხანგრძლივობასა და სამართლიანობასთან⁷⁵ დაკავშირებით და სასამართლოს აქვს დაახლოებით 140 000-მდე განცხადება, რაც გადასაწყვეტია⁷⁶. თუმცადა რელიგიური თავისუფლების შესახებ საქმეები მცირერიცხოვანია, მე-9 მუხლის დარღვევა მაინც წარმოადგენს მწვავე საკითხს⁷⁷ და თავის ტკივილს, რომლითაც დაკავშებული არიან ევროპელი მოსამართლეები.

⁶⁸ ადამიანთა უფლებებისა და უნდამენტურ თვისუფლების დაცვის კონვენციის პროტოკოლი მუხლი 2, ხელი მოწერა 3 მარტს, 1952, ე.ტ.ს. 2009 [შემდგომში მოიხსენება როგორც ოქმი N. 1] (ძალაში შევიდა 18 მაისს, 1954).

⁶⁹ იგივე.

⁷⁰ ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, შენიშვნა ზემოთ 57, მუხლი 14 („კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია დისკრიმინაციის გარეშე, წესისმიერ საფუძველზე. როგორიცაა სქესა, რასა, ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა სახის შეხედულებები, ეროვნული და სოციალური წარმოშობა, ეროვნულ უმცირესობასთან კაშშირი, საკუთრება, დაბადებისა და სხვა სტატუსები“).

⁷¹ იგივე, მუხლი 10(1) („ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება ითვალისწინებს აზრის არგამოთქმის, ინფორმაციის მიღების ან გაცემის თავისუფლებას სახალხო ავტორიტეტების ჩარეცის გარეშე და ზღვარის მიუხედავად“).

⁷² იხ. ნინა-ლაიბა აროლდი, ზედაპირული ნორმატიული დეფექტის აღმოფხვრა: სტრასბურგი ცვლის შვედურ სამართლებრივ კულტურას, სამართლი და რელიგია 21-ე საუკუნეში: საკანდინაციური პერსპექტივები 275,278 (Lisbet christoffersen და სხვა ელექტრონული მონაცემები, 2010).

⁷³ საჯარო ურთიერთობების სამსახური, ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო, 50 წლის საქმიანობა: ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს რამდენმე ფაქტი და ციფრები 15 (2010) [შემდგომში მოხსენებულია როგორც 50 წლის საქმიანობა ხელმისაწვდომია: <http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/ACD46AOF-615A-48B9-69D6-8480AFCC29FD/0/FactsAndFiguresENAvt2010.pdf>].

⁷⁴ საჯარო ურთიერთობების სამსახური, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, დარღვევა მუხლის და ქვენის მიერ 2 (2009), ხელმისაწვდომია http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/E6F73EC8-AF6A-4205-BAF2-F6043F651/0/Tableau_de_violation_2009_ENG.pdf.

⁷⁵ აქტიურობის 50 წელი, შენიშვნა ზემოთ 73,15-ზე, სალიშტულია 4008 საქმე რომლებიც შეეხება სამართალწარმოების ხანგრძლივობას და დაბატებით 3207 საქმე, რომელიც შეეხება სამართლიან და დროულ სასამართლო პროცესს ადამიანთა უფლებების მე-6 მუხლის მიხედვით 1959 და 2009 წლებს შორის).

⁷⁶ იხ. საჯარო ურთიერთობების სამსახური, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, სასამართლოსთვის გადაცემული გადასაწყვეტი საჩივრები (2010) ხელმისაწვდომია http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/99F89D38-902E-4725-9D3D-4A8BB74A741/0/Pending_application_chart.pdf (2010 წლის დეკმბერში 139.650 გადასაწყვეტი საჩივრი იყო).

⁷⁷ იხ, ზოგადი ბრეტ ჯ. სქარფს, სიმპოზიუმის შესავალი: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს იურისპრუდენცია: ლეგალური, მორალური, პოლიტიკური და რელიგიური პერსპექტივები, 26, სამართალი და რელიგია 249 (2010).

ინდივიდუალური წევრ-სახელმწიფოების მიერ ჩადენილი დარღვევების დადგენის გზით, ევროპის სასამართლომ ხელი შეუწყო ცვლილებებს ბევრ წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში. ამ ცვლილებებმა გამოიწვია ცნობადობის გაზრდა, რა მოთხოვნები შეიძლებოდა გაჩენილიყო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ამ ფაქტმა, წევრ სახელმწიფოთა რიცხვის გაზრდასთან ერთად შედეგად მოგვცა სასამართლოში საჩივრების მოზღვავება⁷⁸. შესაძლებელი რომ გამხდარიყო სასამართლოს საქმეებით გადატვირთვის მოგვარება, მე-14 დამატებითი ოქმი აძლევს მოსამართლეებს საშუალებას განსახილველად მიიღონ მხოლოდ “მნიშვნელოვანი” დარღვევების საქმეები⁷⁹. შვიდ მოსამართლიანი პალატა, რომელიც აირჩევა ორმოცდაშვიდი მოქმედი მოსამართლისაგან, წყვეტს უმეტეს საქმეებს⁸⁰. ეს შვიდი მოსამართლე ისე შეირჩევა, რომ დაბალანსებულად იყოს წარმოდგენილი 47 წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი კულტურები⁸¹.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის განმავლობაში წებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დიდ პალატას⁸². ეს წარმოადგენს შიდა აპელაციის მექანიზმს და მასში ჩართულია ევროპის სასამართლოს ჩვიდმეტი მოსამართლე⁸³. ლუცის საქმეში იტალიის მთავრობამ გამოიყენა ეს მექანიზმი⁸⁴. მაშინ როცა, პოლიტიკურად, ქრისტიანული ჯვარცმის აკრძალვა იტალიის სკოლებში შეიძლება მოულოდნელი ყოფილიყო, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს ჰიბრიდული სამართლებრივი კულტურაცა⁸⁵ და სასამართლოს წინა საქმეებიც სულ მცირე საფუძველს ქმნიდა ამ გადაწყვეტილებისთვის, თუ გარდუვალად არ განაპირობებდა მას. შესაბამისად, დიდი პალატა გადასინჯავს საქმეს ამ შემთხვევაში. ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნულ საზოგადოებებში განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხების დასაცავად სასამართლო ხშირად იყენებს „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინას⁸⁶. ეს დოქტრინა აღიარებს, რომ ნაციონალურ მოსამართლეებს უფრო მეტი

⁷⁸ იხ. საჯარო ურთიერთობების სამსახური, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, სტატისტიკა 2010 (2010), მისამართლობია http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/8699082A-A7B9-47E2-893F-5685A72FB78FB/0/Statistics_2010.pdf (განიხილავს 1959-2009 წლებს, სასამართლო გამოიტანა სულ 12, 198 სასამართლო გადაწყვეტილება, მაშინ როცა 2010 წლის იანვარსა და სექტემბერში მან გამოიტანა სულ 1442 სასამართლო გადაწყვეტილება და 24 321 დასაშვებობის გადაწყვეტილება).

⁷⁹ ადამიანის უფლებების ევროპის კონვენცია, შენიშვნა ზემოთ 57, მუხლი 35 („სასამართლო გამოაცხადებს წებისმიერ საჩივარს დაუშვებლად... თუ ის მიჩნევს ... ბ) რომ მოსამართლემ არ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი, გარდა იმ შემთხვევასა, როგოსაც ადამიანის უფლებებს, როგორც ისინი განსაზღვრულია კონვენციაში და ასევე ოქმი, მოითხოვს საჩივარის არსებითა, რომ არც ერთ საქმე არ იქნება უარყოფილი იმ საფუძვლით, რომელიც არ იქნა ჯეროვნად განხილული ქვეყნის შიდა ტრიბუნალის მიერ“).

⁸⁰ საჯარო ურთიერთობების სამსახური, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო 50 კითხვაში 6 (2010) [შემდგომში მოხსენებული იქნება, როგორც ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს 50 კითხვა], ხელმისაწვდომია http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/5C53ADA4-80F8-42CB-B8bd-Cbbb781C8/0/FAQ_coul_ENG_AS_OCT2010.pdf.

⁸¹ იხ. ზედა შენიშვნა 63, გვ. 55 (განიხილავს სხვადასხვა ლეგალური ტრადიციების ზეგავლენას, რომლებსაც მოსამართლეები უზიარებენ სასამართლოს).

⁸² იხ. ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, ზემოთ შენიშვნა 57, მუხლი 43 (1) („სამი თვის განმავლობაში პალატის სასამართლო გადაწყვეტილებიდან, სასამართლო საქმის წებისმიერ მხარეს შეუძლია, გამოინაკლის შემთხვევაში, მოითხოვოს რომ საქმე გადაეცეს დიდ პალატას“).

⁸³ ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 50 კითხვაში, ზემოთ შენიშვნა 63, გვ. 55.

⁸⁴ იხ. ზედა ტექსტის თანხმელები შენიშვნა 14.

⁸⁵ იხ. აროლდი, ზედა შენიშვნა 63, გვ. 55.

⁸⁶ „შეფასების თავისუფლება“ ხშირად გამოიყენება სასამართლოს მიერ. იუროუ, ზედა შენიშვნა 38, გვ. 24, (გვთავაზობს დოქტრინის ფართო განხილვას დროის ორ პერიოდში: 1979-მდე და შემდეგ). დოქტრინის სფერო გაფართოვდა ბოლო

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

შესაძლებლობა აქვთ, შეაფასონ კულტურის თვალსაზრისით ეს მგრძნობიარე საკითხები, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლებს⁸⁷. სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვევა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციის აშკარა დარღვევას აქვს ადგილი⁸⁸.

როცა მხარე ამტკიცებს რომ დაირღვა მე-9 მუხლით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლება, სასამართლო შეაფასებს: (1) არის თუ არა ეს ჩარევა უფლებაში; (2) ეს ჩარევა კანონიერია თუ არა; და (3) იყო თუ არა ეს ჩარევა საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში⁸⁹. ჩვეულებრივ, მესამე საფეხური, სასამართლოს მიერ ბალანსირება წარმოადგენს მთავარი ყურადღების საგანს უმეტეს სასამართლო საქმეებში. აქ მოსამართლე აანალიზებს, შეესაბამება თუ არა ჩარევა გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, პროპორციულია თუ არა დასახული მიზანი და გამართლებულია თუ არა რელიგიანტური და საკმარისი მიზეზებით⁹⁰.

რელიგიური რწმენა და ტრადიციები შესაძლოა რელიგიანტური იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაშინაც კი, თუ ისინი პირდაპირ არ უკავშირდებიან მე-9 მუხლს. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია ევროპის სასამართლოს საქმე ოტო-პრემინგრ-ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ⁹¹, რომელიც შეეხება სახელმწიფო ცენზურას, რომელიც გასაჩივრებული იქნა როგორც მე-10 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი გამოხატვის უფლების დარღვევა⁹². ეს საქმე შეეხებოდა „წმინდა ოჯახის“ შესახებ გაშარჟებული ფილმის აკრძალვას და ამოღებას, რომლის ჩვენება დაგეგმილი იყო ავსტრიის ქალაქ ტიროლის ხელოვნების ინსტიტუტში⁹³. გამოიყენა რა „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა ევროპის სასამართლომ, გაამართლა ფილმზე ეს სახელმწიფო შეზღუდვები⁹⁴. სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ეროვნულ ხელისუფლებას უკეთესად შეეძლო სცოდნოდა კულტურული ტენდენციებისა და ავსტრიის ტიროლის რაიონის მორალური თვალსაზრისით ფაქიზი საკითხების შესახებ⁹⁵. სასამართლომ ცნო რომ მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება ხელს უწყობს რელიგიური და არარელიგიური შეხედულებების პლურალიზმს, ამ ფასეულობებს უნდა დაეთმოთ გზა სახელმწიფო ინტერესისთვის იმ იდეების მიმართ, რომლებიც მძიმე შეურაცხყოფა და თავდასხმა იქნებოდა ტრადიციულად კათოლიკური რეგიონის რელიგიურ რწმენაზე, რომელიც „წმინდა ოჯახს“ კრძალვით ეკიდებოდა⁹⁶. აქ გამოყენებული იყო „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა, რათა ანგარიში გაეწიათ ნაციონალური სასამართლოები-

⁸⁷ ლებში. იხ. ჰატონი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ 2003- VIII ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენცია 169 (ფრენის ხმის გამო ძილის შეწყვეტის შესახებ); ჰენდისაიდა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ 24, ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენცია (სერია A) (1976) (უხამსი პუბლიკაციის შესახებ).

⁸⁸ იხ. იუროუ, ზედა შენიშვნა 38, გვ. 13.

⁸⁹ იხ. იგივე.

⁹⁰ იხ. კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 260-A ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენცია (სერია A) 6, 18 (1993).

⁹¹ იხ. იგივე, გვ. 20-22.

⁹² ოტო-პრემინგრ-ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ, 295-A ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენცია (სერია A) (1994).

⁹³ იგივე, გვ. 5-6.

⁹⁴ იგივე, გვ. 8-9.

⁹⁵ იგივე, გვ. 19-21.

⁹⁶ იგივე, გვ. 20-21.

სათვის ადგილობრივი ქრისტიანული ემოციებისა და ტრადიციების დაცვისას⁹⁷. ეს მნიშვნელოვანი პრეცედენტია იტალიისათვის ლუცის საქმეში – თუმცა ოტო-პრემინგერ-ინსტიტუტი არის მე-10 მუხლის საქმე, რომელიც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას და არა მე-9 მუხლის საქმე, რომელიც შეეხება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

ბ. რწმენის გამოვლენა. რა მიზანი აქვს მე-9 მუხლის დაცვას?

სიმბოლოების საშუალებით რწმენის გამოხატვა აერთიანებს ორივეს – რელიგიისა და რელიგიის გამოვლენასთან დაკავშირებულ საკითხებს მე-9 მუხლის ფარგლებში. ევროპის სასამართლო ფართო ინტერპრეტაციას უკეთებს „რელიგიას“, მაგრამ, რაც შეეხება „რელიგიის გამოვლენას“, რელიგიური რწმენით გამოწვეული ყველა ქმედება არ არის დაცული მე-9 მუხლის მიხედვით. სამი სასამართლო საქმე გვაძლევს სასამართლოს მიდგომების იღუსტრირებას. საქმეში ფრითი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ⁹⁸ ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ ქმრის ქმედება, რითაც მას სურდა ხელი შეეწყო მომაკვდავი ცოლის თვითმკვლელობისათვის, არ იყო რელიგიის მანიფესტაცია ან ქმედება, რომელსაც იცავს მე-9 მუხლი, მაშინაც კი, თუ იგი ჩადენილი იყო ჰუმანურობისა და კეთილშობილების საფუძველზე⁹⁹. შესაბამისად, ქმარი ვერ აღძრავდა სარჩელს რელიგიური თავისუფლების მოტივით, რათა განთავისუფლებულიყო თვითმკვლელობის ხელშეწყობისათვის ინგლისის სისხლის სამართლის სასჯელისაგან¹⁰⁰. საქმეში ჩა'რე შალომ ვე თზედექი საფრანგეთის წინააღმდეგ¹⁰¹ ცხოველების მოკვლის ებრაული ადათი ზოგადად მიჩნეული იქნა რელიგიურ მანიფესტაციად ან რიტუალად, რომელიც იმსახურებდა, სავარაუდოდ, დაცვას მე-9 მუხლის მიხედვით. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული აკრძალვა გარკვეული ტიპის ცხოველების რიტუალურ დაკვლაბზე, როგორც ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა გამართლებული იყო მე-9 მუხლის მიხედვით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კოშარის ხორცით ალტერნატიული მომარაგება ხელმისაწვდომი იყო მეზობელი სახელმწიფოდან¹⁰². საქმეში კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ¹⁰³ სასამართლომ დაადგინა, რომ თავისი პროზელიტიზმი

⁹⁷ იგივე.

⁹⁸ ფრითი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, 2002-III, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 255

⁹⁹ იბ. იგივე, გვ. 281-82.

¹⁰⁰ იბ. იგივე.

¹⁰¹ ჩა'რა შალომი ვე თზედექი საფრანგეთის წინააღმდეგ, 2000-VII ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 231.

¹⁰² იგივე, გვ. 259.

¹⁰³ კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 260-ადამიანთა უფლებების ევროსასამართლო (სერია A) (1993) კოკინაკისის სასამართლომ ცხადყო, რომ, თუმცა ამ საქმეში არ არის მიჩნეული გამართლებულად, ზოგადი შეზღუდვები რელიგიურ მანიფესტაციაზე შეიძლება საჭირო იყოს საზოგადოებაში პლურალიზმის დასაცავად. უფლებების ფუნდამენტური ბუნება, რომელიც გარანტირებულია მეცხრე მუხლით, ჭ 1, (მუხ. 9-1), ასევე ჩინს პარაგრაფის ფორმულირებაში რომელიც უზრუნველყოფს მის შეზღუდვებს. განსხვავებით მე-8, 10, და 11 მუხლის მე-2 პარაგრაფისაგან (მუხლი 8-2, მუხლი 10-2, 11-2) რომლებიც ითვალისწინებენ ყველა იმ უფლების შეზღუდვას, რომლებიც ნახსენებია ამ მუხლების პირველ პარაგრაფში (მუხლი 8-1, მუხლი 10-1, მუხლი 11-1), მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფი შეეხება მხოლოდ „რელიგიის ან რწმენის მანიფესტაციის თავისუფლებას“. ამგვარად, უშვებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ერთსა და იმავე მისახლეობაში და ერთსა და იმავე დროს თანარსებობების სხვადასხვა რელიგიები, შეიძლება აუცილებელი იყოს დაწედეს შეზღუდვები ამ თავისუფლებაზე. რათა სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები შეეთავსოს ერთმანეთს და უზრუნველყოფილი იქნეს ყველა რწმენისადმი პატივისცემა.“ იგივე, გვ. 18.

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

ან ევანგელიზაცია იყო რელიგიური მანიფესტაცია მე-9 მუხლის მიხედვით და სახელწიფო არ გაამართლეს, როცა სისხლის სამართლის სანქცია დააკისრეს უწყინარ მქადაგებელს¹⁰⁴.

მომდევნო საქმეში პროგელიტიზმის შესახებ – იეჰოვას მოსკოველი მოწმეები რუსეთის წინააღმდეგ¹⁰⁵ სასამართლომ ხელახლა გაიმორა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

როგორც მე-9 მუხლშია განმარტებული, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს „დემოკრატიული საზოგადოების“ ერთ-ერთ საფუძველს კონვენციის არსის მიხედვით. ეს, მე-9 მუხლის რელიგიურ განზომილებაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ცდილობს, შექმნას მორწმუნეთა ინდივიდუალურობისა და მათი ცხოვრების კონცეფცია, მაგრამ ეს ასევე ზუსტი შეფასებაა ათეიისტების, აგნოსტიკების, სკეპტიკოსებისა და მათვის, ვისაც არ აინტერესებს ეს საკითხები. პლურალიზმი, რომელიც არ არის უცხო დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომელმაც გაიმარჯვა საუკუნეებზე, ამაზეა დამოკიდებული. რადგან რელიგიის თავისუფლება ძირითადად ინდივიდუალური შეგნების საკითხია, ის აგრეთვე მოიცავს თავისუფლებას (ვინმეს მიერ) რელიგიის მანიფესტაციისა“, კერძოდ, ამ საზოგადოებაში სხვებთან ერთად, საჯაროდ და იმ ადამიანების წრეში, რომლებიც იზიარებენ რწმენას. როცა რელიგიური საზოგადოებები ტრადიციულად არსებობენ ორგანიზებული სტრუქტურების ფორმით, მე-9 მუხლის ინტერპრეტაცია უნდა გაკეთდეს კონვენციის მე-11 მუხლის მხედველობაში მიღებით, რომელიც იცავს ასოციაციურ ცხოვრებას სახელმწიფოს არასამართლიანი ჩარევისაგან. როგორც ჩანს, პერსპექტივა მორწმუნეთა რელიგიური თავისუფლებისა, სხვებთან ერთად საზოგადოებაში რელიგიის მანიფესტაციის უფლების ჩათვლით, იძლევა მოლოდინის საშუალებას, რომ მორწმუნებს შესაძლებლობა ექნებათ, გაერთიანდნენ საზოგადოებაში, თავისუფლად, სახელმწიფოს თვითნებური ჩარევის გარეშე. მართლაც, რელიგიური საზოგადოებების ავტონომიური არსებობა აუცილებელია პლურალიზმისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში და წარმოადგენს დაცვის ცენტრალურ საკითხს, როგორც ეს შესაძლებელია მე-9 მუხლის მიხედვით. სახელმწიფოს უფლება ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობისა, როგორც ეს განსაზღვრულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, შეუთავსებელია რომელიმე უფლებასთან სახელმწიფოს მხრიდან, რომ შეაფასოს რელიგიური რწმენის ლეგიტიმურობა¹⁰⁶.

ვერც ერთ ამ საქმეში პირდაპირ ვერ გადაწყდა, ჰქონდა თუ არა აშკარა სეკულარისტს უფლება საჯარო სკოლებში განთავსებული რელიგიური სიმბოლოებისგან თავისუფალი ყოფილიყო. მაგრამ ეს საქმეები სწორედაც ცხადყოფენ რომ რელიგიური თავისუფლება ყველასათვის – ათეიისტებისა და აგნოსტიკოსებისათვისაც კი – არის სათუთი უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში, და სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ ძლიერი და დასაბუთებული მიზეზები, ასევე პროპორციული მეთოდები, რომ დაარეგულირონ ან შეზღუდონ ეს უფლება.

¹⁰⁴ ივივე.

¹⁰⁵ მოსკოვის იეჰოვას მოწმეები რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანთა უფლებების ევროსასამართლო (2010), http://www.echr.coe.oms/echr/Homepage_EN (მიყევით "Case Law" ბმულს; შემდეგ მიყევით "HODOC" ბმულს; შემდეგ "Jahova's Witnesses fo Moscow" მოათავსეთ "Case Title" გრაფაში და "Russia" მოათავსეთ "respondent State" გრაფაში და მოქებნეთ) (ამჟამად გადახედვის პროცესშია დიდ პალატაში).

¹⁰⁶ ივივე, § 99 (ცოტატა გამოტოვებულია).

გ. რელიგიური და არარელიგიური სკოლის კურიკულუმი

ორი ახლანდელი სასკოლო საქმე ახლოსაა ლუცის საკითხებთან. სასამართლო საქმეებში ფოლგერა ნორვეგიის წინააღმდეგ¹⁰⁷ და გრუელაკი პოლონეთის წინააღმდეგ¹⁰⁸ სასამართლომ იმსჯელა რელიგიური სწავლების ფორმებზე საჯარო სკოლებში, რომლებსაც ეწინააღმდეგებოდნენ აშკარა ათეისტები და აგნოსტიკოსები¹⁰⁹. ფოლერო დაინტერესდა ნორვეგიის ახალი კანონით, რომელიც მოითხოვდა, რომ ყველა საჯარო სკოლის და საშუალო სკოლის სტუდენტებს გაევლოთ კურსი „ქრისტიანობა, რელიგია და ფილოსოფია“ (KRL)¹¹⁰. კანონი არ მიიჩნევდა გამონაკლისად არაქრისტიან სტუდენტებს¹¹¹. სტუდენტმა, რომლის მშობლები აღიარებული ათეისტები იყვნენ, გაასაჩივრა ამ კურიკულუმის მოთხოვნები, რომლებიც, მისი აზრით, არღვევდა განათლების უფლებას, რაც გარანტირებული იყო მე-2 მუხლით¹¹². ევროპის სასამართლო დაეთანხმა¹¹³. მან დაადგინა, რომ სახელმწიფომ არ ჩამოაყალიბა თავისი ახალი კანონი საკმარისი სიზუსტით იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვა რელიგიას აღიარებდნენ და არარელიგიური სტუდენტებისათვის¹¹⁴.

„მიუხედავად ბევრი საქებარი საკანონმდებლო მიზნებისა, რომლებიც დაკავშირებულია საგნის „ქრისტიანობა, რელიგია და ფილოსოფიის“ შესწავლასთან დაწყებით და საშუალო სკოლებში, არ ჩანს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ საკმარისად იზრუნა, რათა ინფორმაცია და ცოდნა, რომელსაც შეიცავს კურიკულუმი, გადმოეცა ობიექტურად, კრიტიკულად და პლურალისტურად პირველი ოქმის მე-2 მუხლის მიზნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ უარმა, რომელიც მიიღო მომჩივანმა მშობელმა მისი შვილების ამ საგნისაგან სრული განთავსუფლების თაობაზე, გამოიწვია მე-2 მუხლის დარღვევა“¹¹⁵.

სამი წლის შემდეგ, გრუელაკის საქმეში, საჯარო სკოლის სტუდენტი პოლონეთში, რომელსაც ადგნოსტიკოსი მშობლები ჰყავდა, ფოლგეროს¹¹⁶ შესაბამისად, სრულიად გაათავოსუფლეს სავალდებულო რელიგიური გაკვეთილებისაგან. მაგრამ ერთადერთი ალტერნატივა რელიგიურ გაკვეთილებზე დასწრებისა იყო ის, რომ მოსწავლეს ის დრო, როცა იგი რჩებოდა ზედამხედველობის გარეშე, უნდა გაეტარებინა სკოლის დერეფანში, ბიბლიოთეკაში ან კლუბში¹¹⁷. მის მშობლებს კი უნდოდათ, რომ მოსწავლეს გაევლო საერო ეთიკის ალტერ-

¹⁰⁷ ფოლგერი ნორვეგიის წინააღმდეგ, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო (2007) შემდგომში მოხსენებულია როგორც „ფოლგერო“, http://www.echr.eoc.int/echr/Homepage_EN (მიყევით "Case law" ბმულს; შემდეგ მიყევით "HUDOC" ბმულს; მოათავსეთ "Folgerø" გრაფაში "Case Title" და "Norway" უჯრაში "Respondent State").

¹⁰⁸ გრუელაკი პოლონეთის წინააღმდეგ, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო (2010) [შემდგომში მოხსენება გრუელაკი] http://www.echr.coe.int/echr/Homepage_EN (მიყევით "Case law" ბმულს; შემდეგ მიყევით "HUDOC" ბმულს; მოათავსეთ "Grzelak" გრაფაში "Case Title" და "Poland" უჯრაში "Respondent State").

¹⁰⁹ იგივე, § 6-25; ფოლგერო, იხ. ზემოთ შენიშვნა 107, § 3.

¹¹⁰ ფოლგერი, იხ. ზემოთ შენიშვნა 107, § 3.

¹¹¹ იგივე, § 30.

¹¹² იგივე.

¹¹³ იგივე, § 102.

¹¹⁴ იგივე.

¹¹⁵ იგივე.

¹¹⁶ გრუელაკი, იხ. ზემოთ შენიშვნა 108, § 7.

¹¹⁷ იგივე.

ნატიული კურსი¹¹⁸. სკოლამ უარი უთხრა ასეთი სპეციალური კურსის შეთავაზებაზე იმის გამო, რომ არ ჰყავდათ საკმარისი მასწავლებლები, სტუდენტები და სახსრები¹¹⁹. შემდგომში სკოლამ ცარიელი დატოვა მოსწავლის ნიშნების ფურცელში საგანი – „რელიგია/ეთიკა“ და მისი ნიშნების საშუალო ქულა გამოიყვანა უფრო ცოტა საკრედიტო საათების საფუძველზე¹²⁰. სასამართლომ დადგინა, რომ ეს ორივე გადაწყვეტილება იყო კონვენციის ორივე – მე-9 და მე-14 მუხლების დარღვევა,“ რადგანაც ეს გამოიწვევს მდგომარეობას, რომელშიც ინდივიდები იძულებულნი არიან – პირდაპირ თუ არაპირდაპირ – გამოამჟღავნონ, რომ ისინი არ არიან მორწმუნები. ეს ყველაფერი უფრო მეტად მნიშვნელოვანია, როცა ასეთ იძულებას ადგილი აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სერვისით უზრუნველყოფის კონტექსტში, როგორიცაა განათლება“¹²¹.

„სასამართლოს მიაჩინა, რომ „რელიგია/ეთიკა“ ამ ნიშნის არარსებობა გაგებული იქნებოდა გონიერი ადამიანის მიერ როგორც მითითება, რომ ეს სტუდენტი არ ესწრებოდა რელიგიური განათლების გაკვეთილებს, რომლებიც ფართოდ ხელმისაწვდომი იყო და ამგვარად, შესაძლებელია იგი მიეჩინათ პიროვნებად რელიგიური რწმენის გარეშე... და ეს გამოარჩევს ამ პიროვნებას იმათგან, რომლებსაც ჰქონდათ ნიშანი აშ საგანში. ეს დადგენილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, როცა საქმე ეხება ისეთ ქვეყანას, როგორიცაა პოლონეთი, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ერთგულია ერთი კონკრეტული რელიგიისა.

...სასამართლო ადგენს, რომ სტუდენტის სკოლის მოწმობაზე „რელიგია/ეთიკა“ – ამ ნიშნის არარსებობა სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უტოლდება არაკანონიერი სტიგმატიზაციის ფორმას¹²².

ეს საქმეები უახლოვდება ლუცის საქმეს იმაში, რომ ისინი ეხება რელიგიის თავსმოხვევას საჯარო სკოლის სტუდენტებზე – პირდაპირ ფოლგეროს სასამართლო საქმეში და არაპირდაპირ გრუელაკის საქმეში. არც ერთი არ არის პირდაპირ მე-9 მუხლის საქმე. ფოლგერო არის მე-2 მუხლის შესახებ – რელიგიური ზეგავლენისაგან თავისუფალი განათლების უფლება¹²³; გრუელაკის საქმე აერთიანებს მე-9 და მე-14 მუხლებს – რელიგიური დისკრიმინაციის აკრძალვა¹²⁴. მიუხედავდ ამისა, სასამართლო შორს წავიდა ამ ორივე საქმეში, რათა დაეცვა საჯარო სკოლებში ათეიისტი და აგნოსტიკოსი სტუდენტების და მათი მშობლების რელიგიური თავისუფლება¹²⁵. აქ პიროვნების რელიგიური (და მასთან დაკავშირებული განათლების და არადისკრიმინაციის) თავისუფლება გულისხმობს პირის თავისუფლებას რელიგიური იძულებისგან და თუნდაც არაპირდაპირი უსიამოვნო შედეგებისგან, რომელიც თან ახლავს სახელმწიფოს რელიგიურ შემოთავაზებებზე უარის თქმას¹²⁶. ლუცი ჯერ კიდევ გამორჩეული გადასახლება არ არის მოწმობის მიზანი, რომ ეს უახლოვდება საჯარო სკოლების მოწმობის მიზანისათვის.

¹¹⁸ იგივე, § 7,12.

¹¹⁹ იგივე, § 12, 19.

¹²⁰ იგივე, § 21-25.

¹²¹ იგივე, § 87.

¹²² იგივე, §. 95,99 (ციტატა გამოტოვებულია).

¹²³ ფოლგერო, იხ. ზემოთ შენიშვნა, § 53-102.

¹²⁴ გრუელაკი, იხ. ზემოთ შენიშვნა, § 49-101.

¹²⁵ იხ. იგივე, § 84-101; ფოლგერო, იხ. ზემოთ შენიშვნა 107, § 85-105.

¹²⁶ იხ. ფოლგერო, იხ. ზემოთ შენიშვნა 107, § 66-67; გრუელაკი, იხ. ზემოთ შენიშვნა 108, § 85-99.

ლია: ეს არ შეეხება რელიგიის აქტიურ სწავლებას, არამედ ეს არის ჯვრის პასიურად გამო-
ცენა, რასაც მოსწავლეები ხვდებიან იტალიის საჯარო და კერძო სკოლებშიც¹²⁷. მაგრამ ეს
შემთხვევები მნიშვნელოვანი პრეცედენტებია ლუცისა და მისი შვილებისათვის.

დ. სკოლაში ჩაცმულობის კოდექსი და თავსაბური

სამ სხვა საქმეში სასამართლომ განიხილა მუსლიმი ქალების მიერ აღძრული სარჩელები
პირდაპირ მე-9 მუხლთან – რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა
თავშალის ტარებას, რომელიც მათი რელიგიის მანიფესტაციაა, მაგრამ ეწინააღმდეგება სა-
ჯარო სკოლის ჩაცმულობის კოდექსს¹²⁸. თითოეულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ
სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდა დემოკრატიულ საზოგადოებაში სკოლის „სეკულა-
რიზმის“ დაცვა, რაც საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ გაემართლებინა თავისაბურების
აკრძალვა¹²⁹. თითოეულ საქმეში სასამართლომ სახელმწიფოს მიანიჭა „შეფასების თავისუფ-
ლება“, რათა გადაეწყვიტა თავშლის ტარების წესი, კულტურის თვალსაზრისით, ეს ფაქიზი
საკითხი სეკულარიზმის საკუთარი ტრადიციების შესაბამისად¹³⁰.

სასამართლო საქმეში დალაბი შევიცარის¹³¹ წინააღმდეგ სახელმწიფო დაწყებითი სკოლის
მასწავლებელს, რომელმაც კათოლიკური რწმენა შეიცვალა და ისლამი მიიღო, აუკრძალეს
თავშლის ტარება გაკვეთილების ჩატარების დროს¹³². მთავრობამ ხაზი გაუსვა სეკულარიზ-
მის დაცვის მნიშვნელობას საჯარო სკოლაში, რომელიც ლია იყო სხვადასხვა ტრადიციების
მქონე სტუდენტებისთვის¹³³. გამოიყენა რა „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა, სასა-
მართლომ მიიჩნია, რომ სკოლის ეს კოდექსი და მისი მოთხოვნა დალაბისადმი იყო აუცი-
ლებელი და პროპორციული და უარყო მისი მტკიცება, რომ სახელმწიფომ დაარღვია აზრის,
სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მე-9 მუხლის მიხედვით¹³⁴. სასამართლომ
ხაზი გაუსვა, რომ

ძალიან ძნელია შეაფასო ის ზეგავლენა, რომელსაც ისეთი ძლიერი გარეგნული სიმბოლო,
როგორიცაა თავშლის ტარება, ახდენს ბავშვების სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე.
მოსარჩელის მოსწავლეები ასაკით 4-დან 8 წლამდე ასაკის იყვნენ, ეს ის ასაკია, როცა

¹²⁷ ლუცი იტალიის წინააღმდეგ, იხ. ზემოთ შენიშვნა 1, § 7.

¹²⁸ დოგრუ საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო (2008) [შემგომში დოგრუ], http://www.echr.coe.int/echr/Homepage_EN, [მიყევით "Case law" ბმულს; შემდეგ მიყევით "HUMAN" ბმულს; მთავარი დოკუმენტი "Dogru" გრაფაში "Case Title" და "France" უჯრძში "Respondent State"]; შაპინი თურქეთის წინააღმდეგ, 2005-IX, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 173; დალაბი შევიცარის წინააღმდეგ, 2001-V ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 447.

¹²⁹ დოგრუ, იხ. შენიშვნა ზემოთ 128, § 75,78; შაპინი, 2005-XI ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 205-06-ზე; დალაბი, 2001-V ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 463-64-ზე.

¹³⁰ დალაბი, 2001-V ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 463-ზე; დოგრუ, იხ. შენიშვნა ზემოთ 128, § 75; შა-პინი, 2005-XI ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო გვ. 208.

¹³¹ დალაბი, 2001-V ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო, 447.

¹³² იგივე, გვ. 451-53.

¹³³ იგივე, გვ. 458.

¹³⁴ იგივე, გვ. 463.

ბავშვებს ბევრი რამ აინტერესებთ და უფრო იოლად ექცევიან ზეგავლენის ქვეშ, ვიდრე უფროსი მოსწავლეები. ამ გარემოებებში არ შეიძლება სრული უარყოფა იმისა, რომ თავსაბურის ტარებას ექნებოდა გარკვეულწილად პროზელიტური ეფექტი, ასევე შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ ქალს ამის გაკეთებას აიძულებს მცნება, რომელიც ჩაწერილია შესაბამისობაში და რომელიც, როგორც ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, ძნელია შესაბამისობაში მოიყვანო სქესთან თანასწორობის პრინციპთან. მაშასადამე, ძნელია ისლამური თავსაბურავის ტარება შეუთავსო შემწყნარებლობის, სხვებისადმი პატივისცემის და რაც მთავარია, თანასწორობისა და არადისკრიმინაციის იდეებს, რაც ყველა მასწავლებელმა უნდა გადასცეს თავის მოსწავლეს დემოკრატიულ სახელმწიფოში.

შესაბამისად, თუ ავწონით მასწავლებლის უფლებას რელიგიის გამოვლინებაზე, რელიგიური ჰარმონიის შენარჩუნების გზით მოსწავლეების დაცვის აუცილებლობასთან ერთად, სასამართლო მიწინევს, რომ ამ საქმის გარემოებებში და უფრო მეტად იმ ბავშვების ფაქიზი ასაკის მხედველობაში მიღებით, რომელთა წინაშეც მასწავლებელი იყო პასუხისმგებელი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, უენცის ხელისუფლებამ არ გადაამეტა მათ „შეფასების თავისუფლებას“ და მაშასადამე, ზომები, რომლებიც მათ მიიღეს გონივრული იყო¹³⁵.

საქმეში დოგრუ საფრანგეთის წინააღმდეგ¹³⁶ მუსლიმმა გოგონამ უარი თქვა დაეცვა მისი სკოლის ჩაცმულობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც მას უნდა მოეხსნა თავსაბური ფიზიკური სწავლების გაკვეთილებზე და სპორტული ღონისძიებების დროს¹³⁷. შეშფოთდა რა კანონის დარღვევის გამო და იმ დაძაბულობის გამო, რომელიც გაჩნდა მოსწავლებს შორის, სკოლამ წამოიწყო დისციპლინარული წარმოება ამ გოგონას წინააღმდეგ¹³⁸. იგი დაუინებით მოითხოვდა თავის სარჩელში, რომ უნდა ეტარებინა თავსაბური ყველა საზოგადოებრივ ადგილებში და სკოლამ მას შესთავაზა, რომ სწავლებას ჩაუტარებდნენ საკორესპონდენციო პროგრამის საშუალებით. ეს არჩევანი მისმა მშობლებმა უარყვეს¹³⁹. შემდეგ ეს გოგონა გარიცხეს სკოლიდან¹⁴⁰. იმის შემდეგ, რაც წააგო საქმე საფრანგეთის სასამართლოში, მან სარჩელი აღძრა კონვენციის მიხედვით მე-2 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევაზე¹⁴¹. ევროპის სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფოს და კვლავ დაეთანხმა საფრანგეთს „შეფასების თავისუფლების“ გამოყენებაში საერო ეთიკის უზრუნველყოფის პოლიტიკისათვის საჯარო სკოლებში¹⁴².

იქ, საქმე ეხება რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას, რომლის შესახებაც დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს, მაგრამ

¹³⁵ ოგივე.

¹³⁶ დოგრუ, იხ. შენიშვნა 128.

¹³⁷ ოგივე, § 7.

¹³⁸ ოგივე, § 8.

¹³⁹ იხ. ოგივე, § 11-12.

¹⁴⁰ ოგივე, § 8.

¹⁴¹ ოგივე, § 1,2,12-46.

¹⁴² ოგივე, §. 75.

ეროვნული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს როლს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევაა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური სიმბოლოების ტარებასთან სასწავლო დაწესებულებებში, რის მიმართაც ევროპაში განსხვავებული მიდგომები არსებობს. ამ სფეროში კანონები ქვეყნებს შორის განსხვავდება შესაბამისად ეროვნული ტრადიციებისა და იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელიც დაკავშირებულია უფლებებისა და სხვების თავისუფლების დაცვის აუცილებლობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებასთან¹⁴³.

ყველაზე ცნობილ საქმეში თავსაბურთან დაკავშირებით – შაპინი თურქეთის წინააღმდეგ¹⁴⁴, მუსლიმ სტუდენტს სამედიცინო ფაკულტეტზე სტამბულის უნივერსიტეტში აუკრძალეს გაევლო გარკვეული კურსები და ჩაეტარებინა გამოცდები, რადგანაც იგი ატარებდა თავსაბურავს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო წესებს ჩატიმის შესახებ¹⁴⁵. უნივერსიტეტმა მის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინარული წარმოება¹⁴⁶. მას შემდეგ, რაც მან წააგო ეს საქმე თურქეთის სასამართლოში, მან აღძრა სარჩელი ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოში და ამტკიცებდა, რომ მე-9 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები დაირღვა¹⁴⁷. სასამართლომ გაამართლა თურქეთი და კვლა მიუთითა „შეფასების თავისუფლებაზე“ სქესთა თანასწორობისა და სახელმწიფო სეკულარიზმის თურქეთის საკონსტიტუციო და კულტურული იდეალების გათვალისწინებით¹⁴⁸.

სეკულარიზმის პრინციპი აღმოცენდა ოთომანურ საზოგადოებაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და რესპუბლიკის გამოცხადებას შორის დროის პერიოდში. თანამედროვე საჯარო საზოგადოების შექმნის იდეა, რომლითაც თანასწორობა გარანტირებული იქნებოდა ყველა მოქალაქისათვის, მიუხედავად რელიგიისა, სარწმუნოებისა და სქესისა, უკვე განხილვის საგანი იყო მე-19 საუკუნის დებატებში, რაც ოსმალთა საზოგადოებაში მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი წინსვლა ქალთა უფლებებთან დაკავშირებით მოხდა ამ პერიოდის განმავლობაში (განათლებაში თანასწორობა, პოლიგამიის აკრძალვის შემოტანა 1914 წელს, ოჯახურ სასამართლო საქმეებზე იურისდიქციის გადატანა საერთო სასამართლოში, რომელიც ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში).

რესპუბლიკური იდეალის განმსაზღვრელი იყო ის, რომ ქალები წარმოდგენილნი და აქტიურად ჩართულნი ყოფილიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შესაბამისად, იდეებს, რომ ქალები უნდა გათავისუფლებულიყვნენ რელიგიური ძალდატანებისაგან და რომ საზოგადოება უნდა ყოფილიყო მოდერნიზებული, წარმოშობის საერთო წყარო ჰქონდათ¹⁴⁹.

¹⁴³ იგივე, ჭ. 63 (ციტატა გამოტოვებულია).

¹⁴⁴ შაპინი თურქეთის წინააღმდეგ, 2005-XI, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 173.

¹⁴⁵ იგივე, გვ. 181.

¹⁴⁶ იგივე, გვ. 182.

¹⁴⁷ იგივე, 179-80, 182-83.

¹⁴⁸ იგივე გვ. 180,205-08.

¹⁴⁹ იგივე, გვ. 185-86.

სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ თურქეთის ნაციონალური კანონი აშკარად კრძალავდა ჩადრსა და თავსაბურავებს სკოლებსა და საჯარო სამუშაო ადგილებზე და ეს აკრძალვები ბევრჯერ მიიჩნია გამართლებულად თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლო¹⁵⁰. ევროპის სასამართლომ შემდგომში განიხილა ევროპის სახელმწიფოთა სხვადასხვა პრაქტიკა, რომელიც შეეხებოდა რელიგიურ სიმბოლოებსა და თავსაბურავებს იმისათვის, რომ შეეფასებინა არსებობდა თუ არა ამ საკითხებზე ევროპული სტანდარტი, რომელიც შეიძლებოდა ერთგვარად აღსრულებულიყო¹⁵¹. ასეთი სტანდარტი არ არსებობდა¹⁵². მხოლოდ თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს ჰქონდათ მაშინ კონკრეტული კანონები, რომელებიც შეეხებოდა ისლამური თავსაბურავების საკითხს უნივერსიტეტში¹⁵³. საფრანგეთი, „სადაც სეკულარიზმი მიჩნეულია რესპუბლიკური ფასეულობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად“, უკრძალავს ადამიანებს თავსაბურავების, ყალმუხების და დიდი ზომის ჯვრების ტარებას სახელმწიფო სკოლებში¹⁵⁴. შვიდ სხვა ქვეყანაში გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ჩათვლით, მუსლიმური საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებს ნება ჰქონდათ დართული, რომ ეტარებინათ თავსაბურავები¹⁵⁵.

თავსაბურავების საკითხზე ევროპის გამოკვეთილი კონსენსუსის არარსებობის გამო, ევროპის სასამართლოს ისლა დარჩა, რომ დაყრდნობობდა თავის საკუთარ პრეცედენტულ სამართალს იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა დაეცვა რელიგიის თავისუფლება და რამდენად უნდა გაეწია ანგარიში რელიგიის ნაციონალური რეგულაციისთვის. ეს პრეცედენტები, როგორც შაპინის სასამართლომ დაასკვნა, მოუწოდებდა ადგილობრივი პრაქტიკისთვის ფართო „შეფასების თავისუფლების“ მინიჭებისკენ, რომელიც სასამართლომ მიანიჭა თურქეთს:

დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც რამდენიმე რელიგია თანაარსებობს ერთი და იმავე მოსახლეობაში, შესაძლოა, აუცილებელი იყოს შეზღუდვების დაწესება რწმენის ან რელიგიის მანიფესტაციის თავისუფლებაზე იმისთვის, რომ მოხდეს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა შეთანხმება და უზრუნველყოფა იმისა, რომ ხდებოდეს ყველა ადამიანის რწმენის პატივისცემა.

პლურალიზმი, ტოლერანტობა და თავისუფალი აზროვნება წარმოადგენს დემოკრატიული „საზოგადოების ნიშანსვეტს.“ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები უნდა დაექვემდებაროს ჯგუფის ინტერესებს, დემოკრატია არ ნიშანავს უბრალოდ იმას, რომ უმრავლესობის შეხედულებებმა უნდა გაიმარჯვოს, უნდა იყოს მიღწეული ბალანსი, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და სათანადო მოპყრობას უმცირესობის წარმომადგენლებისადმი, რაც თავიდან აგვაცილებს გაბატონებული მოსაზრების ძალადობას. პლურალიზმი და დემოკრატია ასევე დამყარებული უნდა იყოს დიალოგზე და კომპრომისულ ატმოსფეროზე, რაც

¹⁵⁰ იგივე, გვ. 187-89.

¹⁵¹ იგივე, გვ. 192-94.

¹⁵² იხ. იგივე.

¹⁵³ იგივე, გვ. 192.

¹⁵⁴ იგივე.

¹⁵⁵ იგივე, 192-94.

აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა დათმობებს ინდივიდების ან ინდივიდთა ჯგუფების მხრიდან, რომლებიც გამართლებულია იმისათვის, რომ მოხდეს დემოკრატიული საზოგადოების ფასეულობებისა და იდეალების შენარჩუნება და ხელშეწყობა. იქ, სადაც ეს „უფლებები და თავისუფლებები“ გარანტირებულია კონვენციით ან მისი ოქმებით, მისაღები უნდა იყოს ისიც, რომ მათი დაცვის აუცილებლობამ შესაძლოა სახელმწიფო მიიყვანოს სხვა უფლებების და თავისუფლების შეზღუდვამდე, რომლებიც ასევე დადგენილია კონვენციის მიხედვით. ეს არის ზუსტად თითოეული ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებებს შორის ბალანსის მუდმივი ძიება, რომელიც ქმნის „დემოკრატიული საზოგადოების“ საძირკველს.

იქ, სადაც საქმე ეხება ურთიერთობას რელიგიასა და სახელმწიფოს შორის, რომლის შესახებაც დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა იყოს, ეროვნული, გადაწყვეტილების – მიმღები ორგანოს როლს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევას ეხება, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური სიმბოლოების ტარებასთან სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით... იმ მიდგომების სხვადასხვაობის გათვალისწინებით, რასაც სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ხელისუფლებები მიმართავენ ამ საკითხებზე. საზოგადოებაში რელიგიის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ერთგვარი კონცეფცია ევროპაში არ არსებობს... და რელიგიური რწმენის საჯარო გამოხატვის ზეგავლენა და მნიშვნელობა განსხვავდება დროისა და კონტექსტის მიხედვით. ამ სფეროში კანონები შესაბამისად ქვეყნებს შორის განსხვავდება ეროვნული ტრადიციებისა და იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც მოიცავს უფლებებისა და სხვების თავისუფლების დაცვის აუცილებლობა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. შესაბამისად, ფორმისა და ხარისხის არჩევანი, რომელიც ასეთ კანონებში უნდა გაკეთდეს, სახელმწიფოს გადასაწყვეტია, რადგანაც ისინი დამოკიდებული იქნებიან განსაკუთრებულ შიდა კონტექსტზე¹⁵⁶.

თურქეთის „განსაკუთრებული შიდა კონტექსტის“ მიხედვით, სეკულარიზმი არის თურქეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი¹⁵⁷. ეს პრინციპი „ჰარმონიაშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემასთან და შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლობად, დემოკრატიული სისტემის დასაცავად თურქეთში“¹⁵⁸. რელიგიური „დამოკიდებულებები“ და ქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან ამ ღირებულებებთან „არ იქნება კონცენციის მე-9 მუხლის დაცვის საგანი“¹⁵⁹. ამიტომ თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, დიდა პალატამ გადაწყვეტილება მიიღო თურქეთის სასარგებლოდ¹⁶⁰.

მხოლოდ მოსამართლე ტულკენის არ დაეთანხმა გადაწყვეტილებას იგი ამტკიცებდა, რომ უმრავლესობამ გამოიყენა „თავისუფალი შეფასების“ დოქტრინა, რათა უარი ეთქვა თავის პასუხისმგებლობაზე, დაეცვა ძირითადი უფლებები¹⁶¹. მისი აზრით, რელიგიური თავისუფლებების ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საფრთხეშია, ამ შემთხვევაში, უბრალოდ,

¹⁵⁶ იგივე, გვ. 203-04 (მახვილი დართულია, ციტატა გამოტოვებულია).

¹⁵⁷ იგივე, გვ. 204-06.

¹⁵⁸ იგივე, გვ. 205-06.

¹⁵⁹ იგივე.

¹⁶⁰ იგივე, გვ. 217.

¹⁶¹ იბ. იგივე, გვ. 221-22 (ტულკენის, მოსამართლე, გამოთქვა განსხვავებული აზრი).

„ადგილობრივ“ საკითხს კი არ წარმოადგენს, „არამედ მნიშვნელოვანს ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის. მაშასადამე ევროპის სასამართლოს ზედამხედველობაზე უარის თქმა არ შეიძლება, უბრალოდ, „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინის გამოყენებით¹⁶².

რა საფუძვლებს ემყარებოდა მოსარჩელის რელიგიის თავისუფლების უფლებაში ჩარევა, რომლითაც აეკრძალა თავსაბურის ტარება? ამ საქმეში, მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისა და სასამართლოს მიერ მოყვანილ არგუმენტებზე დაყრდნობით, უმრავლესობამ წინა პლანზე წამოსწია ზოგადად და აბსტრაქტულად ორი არგუმენტი: სეკულარიზმი და თანასწორობა. თუმცა მე სრულად და მთლიანად ვემხრობი თითოეულს ამ ორი პრინციპიდან, არ ვეთანხმები მანერას, როგორც ისინი აქ არიან გამოყენებული და ინტერპრეტაციას, რომელიც მათ გააკეთეს თავსაბურავების ტარების წესთან დაკავშირებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში, მე მჯერა, რომ აუცილებელია მოიძებნოს ჰარმონია სეკულარიზმს, თანასწორობასა და თავისუფლებას შორის, რომ ერთმა არ გადაწონოს მეორე¹⁶³.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი საქმე არ განიხილავს მთავრობის მიერ რელიგიური სიმბოლოების გამოყენებას, ისინი მაინც მნიშვნელოვანი პრეცედენტები არიან ლუცის საქმეში ორივე მხარისათვის. ეს საქმეები შესაძლოა გამოყენებული იქნეს ლუცის სარჩელის მხარდა-საჭერად მისთვის და მისი შვილებისათვის რელიგიური თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ერთადერთი გზა, რითაც მათ, როგორც რელიგიურმა უმცირესობამ, შეიძლება ნამდვილი „თანასწორობით“ და „თავისუფლებით“ ისარგებლონ იტალიაში, არის ის, რომ სახელმწიფო გაითავისოს სეკულარიზმის პრინციპი, მოხსნას ეს რელიგიური სიმბოლოები და წერტილი დაუსვას იმ ადათ-წესებს, რომლებიც პრივილეგირებულს ხდის და ასახავს გაბატონებულ კათოლიკურ რწმენას. განსაკუთრებით, სახელმწიფო სკოლის კონტექსტში, სადაც ბავშვები სწავლობნენ დემოკრატიისა და თავისუფლების საფუძვლებს, სიმბოლოების პასიური გამოფენაც კი, რომელიც აშკარად ქრისტიანულია და მუდმივად წარმოდგენილია საკლასო ოთახში, არღვევს სეკულარიზმის მოთხოვნებს.

თუ ამ არგუმენტს მივყვებით, შეიძლება თქმა, რომ სეკულარიზმი არის ის, რაც აკაგში-რებს ერთმანეთთან ევროპის ტრადიციების ნარევს – ვათოლიკურ იტალიას, ირლანდიას და პოლონეთს, პროტესტანტულ შვედეთს და ნორვეგიას, ანგლიკანურ ინგლისს, მუსლიმანურ თურქეთს, მართლმადიდებლურ საბერძნეთსა და რუმინეთს, და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დიდი რაოდენობით ათეიისტებს¹⁶⁴. ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციის ხელმოწერით¹⁶⁵, ამ ქვეყნებმა ასევე აღიარეს სეკულარიზმის პრინციპი, რომელიც მასშია ჩადებული. ერთადერთი გზა იმის უზრუნველყოფისა, რომ თითოეულმა ქვეყანამ დაიცვას თავისი ვალდებულებები ადამიანის უფლებების მიმართ და ასევე დაიცვას ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის პრინციპები, რომლებსაც მოითხოვს ადამიანის უფლებები, არის

¹⁶² იგივე, გვ. 222.

¹⁶³ იგივე გვ. 221-22.

¹⁶⁴ იხ. იგივე, გვ. 192-94 (უმრავლესობის აზრი).

¹⁶⁵ იგივე, გვ. 205-06.

ის, რომ უნდა აიკრძალოს რელიგიური სიმბოლოები საჯარო ადგილებში, კერძოდ, საჯარო სკოლებში, მიუხედავად იმისა, ეს სიმბოლოები სახელმწიფოს მიერ არის განთავსებული თუ კერძო მხარის მიერ. განსაკუთრებით ისეთი „ძლიერი გარეგანი სიმბოლო“ როგორიცაა თავსაბური, როგორც დალაბის სასამართლომ აღნიშნა, შესაძლებელია გაგებული იქნეს როგორც მუქარა „ტოლერანტობის, სხვების პატივისცემის და რაც მთავარია, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის იდეებისადმი¹⁶⁶.“ საუკეთესო გზა არის ამ რელიგიური სიმბოლოების აკრძალვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ არგუმენტის დასკვნის მიხედვით თუ შევაჯამებთ ფოლგეროსა და გრუელაკის¹⁶⁷ საქმეებში ათეისტებისა და აგნოსტიკოსების რელიგიური თავისუფლების შესახებ მოთხოვნების მხარდაჭერას სახელმწიფოს მიერ რელიგიის თავსმოხვევის წინააღმდეგ სეკულარიზმისაკენ მუდრე მოწოდებებთან დალაბის, დოგრუს და შაჰინის საქმეებში¹⁶⁸, ლუციმ და მისმა შვილებმა უნდა გაიმარჯვონ.

მთავარი საკითხი, რაშიც შეიძლება იტალია შეგვეწინააღმდეგოს, არის ის, თუ რამდენად გულწრფელია ევროპული სასამართლო, როცა ეროვნულ ხელისუფლებას ანიჭებს „შეფასების თავისუფლებას“ კულტურის თვალსაზრისით „მგრძნობიარე“ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც არ არსებობს „ევროპული კონსენსუსი“¹⁶⁹? თუ სასამართლო უბრალოდ იყენებს „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინას, როგორც მთელ ევროპაში სეკულარიზმის დამკვიდრების საბაბს, მათ შორის იმ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა იტალია, რომელიც უარყოფს ამ პრინციპს. ევროპას, ბოლოს და ბოლოს, არავითარი კონსენსუსი არა აქვს სეკულარიზმის მოთხოვნებთან დაკავშირებით და ევროპის კონვენციაში არ არსებობს არავითარი მითითება სეკულარიზმზე როგორც ყველას უფლებების პატივისცემის პირობაზე¹⁷⁰, რაც არ უნდა საპირისპირო წარმოლგენა ჰქონდეს სასამართლოს. უფრო მეტიც, ევროპაშ ვერ მიაღწია კონსენსუსს სახელმწიფო ადგილებში ან შენობებში რელიგიური სიმბოლოების განთავსების მართებულობის შესახებ. ესენი ძალიან ფაქტიზი ადგილობრივი საკითხებია ისეთ უძველეს რელიგიურ კულტურებში როგორიცაა იტალია, რომელიც თანდათანობით მიიწევს თავისი საკუთარი პირობებით და თავისი საკუთარი განრიგით უფრო მეტი პლურალიზმისაკენ.

უფრო მეტიც, რატომ უნდა უარყოს ევროპის სასამართლომ მე-9 მუხლის საჯუდვლიანი სარჩელი, რომელიც აღძრულია გულწრფელი მუსლიმების მიერ, რომლებიც ეწევიან დამკვიდრებულ რელიგიურ პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება სეკულარიზმის ახალ ნაციონალურ პოლიტიკას და რატომ უნდა დაუჭიროს მხარი მე-9 მუხლზე დაფუძნებულ მოთხოვნებს იმ სეკულარისტისა, რომელიც ახლახანს ჩამოვიდა ემიგრანტად იტალიაში თავისი შვილებით, მაგრამ ასაჩივრებს ქრისტიანობის უძველესი ტრადიციების გამოვლინებას? ახალგაზრდა მოსწავლემ – რომელზე პასუხისმგებლობასაც სეკულარისტი შშობელი იღებს – რატომ უნდა მიიღოს რელიგიური თავისუფლების სრული დაცვა უმრავლესობის რელიგიის თუნდაც არაპირდაპირი გავლენისგან, მაშინ როცა გულწრფელ მუსლიმ მოზარდს არ შეუძ

¹⁶⁶ დალაბი შვეიცარიის წინააღმდეგ, 2001-V ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო 447, 463.

¹⁶⁷ იხ. ზოგადად ფოლგერო, იხ. შენიშვნა ზემოთ 107, § 51-57, 86; გრუელაკი, იხ. შენიშვნა ზემოთ 108.

¹⁶⁸ იხ. ზოგადად დალაბი, 2001-Vადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 447; დოგრუ, იხ. ზემოთ შენიშვნა 128; შაჰინი, 2005 – XI ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 173.

¹⁶⁹ იხ. ლუცი იტალიის წინააღმდეგ, იხ. ზემოთ შენიშვნა 1, § 38-41.

¹⁷⁰ იხ. ივივე, § 41.

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

ლია ჰქონდეს უფლება, რომ ატაროს მოკრძალებული თავსაბურავი, როცა იგი სარგებლობს განათლების უფლებით? ევროპის სასამართლომ სეკულარისტის მხარე დაიკავა, როგორც იტალიის მხარდამჭერი არგუმენტი დაასკვნის, და დაივიწყა რელიგიური თავისუფლების ნამდვილი მნიშვნელობა.

ე. გამოხატვის თავისუფლება

სასამართლო საქმეში ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ, ევროპის სასამართლომ გამოიყენა „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა, რათა ანგარიში გაეწია ქრისტიანობის ავსტრიული ტრადიციებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა მე-10 მუხლის გამოხატვის თავისუფლებაზე დაფუძნებულ საფუძვლიან მოთხოვნებს, ეჩვენებინათ შეურაცხმყოფელი ანტირელიგიური ფილმი¹⁷¹. ამ საქმეში „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა გამოყენებული იქნა იტალიის არგუმენტის სასარგებლოდ ლუცის საქმეში.

კიდევ ერთი მე-10 მუხლის საქმე ვაჯრაი უნგრეთის წინააღმდეგ¹⁷² შესაძლოა დავინახოთ როგორც იტალიისათვის სასარგებლო. მემარცხენე ფრთის პოლიტიკოსი, უნგრეთში სახალხო დემონსტრაციის განმავლობაში ატარებდა ხუთქიმიან წითელ ვარსკვლავს, კომუნისტური დროის არაპოპულარულ სიმბოლოს¹⁷³. მას ბრალი დასდეს ტოტალიტარული სიმბოლოს საჯაროდ ტარებისათვის¹⁷⁴. მან აღძრა სარჩელი ევროპის სასამართლოში, სადაც ამტკიცებდა მე-10 მუხლის გამოხატვის თავისუფლების დარღვევას¹⁷⁵. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება პოლიტიკოსის სასარგებლოდ¹⁷⁶. სასამართლომ გაითვალისწინა უნგრეთის ისტორიის განსაკუთრებულობა მისი პოლიტიკური გარდაქმნის შემდეგ.

„თითქმის ორი დეკადა გავიდა მას შემდეგ რაც უნგრეთმა დაიწყო სვლა პლურალიზმისაკენ და ქვეყანამ დაამტკიცა რომ არის სტაბილურად დემოკრატიული... ის გახდა ევროკავშირის წევრი-სახელმწიფო, მას შემდეგ რაც

იგი გახდა სრულიად ინტეგრირებული ევროსაბჭოსა და კონვენციის ფასეულობებში. უფრო მეტიც, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გვამცნობს, რომ არსებობს რეალური და არსებული საფრთხე რაიმე პოლიტიკური მოძრაობის ან პარტიის მიერ კომუნისტური დიქტატურის აღდგენისა. მთავრობას არ უჩვენებია, რომ ასეთი საფრთხე არსებობდა, სანამ საკანონმდებლო აკრძალვას დაადგენდა ამ საკითხზე¹⁷⁷.

¹⁷¹ იხ. ზემოთ შენიშვნა 91-97 და თანმხლები ტექსტი.

¹⁷² ვაჯრაი უნგრეთის წინააღმდეგ, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო (2008), http://www.echr.coe.int/echr/Homepage_EN (მიყევით "Case law" ბმულს; შემდეგ მიყევით "HUDOC" ბმულს; მოათავსეთ "Vajnai" გრაფაში "Case Title" და "Hungary" უჯრაზი "Respondent State");

¹⁷³ იგივე, § 6.

¹⁷⁴ იგივე, § 7-8.

¹⁷⁵ იგივე, § 3.

¹⁷⁶ იგივე, § 58.

¹⁷⁷ იგივე, § 49 (ორიგინალში ციტატა გამოტოვებულია).

არა მარტო სრული აკრძალვა არ იყო გამართლებული, ის აგრეთვე მეტისმეტად ზოგადი იყო, რადგანაც არ მოითხოვდა არანაირ მტკიცებულებას, იყო თუ არა ბრალდებული გაიგივებული იმ იდეებთან, რომლებსაც ვარსკვლავი წარმოადგენდა.

აკრძალვა შესაძლოა ვრცელდებოდეს საქმიანობებსა და იდეებზე, რომლებსაც იცავს მე-10 მუხლი და არ არსებობს სხვა დამაკმაყოფილებელი გზები, რომ განცალკევებული იქნეს აკრძალული სიმბოლოს სხვადასხვა მნიშვნელობა. მართლაც, უნგრული სამართალი არც ცდილობს გააკეთოს ეს. უფრო მეტიც, ასეთი განცალკევება შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, გაურკვევლობა მაინც შეიძლებოდა წამოჭრილიყო, რაც გამოიწვევდა მსუსხავ ეფექტს გამოხატვის თავისუფლებაზე და თვითცენტურას¹⁷⁸.

სასამართლომ აღიარა ის ღრმა დამღა, რომელიც კომუნიზმა დააჩნია უნგრეთს, თუმცა მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, რომ აღარ არსებობს საკმარისი სოციალური აუცილებლობა იმისა, რომ დანაშაულად მივიჩნიოთ ვარსკვლავი, რომელიც სიმბოლოა ყოფილი კომუნისტური რეჟიმისა¹⁷⁹.

მომჩინენის ბრალდება იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ იგი ატარებდა წითელ ვარსკვლავს არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო „კიდურესი საზოგადოებრივი საჭიროების“ გამოვლინებად. უფრო მეტიც, ზომები, რომლის მიხედვითაც მისი საქციელი იყო სანქცირებული, თუმცა შედარებით მსუბუქად, მიეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროს, რომელიც იწვევს ყველაზე მძიმე შედეგებს. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ

ეს სანქცია პროპარციული იყო ლეგიტიმური მიზნისა. აქედან გამომდინარე, მოსარჩევლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ შეიძლება გამართლებული იყოს კონვენციის მე-2 მუხლის მ-2 პარაგრაფის მიხედვით¹⁸⁰.

თუმცადა კონვენციის მე-9 და მე-10 მუხლების მოქმედების სფერო და სტანდარტი განსხვავებულია, ვაჯნაის საქმეს ცოტა საერთო აქვს ლუცის საქმესთან. იტალიის სასარგებლოდ, საქმე აღიარებს, რომ ერთ დროს შეურაცხმყოფელ სიმბოლოებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუძლიათ დაკარგონ თავისი სიმძაფრე დროთა განმავლობაში და გახდნენ პლურალისტული კულტურის მიღებული ნაწილი, რომელიც უხვად შეიცავს ყველა სახის წინააღმდეგობრივ სიმბოლოებს¹⁸¹. კომუნიზმის გადავარდნიდან მხოლოდ ორი დეკადის შემდეგ კომუნისტური რეჟიმის სიმბოლო, წითელი ვარსკვლავი, ახლა უკვე მიჩნეულია საზოგადოებრივი ცხოვრების მისაღებ ნაწილად, მაშინაც კი, თუ ვარსკვლავი ბევრ ექსპერტს შეახსენებს ადრეულ შევიწროებასა და პოლიტიკურ დამცირებას, და მაშინაც კი, თუ ვარსკვლავს ატარებს პოლიტიკური ოფიციალური პირი¹⁸². ვარსკვლავის ტარება შეიძლება ცუდი გემოვნების მაჩვენებელი იყოს, მაგრამ ვაჯნაის საქმეში სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, ვარსკვლავი წარმოადგენდა თუ არა „რეალურ და ამჟამინდელ საფრთხეს კომუნიზმის დაბრუნებისას,

¹⁷⁸ იგივე, § 54.

¹⁷⁹ იგივე, § 57.

¹⁸⁰ იგივე, § 58.

¹⁸¹ იხ. იგივე § 48-58.

¹⁸² იხ. იგივე.

რასაც, ცხადია, ის არ წარმოადგენდა¹⁸³. იტალიას შეუძლია მოიყვანოს მსგავსი არგუმენტი თავისი ჯვარცმისთვის: თუ დროის გასვლამ როგორ გადააქცია იგი პლურალისტული ცხოვრების მისაღებ ნაწილად. ეს ჯვარცმები არ მოასწავებენ კათოლიკურ დაწესებულებებთან დაბრუნებას, არც წარმოადგენენ სიგნალს „რეალური და ამჟამინდელი საფრთხისა“, რომ იტალიის დემოკრატია მაღლე ჩანაცვლებული იქნება კათოლიკური მმართველობით. უფრო მეტიც, ის დანაშაულებები, რომელთა გამოც ჯვარცმები შეიძლება ასოცირდებოდნენ წინა საუკუნეების ჯვაროსნულ ლაშქრობებთან, გამანადგურებელ ბრძოლებთან და ინკვიზიციასთან დიდი ხანია დამთავრდა¹⁸⁴, უფრო დიდი ხნის წინ, ვიდრე დანაშაულებები, რომლებიც ასოცირდება კომუნისტურ წითელ ვარსკვლავთან, რომელიც ბევრ უნგრელ მოქალაქეს ჯერ კიდევ ახსოვს. მაშინ როცა ჯვარცმა შესაძლოა შეურაცხებული იყოს საზოგადოების მცირერიცხოვანი წევრებისათვის, როგორიცაა ლუცი და მისი შვილები, ისინი წარმოადგენენ სათუთ კულტურულ ფასეულობას სხვა მილიონობით ადამიანისათვის. ლუცის შეხედულებები ფაქტობრივად შეურაცხებული იტალიის საზოგადოების მილიონობით წევრს, მაგრამ ეს შეხედულებები არ შეიძლება გატარდეს ცენზურის ქვეშ მხოლოდ ამ მიზეზით. გამოხატვის თავისუფლება მოითხოვს, რომ ყველა შეხედულება გაულერდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არავის არ უნდა შეეზღუდოს უფლება იმის შიშით, რომ განსხვავებული აზრის მქონეთა წინააღმდეგობას გამოიწვევს („ხელის შემშლელის ვეტო“).

ამის საწინააღმდეგოდ, ლუცის არგუმენტი შეიძლება იყოს ის, რომ „გამოხატვის თავისუფლება“ არის უფლება, რომელსაც ინდივიდუალური პირი იყენებს სახელმწიფოს წინააღმდეგ და არა სახელმწიფოს – ინდივიდუალური პირის წინააღმდეგ. შემდგომი კონტრარგუმენტი შეიძლება იყოს ის, რომ ეს ჯვარცმები უმნიშვნელო სიმბოლოებს კი არ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ისინი არიან საჯარო სკოლის საკლასო ოთახის გამორჩეული ნაწილი და სახელმწიფო აიდულებს მოსწავლებს, რომ სკოლაში იარონ. ამასთან, ეს საქმე შეეხება გამოხატვის თავისუფლებას და არა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

როგორც ზემოთ ხსენებული სასამართლო საქმეების მიმოხილვა გვიჩვენებს, დიდ პალატას ლუცის საქმეში არგუმენტების ფართო სპექტრი აქვს თავის განაკარგულებაში. საინტერესოა, რომ როგორც ჩვენ აღვნიშნავთ დასკვნაში, დიდმა პალატამ მცირე ძალისხმევა მიმართა იმისათვის, რომ განესხვავებინა ეს პრეცედენტები ან უფრო სერიოზულად მაინც განეხილა ისინი. ეს დატოვებს საკმარის ადგილს არგუმენტებისათვის შემდგომ საქმეებში, რომელიც დაკავშირებული იქნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიურ სიმბოლოებთან და რომელიც უეჭველად წარმოშობა ევროპის სხვადასხვა რეგიონში.

¹⁸³ იგივე, § 49.

¹⁸⁴ იხ. პინი, ზემოთ შენიშვნა 6, გვ. 102-04.

II. რელიგიური თავისუფლება და რელიგიური სიმბოლოები აშშ-ის უზენაეს სასამართლოში¹⁸⁵

აშშ-ის უზენაესი სასამართლო განუწყვეტლივ ფუნქციონირებს 1790¹⁸⁶ წლიდან, საქმეები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელისუფლების კუთვნილ მიწაზე რელიგიური სიმბოლოების შესახებ გამოჩნდა მხოლოდ ბოლო 30 წლის განმავლობაში¹⁸⁷. ყველა ეს საქმე წარმოიშვა აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების დებულების საფუძველზე, რომელიც როგორც აღვნიშნეთ შესავალში, უზრუნველყოფს, რომ „კონგრესი არ მიიღებს კანონს რელიგიის დაწესების შესახებ“¹⁸⁸. ეს საკონსტიტუციო დებულება, რომელიც რატიფიცირებულია 1791 წელს¹⁸⁹, არ აღსრულებულა ამერიკის ისტორიის პირველი 150 წლის განმავლობაში¹⁹⁰. 1947 წლამდე უზენაესმა სასამართლომ მოისმინა მხოლოდ ორი საქმე პირდაპირ დაწესების დებულებასთან დაკავშირებით და ორივე მთავრობის სასარგებლოდ გადაწყდა¹⁹¹. ეს მდგომარეობა დრამატულად შეიცვალა 1947 წელს, როცა სასამართლომ განიხილა ცნობილი სასამართლო საქმე ევერსონი განათლების ბორდის წინააღმდეგ¹⁹². ევერსონში დაწესების დებულება პირველად იქნა გამოყენებული შტატების და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს მოთხოვნა ინკორპორირებული იქნა მე-14 შესწორების ჯეროვანი პროცესის დებულებაში¹⁹³. ევერსონმა ასევე განაცხადა, რომ დებულება რომელიც კრძალავს რელიგიის დაწესების დაკანონებას, მიზნად ისახავდა, აღემართა გამყოფი კედელი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის¹⁹⁴. ამან გამოიწვია საქმეების მოზღვავება. 1947 წლიდან უზენაესმა სასამართლომ მოისმინა თითქმის 70 საქმე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია „დაწესების დებულებასთან“¹⁹⁵.

ამ „დაწესების დებულების“ საქმეების ორი მესამედი დაკავშირებული იყო განათლებასთან, უფრო კონკრეტულად – რელიგიის ადგილთან საჯარო სკოლებში და მთავრობის ადგილთან რელიგიურ სკოლებში¹⁹⁶. კერძოდ, რელიგიისა და საჯარო სკოლების საქმეებში, სასამართლომ გააკეთა ყველაზე მძლავრი განცხადებები, რომ „დაწესების დებულება“ მოითხოვდა „მაღალი და მიუდგომელი კედლის „აღმართვას ეკლესიასა და სახელმწიფოს შო-

¹⁸⁵ იხ. ვითი და ნიკოლასი, იხ. ზემოთ შენიშვნა 33, 287-94.

¹⁸⁶ სასამართლოს სახლი, უზენაესი სასამართლოს ისტორია, <http://www.supremecourthistory.org/history-of-the-court/home-of-the-court> (ზოლო ვიზიტი 20 მარტი, 2011).

¹⁸⁷ იხ. ვითი და ნიკოლასი, იხ. ზემოთ შენიშვნა 33, გვ. 227-36.

¹⁸⁸ აშშ-ის კონსტიტუციის I შესწორება.

¹⁸⁹ ვითი და ნიკოლასი, იხ. შენიშვნა ზემოთ 33, გვ. 89.

¹⁹⁰ იხ. იგივე, გვ. 109-10.

¹⁹¹ Reuben Quick Bear ლეუპაბის წინააღმდეგ, 210 უზენაესი სასამართლო 50, 82 (1908); ბრადფილდი რობერტსის წინააღმდეგ, 175 უზენაესი სასამართლო 291, 300 (1899).

¹⁹² ევერსონი განათლების ბორდის (საბჭოს) წინააღმდეგ, 330 უზენაესი სასამართლო 1, (1947).

¹⁹³ იხ. იგივე, გვ. 13-15.

¹⁹⁴ იგივე, გვ. 16 (ციტირება რეინოლდი აშშ-ის წინააღმდეგ, 98 უზენაესი სასამართლო 145, 164 (1879).

¹⁹⁵ სასამართლო საქმეთა სიისათვის იხილე ვითი და ნიკოლასი, იხ. ზემოთ შენიშვნა 33, 305-38

¹⁹⁶ იგივე, გვ. 223.

რის¹⁹⁷. „ეს კედელი უნდა იყოს მაღალი და მიუდგომელი. ჩვენ არ შეგვიძლია გავამართლოთ უმცირესი დარღვევაც კი“¹⁹⁸. სასამართლომ გამოიყენა ეს მკაცრი სეპარატისტული ორგიკა, რათა აეკრძალა რელიგიური მასწავლებლების, რელიგიური ოფიციალური პირების ჩართვა საჯარო სკოლებში, ბიბლიის კითხვა, მოსწავლების ლოცვა, სიჩრუმის წუთები და სამყაროს შექმნის ბიბლიურ ვერსიაზე დაფუძნებული მეცნიერების გამოყენება საჯარო სკოლებში, ლოცვები და რელიგიური ცერემონიები აიკრძალა საჯარო სკოლების ისეთ განსაკუთრებულ ღონისძიებებზეც კი, როგორიცაა სკოლის დამთავრების ცერემონია და ფეხბურთის მატჩები¹⁹⁹. ამ საქმეებში, სასამართლომ აგრეთვე შექმნა სამნაწილიანი ტესტი პირველი შესწორების დებულების შესაფარდებლად²⁰⁰. ლემონ-კურცმანის საქმეში²⁰¹ სასამართლომ განაცხადა, რომ მთავრობის ნებისმიერი ქმედება, რომელიც სადავო იქნებოდა „დაწესების დებულებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით კონსტიტუციურობის პირობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებდა თუ: (1) ექნებოდა საერო მიზანი, (2) მისი პირველადი ეფექტი არც წაახალისებდა და არც დააბრკოლებდა რელიგიას და (3) არ შექმნიდა გადამეტებულ დაახლოებას ეკლესიასა და სახელმწიფო ოფიციალურ პირებს შორის²⁰². ლემონის ტესტი, როგორც მას დაერქვა, უნდა გამოეყენებინათ არა მარტო რელიგიისა და განათლების საქმეებზე, არამედ ყველა საქმეში, რომელიც წარმოიშობოდა დაწესების დებულებასთან დაკავშირებით²⁰³.

უზენაესი სასამართლოს სხვა საქმეები დაწესების დებულებასთან დაკავშირებით 1980 დან 2010 წლამდე, განათლების გარდა, ეხებოდა მთელ რიგ საკითხებს, რომლებმაც წარმოშვა ორი რთული კითხვა: (1) რა როლი შეიძლება ითამაშონ რელიგიურმა ოფიციალურმა პირებმა, ცერემონიებმა და სიმბოლოებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და 2) რამდენად შეუძლია მთავრობას ცნოს, მხარი დაუჭიროს, დააფინანსოს, დააბინავოს ან მონაწილეობა მიიღოს რელიგიის გამოხატვის ამ ფორმებსა და ფორუმებში?

მაღლე, იმის შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ევერსონის საქმეზე, საქმეები მიაწყდა ქვემო ინსტანციის ფედერალურ სასამართლოებს, სამართალწარმოებაში ჩაბმულმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირი, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვინისთვის ამერიკელების კავშირი და ლიგა ცილისწარმების წინააღმდეგ ბევრი სასამართლო პროცესი წამოიწყეს²⁰⁴. მათ ძალისხმევას დაემატა და კატალიზატორივით იმოქმედა მზარდმა ანტიკულტურულმა მოძრაობამ 1969 წელს, (გაიხსენეთ

¹⁹⁷ ევერსონი განათლების ბორდის წინააღმდეგ, 330 უზენაესი სასამართლო 1, 18 (1947).

¹⁹⁸ იგივე.

¹⁹⁹ სანტა ფეს დამოუკიდებელი სასკოლო დანაყოფი დოუს წინააღმდეგ, 530 უზენაესი სასამართლო 290, (2000); ლი ვესამანის წინააღმდეგ, 505 უზენაესი სასამართლო 577 (1992); ედვარდი აგვილარდის წინააღმდეგ, 482 უზენაესი სასამართლო 578 (1987); ვოლასი ჯეფრის წინააღმდეგ, 472 უზენაესი სასამართლო 38 (1985), სთიუბი გრემის წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო 39 (1980); ჩემბერლენი დედის ოლქის წინააღმდეგ, 377 უზენაესი სასამართლო 402 (1964); აბინგტონის ქალაქის სასკოლო რაიონი სქემის წინააღმდეგ, 374 უზენაესი სასამართლო 203 (1963); ენჯელი ვიტალის წინააღმდეგ, 370 უზენაესი სასამრთლო 421 (1962); ილინოისის ex.rei მაქოლინი განათლების საბჭოს წინააღმდეგ, 333 უზენაესი სასამართლო 203 (1948).

²⁰⁰ ლემონი კურცმანის წინააღმდეგ, 403 უზენაესი სასამართლო 602, 612-13 (1971).

²⁰¹ იგივე.

²⁰² იგივე.

²⁰³ ვითი და ნიკოლასი, იხ. ზემოთ შენიშვნა 33, გვ. 177-81.

²⁰⁴ იგივე, გვ. 223.

ჰიპების მოძრაობა, უუდსთოკი და ვიეტნამის ომის პროტესტი)²⁰⁵, მზარდმა ანტირელიგიურმა განწყობამ ამერიკის აკადემიაში 1970-იან წლებში(გაიხსენეთ „დმერთი მკვდარია“ მოძრაობა და რელიგიის მარქსისტული კრიტიკა)²⁰⁶ და რელიგიური და კულტურული უმცირესობების წინააღმდეგობამ, რომელთა შეხედულებებს ძალიან ცოტა ადგილი ეთმობოდა უმრავლესობის პოლიტიკასა და პრაქტიკაში²⁰⁷. კულტურის კრიტიკოსები და მოსარჩელეები კონსტიტუციურ დავებში ეწინააღმდეგებოდნენ მთელ რიგ სხვადასხვა შერწყმას რელიგიებსა და სახელმწიფოს შორის – რელიგიური ნაწერების, ხელოვნების და სიმბოლოების არსებობას ხელისუფლების საკანცელარიო ნივთებზე, ბეჭდებზე, საზოგადოებრივ პარკებში და ხელისუფლების კუთვნილ შენობებზე, ასევე რელიგიური მხატვრობის, მუსიკის, ლიტერატურის, ქანდაკებების შესყიდვისა და სახელმწიფო მუზეუმებში გამოფენას, ხელისუფლების მიერ ქრისტიანული კვირა დღის და დღესასწაულების ცნობას და სხვა²⁰⁸.

1980 წლამდე ძალიან ცოტა ასეთ საქმეს ჰქონდა პროგრესი ქვემდგომ ფედერალურ სასამართლოებში²⁰⁹. უზენაესი სასამართლო დაუინებით ამბობდა უარს ასეთი საქმეების შესახებ სარჩელების განხილვაზე, საქმეების ერთი მცირე ჯგუფის გარდა 1961 წელს, რომლებიც დავობდნენ ტრადიციული შაბათის უქმე დღის კანონებთან დაკავშირებით²¹⁰. თუმცა 1980 წლის შემდეგ სასამართლომ ხელი მოკიდა რამდენიმე საქმეს, სახელმწიფოს მხარდაჭერით რელიგიური სიმბოლოების განთავსების შესახებ²¹¹. ამ საქმეებმა სასამართლოში გამოიწვია ღრმა აზრთა სხვადასხვაობა (და ახლაც იწვევს, რასაც მოჰყვა სრულიად განსხვავებული მიდგომები დაწესების დებულებასთან დაკავშირებით და მთელი რიგი მძაფრად განსხვავებული მოსახრებებისა რამდენიმე მოსამართლის მხრიდან, რომელთაგან აღსანიშნავია სკალია, საუტერი და სტევენსი²¹².

²⁰⁵ იგივე.

²⁰⁶ იგივე.

²⁰⁷ იგივე.

²⁰⁸ იგივე.

²⁰⁹ იგივე, გვ. 224.

²¹⁰ იხ. ზოგადად ბრონფილდი ბრაუნის წინააღმდეგ, 366 უზენაესი სასამართლო 599 (1961) (დაადგინა, რომ კანონი, რომელიც კრძალავს კვერა დღეს ვაჭრობას, არ არღვევს ებრაელი მოსარჩელის თავისუფალ რიტუალის უფლებას, რომელიც მკაცრად ინახავს შაბათ დღის უქმების ტრადიციას); გალეგერი ქრონუქ მასაჩუსეტის ქოშარი პროლეტარიატის სუპერმარკეტის უქმედ გამოცხადება არ არღვევს ქოშარი პროლეტარკეტის ებრაელი მფლობელის, მართმადიდებელი ებრაელი მომზადერებლის არ რაბინის წილის მოგვალეობას შეამოწმოს ქოშარი პროლეტარი ავების კანონის საფუძველზე) რელიგიის თავისუფლებას); მაქოვანი მერილანდის წინააღმდეგ, 366 უზენაესი სასამართლო 420 (1961) (დაადგინა, რომ სახელმწიფო კანონი, რომელიც კრძალავდა გარკვეულ ბიზნესს და კომერციული საქმიანობა ავირა დღეს არ ეწინააღმდეგებოდ რელიგიის დაწესების დებულებას); რომ ასალგაზრდა ჰარისონ-ალენტონიდან, კორპორაცია მაქინილის წინააღმდეგ, 366 უზენაესი სასამართლო 582 (1961) (ადგენს, რომ კვირა დღის სავალდებულო უქმედ გამოცხადების კანონი არ არღვევს რელიგიის დაწესების დებულებას).

²¹¹ იხ. სალაზარი ბურნოს წინააღმდეგ, 130 უზენაესი სასამართლო 1803 (2010); ფლეზეანთ გროვ სითი სუმუმის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125 (2009); გან ორდენი პერუს წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 677 (2005); მაქრეარის ლექტკენტუკის „მერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირის“ წინააღმდეგ,, 545 უზენაესი სასამართლო 844 (2005); კაპიტოლიუმის შემოგარენის კონტროლისა და მრჩევლობა საბჭო პარტიის წინააღმდეგ, 515 უზენაესი სასამართლო 753 (1989); ალეგენის ლექტი ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირის დიდი პიტსბურგის დანაყოფის წინააღმდეგ, 492 უზენას სასამართლო 773 (1089); ლინი დონელის წინააღმდეგ; 465 უზენაესი სასამართლო 668 (1984); სტოუნი გრეპემის წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო 39 (1980).

²¹² იხ. გან ორდენი, 545 უზენაესი სასამართლო 677, მაქრეარის ლექტი, 545 უზენაესი სასამართლო 844

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

ა. რელიგიური სიმბოლოები საჯარო სკოლებში

სტოუნი გრეჭემის წინააღმდეგ იყო უზენაესი სასამართლოს პირველი საქმე, რომელიც პირდაპირ განიხილავდა რელიგიური სიმბოლოების კონსტიტუციურობას ხელისუფლების საკუთრებაზე²¹³. ეს ფაქტობრივად იყო კიდევ ერთი საქმე რელიგიისა და საჯარო სკოლების შესახებ²¹⁴. სტოუნის სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა შტატის კანონი, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა საჯარო სკოლის თითოეული საკლასო ოთახის კედელზე გამოეფინათ დაფა ათი მცნებით (ან დეკალოგით)²¹⁵. ეს დაფები შეწირეს და ჩამოკიდეს კერძო საზოგადოებრივმა ჯვუფებმა²¹⁶. „ათი მცნება“ არ იკითხებოდა საჯაროდ, არც მასწავლებლები ან ოფიციალური პირები არ ახსნებდნენ მათ ან ეწეოდნენ მის პოპულარიზაციას²¹⁷. თითოეული დაფას ასევე ჰქონდა პატარა წარწერა, რომელიც ცდილობდა მის დაცვას დაწესების დებულების მოთხოვნებისგან: „ათი მცნების საერო გამოყენება აშკარად ჩანს იმაში, რომ ის მიღებულია, როგორც დასავლეთის ცივილიზაციის და შეერთებული შტატების საერთო სამართლის ძირითადი სამართლებრივი კოდექსი²¹⁸.

Lemon-ის ტესტის გამოყენებით სასამართლომ დაგმო ეს დაფების განთავსება, როგორც „დაწესების დებულების დარღვევა“²¹⁹. მისი სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ კანონს, რომელიც უფლებას აძლევდა, დეკალოგები განეთავსებინათ, არ ჰქონდა „საერო საკანონმდებლო მიზანი“, არამედ იგი „აშკარად რელიგიური იყო“²²⁰. ათი მცნება წმინდაა იუდაიზმისა და ქრისტიანული სარწმუნოებისთვის, სასამართლოს აზრით, რა-საც ისინი ადგენენ მორწმუნეთა „რელიგიური ვალდებულებებია“²²¹. კონსტიტუციურად არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ ეს ათი მცნება პასიურად იყო გამოფენილი, რომ ის ფორმალურად ხმამაღლა არ იკითხებოდა და რომ კერძო შეწირულობების ფულით იყო ნაყიდი და არა სახელმწიფო ფულით²²². თავისთავად, ამ დეკალოგების გამოფენის ფაქტი საჯარო სკოლებში ემსახურებოდა მხოლოდ რელიგიურ მიზნებს და ამგვარად იყო პერ სე არაკონსტიტუციური²²³.

²¹³ სტოუნი, 449 უზენაესი სასამართლო, გვ. 40-41.

²¹⁴ იგივე.

²¹⁵ იგივე.

²¹⁶ იგივე, გვ. 41.

²¹⁷ იგივე, გვ. 42.

²¹⁸ იგივე, გვ. 40 (Ky. Rev. Stat. Ann., პარ.158,178 (ვესტ,2010).

²¹⁹ იგივე, გვ. 40-41.

²²⁰ იგივე, გვ. 41.

²²¹ იგივე, გვ. 42.

²²² იგივე.

²²³ იგივე.

ბ. ქრისტეს დაბადების სცენები და მთავრობის მხარდაჭერა

შემდგომი მნიშვნელოვანი საქმე განიხილავდა სახელმწიფო დაფინანსებით რელიგიური სიმბოლოების მოთავსებას კერძო ადგილებში და სასამართლომ მხარი დაუჭირა მათ გამოფენას²²⁴. სასამართლო საქმეში ლინჩი დონელის წინააღმდეგ²²⁵ სასამართლომ განიხილა საკითხი ქრისტეს დაბადების სცენების გამოფენის კონსტიტუციურობის შესახებ²²⁶. ორმოცი წლის განმავლობაში ქალაქ პოტაკეტში, როდ-აილენდის ოფიციალური პირები ადგილობრივ ვაჭრებთან კოორდინაციის გზით, ათავსებდნენ დიდი ზომის ქრისტეშობის სცენას კერძო პარკში ქალაქის სავაჭრო ცენტრის მიდამოებში²²⁷. გამოფენას ჰქონდა ბევრი ტიპური სადღესასწაულო დეკორაცია: ცხოველები, სათამაშოები, ლენტებიანი ბოძები, სანტა კლაუსის სახლი, მარხილი და ირემი, მუყაოს მგალობლები, ფერადი შუქები, „სეზონური დღესასწაულების მისასალმებელი“ ნიშნები, და სხვა²²⁸. ამ დიდ გამოფენაში ჩასმული იყო ბაგის სცენა, რომელიც გამოხატავდა ქრისტეს დაბადებას ბიბლიის მიხედვით²²⁹. ბაგაში იყვნენ ასევე მარიამი, იოსები და ჩვილი იესო, რომლებიც გარშემორტყმულნი იყვნენ ცხოველებით, მწყემსებით, ბრძენი კაცებითა და ანგელოზებით²³⁰. ქრისტეს დაბადების სცენას ეკავა მთელი სადღესასწაულო გამოფენის 10 პროცენტი და შეადგენდა მთელი გამოსახულებების 15%²³¹. ქალაქმა შეისყიდა ქრისტეს დაბადების სცენა 40 წლის წინ და მას შემდეგ შეინახა და შეინარჩუნა მცირე ხარჯის ფასად²³². ადგილობრივი გადასახადების გადამხდელები დაუპირდნენ გამოფენას, როგორც „დაწესების დებულების დარღვევას²³³.

ლინჩის სასამართლომ მხარი დაუჭირა გამოფენას²³⁴, „მთავრობის სამივე შტოს მიერ უწყვეტად და ოფიციალურად ხდება რელიგიის როლის აღიარება ამერიკის ისტორიაში,“ მთავარმა მოსამართლე ბურგერმა გამოხატა უმრავლესობის აზრი და წარმოადგინა ილუსტრაციების დიდი სია, რათა ეჩვენებინა, თუ რამდენად დიდი ხანია, ქრისტეშობის სცენები და სხვა რელიგიური სიმბოლოები ამერიკის კულტურისა და გამოცდილების განუყოფელი ნაწილია²³⁵. მაგრამ კიდევ ერთი მიზეზი ამ გამოფენის მხარდასაჭერად, ბურგერის მტკიცებით, არის ლემონის სამ ნაწილიანი ტესტის გამოყენება²³⁶. ქრისტეშობის სცენა, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანებისათვის რელიგიურად უეჭველად მნიშვნელოვანია, წარმოადგენს შობის დღესასწაულზე „აშკარად საერო გამოფენის“ „პასიურ“ ნაწილებს, აქვთ საერო სამოქალაქე

²²⁴ ლინჩი დონელის წინააღმდეგ, 465 უზენაესი სასამართლო 668, 668 (1984).

²²⁵ იგივე.

²²⁶ იგივე, გვ. 671-72.

²²⁷ იგივე, გვ. 671-82.

²²⁸ იგივე.

²²⁹ იგივე.

²³⁰ იგივე.

²³¹ იგივე.

²³² იგივე.

²³³ იგივე.

²³⁴ იგივე, გვ. 672.

²³⁵ იგივე, გვ. 674.

²³⁶ იგივე.

მიზნები და ფესვგადგმულია საზოგადოებაში²³⁷. მთავრობის მიერ რელიგიის ცნობა – რაც გამოიხატება ამგვარ შობის სცენებში, საკანონმდებლო ორგანოს მიერ ლოცვის აღვლენაში და „ღმერთის გვწამს“ წარწერაში, ფულზე არ არის თავისთავად არაკონსტიტუციური, მოსამართლე ო'კონორის აზრით²³⁸. ნაცვლად ამისა, ისინი ემსახურებიან საყოველთაო ზეიმების აღნიშვნის კანონიერ საერო მიზნებს, რომლებიც გამოხატავენ მომავლის რწმენას, ხელს უწყობენ იმის ცნობას საზოგადოებაში, რაც დაფასების ღირსია²³⁹. ქრისტეშობის სცენის გამოფენის, როგორც უფრო ფართო სადღესასწაულო გამოფენის ნაწილის ძირითადი ეფექტი ქრისტიანული რელიგიის ხელშეწყობა კი არ არის, ამტკიცებდა სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერი, არამედ „ემსახურება კეთილ ნებაზე დაფუძნებული მეგობრული საზოგადოებრივი განწყობის შექმნას“, რომელიც „მოიყვანს ხალხს ქალაქის ცენტრში, მოემსახურება კომერციულ ინტერესებს და სარგებლობას მოუტანს ვაჭრებს“²⁴⁰. მთავრობის მონაწილეობა და ასეთი „ცერემონიალური დეიზმისადმი“ მხარდაჭერა არ ნიშნავს რელიგიასთან მის გადაჭარბებულ დახლოებას და არ შეიძლება შეფასდეს მექანიკურად ან დაწესების „აბსოლუტისტური“ ტესტის გამოყენებით²⁴¹. „ძალიან გვიანია თავს მოვახვიოთ ქვეყანას „დაწესების დებულების ნაცვლიანი ინტერპრეტაცია“²⁴².

ხუთი წლის შემდეგ, სასამართლო საქმეში ალეგენის ოლქი ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირის დიდი პიტსბურგის დანაყოფის წინააღმდეგ²⁴³ სასამართლომ წამოაყენა უფრო ზედმიწევნითი და შეიძლება უფრო „ნაცვლიანი“ ინტერპრეტაცია დაწესების დებულებისგან ხილვისას, რათა ძალადაკარგულად გამოეცხადებინა კიდევ ერთი სადღესასწაულო გამოფენა, რომელიც გრძელდებოდა 6 კვირას მადლიერების დღიდან, გვიან ნოემბერში ახალ წლამდე²⁴⁴. ეს გამოფენა იყო ოლქის სასამართლო შენობაში „დიდ კიბესთან“ ახლოს, ინტენსიური მოძრაობით და ბევრი ადამიანით გადატვირთულ ტეროტორიაზე, რომლებიც მიმართავდნენ ამ შენობას ამ ღიცენზიისათვის, რეგისტრაციისათვის, სადავო საკითხებისათვის, და მსგავსი საქმეებისათვის²⁴⁵. თითქმის მთელი გამოფენა წარმოადგენდა ქრისტეშობის სცენას, რომლებიც წარმოდგენილი იყო იგივე ბიბლიური ქანდაკებებით, რომლებიც გამოფენილი იყო ლინჩის საქმეში²⁴⁶. ყველაზე მაღალი ქანდაკება იყო ანგელოზისა, რომელსაც ეჭირა საყვირი ზედ გასარკვევი და შესამჩნევი წარწერით: "Gloria in Excelsis Deo" („დიდება მაღალ ღმერთს“), ლათინური სიტყვები ნაცნობი საშობაო საგალობლიდან²⁴⁷. კათოლიკე მორწმუნეთა ჯგუფმა შეწირა ეს ქრისტეშობის სცენა და აღმართა პატარა ნიშა-

²³⁷ იგივე, გვ. 685.

²³⁸ იგივე, გვ. 692-93 (ო'კონორი, მოსამართლე, თანმთხვევადი მოსაზრება).

²³⁹ იგივე.

²⁴⁰ იგივე, გვ. 685 (უმრავლესობის მოსაზრება).

²⁴¹ იგივე, 669, 716, ციტირება არტური, საერლანდის, წიგნის მიმოხილვიდან, 40 დამოუკიდებელი სამართლის უურნალი 83,86 (1964).

²⁴² იგივე, გვ. 687.

²⁴³ ალეგენის ოლქი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირის პიტსბურგის დანაყოფის წინააღმდეგ, 492 უზენაესი სასამართლო 573 (1989).

²⁴⁴ იგივე, გვ. 580.

²⁴⁵ იგივე.

²⁴⁶ იგივე.

²⁴⁷ იგივე, გვ. 573.

ნი, რომელიც იგივეს აღნიშნავდა²⁴⁸. ოლქმა შემოავალო გამოფენას პატარა თეთრი მესერი, რომელიც შემოსაზღვრული იყო წითელი ბაბთებით მორთული ორი ფიჭვის ხით და ზედ ჩამწერივებული იყვნენ წითელი და თეთრი პუანსეტიას²⁴⁹ ყვავილები შობამდე სამი კვირის განმავლობაში. ოლქის ადმინისტრაციამ მოიწვია ადგილობრივი უმაღლესი სკოლის ქორო, რომ ემდერათ საგალობლები ქრისტეშობის სცენასთან ლანჩის დროს, რასაც უძლვნიდნენ მსოფლიო მშვიდობასა და ომში დაკარგულ ჯარისკაცებს²⁵⁰. ადგილობრივმა გადასახადების გადამხდელებმა აღძრეს სარჩელი²⁵¹.

ალეგრენის საქმეში სასამართლომ დაგმო ეს ქრისტეშობის სცენის გამოფენა როგორც „დაწესების დებულების დარღვევა“²⁵². მოსამართლე ბლექმანმა გამოხატა უმრავლესობის აზრი და აღნიშნა, რომ ეს გამოფენა იყო ცნობილ, ხელისუფლების კუთვნილ ადგილზე და არა კერძო პარკში, როგორიცაა ლინჩის გამოფენა²⁵³. ეს გამოფენა ექსკლუზიურად რელიგიური იყო შინაარსით და არ შეიცავდა სხვა შესაფერისი ზომისა და უარის საერო გაფორმებას²⁵⁴. ამ გამოფენას ჰქონდა ერთადერთი აშკარა სიტყვიერი მესიჯი – მაყურებლების მოწოდება ედიდებინათ მაღალი ღმერთი²⁵⁵. ყველა ამ გარემოების გამო, მოსამართლე ბლექმანმა დაასკვნა, რომ ამ ფაქტორებს ფატალური ეფექტი ჰქონდათ, ახდენდნენ რა ძირითადად ქრისტიანული რელიგიის ხელშეწყობას და წახალისებას, ყველა სხვა რწმენის გამორიცხვის გზით²⁵⁶.

თუმცა იმავე საქმეში სასამართლომ მხარი დაუჭირა მენორას – რვასანთლიანი შანდლის გამოფენას, რომელიც ხანუკას²⁵⁷ – ებრაული დღესასწაულის სიმბოლოა. საქმე ეხებოდა მენორას აბსტრაქტულ, რვაფუტიან დიზაინს, რომელიც კერძო საკუთრება იყო, მაგრამ ოლქი უზრუნველყოფდა მის შენახვას და გამოფენას²⁵⁸. ის გამოფენილი იყო იმავე სასამართლოშენობის ნაკლებად გამოყენებად შესასვლელში, ქალაქის ორმოცდახუთფუტიანი საშობაო ნაძვის ხის გასწვრივ, რომელსაც ეწერა „სალამი თავისუფლებას²⁵⁹“. იმის გამო, რომ მენორა მოთავსებული იყო ნაკლებად თვალშისაცემ ხელისუფლების კუთვნილ მიწაზე, აგრეთვე იმის გამო რომ აბსტრაქტული დიზაინი ჰქონდა, ახლოს იდგა ბევრად უფრო მაღალ ხესთან წარწერით „სალამი თავისუფლებას“, ჰქონდა ნაკლები სიტყვიერი რელიგიური მესიჯები და როგორც სიმბოლოს(მენორა) გააჩნდა როგორც რელიგიური აგრეთვე კულტურული მნიშვნელობა. ეს გამოფენა კონსტიტუციურად მისაღებად ჩათვალა, ბლექმანმა²⁶⁰. სასამართლო გადაწყვეტილებაში არ უმსჯელიათ იმ დისონანსის შესახებ, რასაც იწვევს

²⁴⁸ იგივე.

²⁴⁹ იგივე, გვ. 580.

²⁵⁰ იგივე, გვ. 581.

²⁵¹ იგივე, გვ. 587-88.

²⁵² იგივე, გვ. 579.

²⁵³ იგივე, გვ. 598.

²⁵⁴ იგივე, გვ. 598-99.

²⁵⁵ იგივე, გვ. 600.

²⁵⁶ იგივე, გვ. 601 – 02.

²⁵⁷ იგივე, გვ. 579.

²⁵⁸ იგივე, გვ. 587.

²⁵⁹ იგივე.

²⁶⁰ იგივე, გვ. 613-20.

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

ერთსა და იმავე სასამართლო შენობაში მენორას კონსტიტუციურად ცნობა და ქრისტეშობის სცენის ძალადაკარგულად გამოცხადება, თუმცა გადაწყვეტილება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ თითოეული საქმე გადაწყვდა რელიგიური სიმბოლოების შინაარსის და კონტექსტის გათვალისწინებით²⁶¹.

გ. რელიგიური სიმბოლოების კერძო გამოფენა სახალხო ფორუმებზე

რელიგიური სიმბოლოს დახასიათება ხელახლა გახდა საჭირო 6 წლის შემდეგ საქმეში კაპიტოლიუმის შემოგარენის კონტროლისა და მრჩეველთა საბჭო პინააღმდეგ²⁶². ერთ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში ოპაიო შტატის კაპიტოლიუმის შენობის ირგვლივ 10 აკრის სიდიდის მოედანს იყენებდა სახალხო შეკრებების და სხვადასხვა სახის გამოფენებისათვის²⁶³. პარტიებს, რომლებსაც სურდათ გამოეყენებინათ მოედანი, უნდა მიემართათ და მიეღოთ უფასო ნებართვა შტატისგან²⁶⁴. დეკომბერში შტატმა შესთავაზა საზოგადოებას, რომ მოეწყოთ სხვადასხვა გამოფენა ამ მოედანზე²⁶⁵. შტატმა აღმართა თავისი საკუთარი საშობაო ხე და თანხმობა მისცა ადგილობრივ რაბინს დაედგა მენორა²⁶⁶. მაგრამ სახელმწიფომ არ დააკმაყოფილა კუ-კლუქს-კლანის მოთხოვნა, დაედგა თავისი მთავარი სიმბოლო – ლათინური ჯვარი²⁶⁷. კუ-კლუქს-კლანმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ბრალს დებდა სახელმწიფოს რომ ადგილი ჰქონდა შეხედულებაზე დაფუძნებულ განსხვავებულ მოპყრობას, რაც მისი თავისუფალი სიტყვის დარღვევას წარმოადგენდა²⁶⁸. სახელმწიფოს საწინააღმდეგო არგუმენტი იყო ის, რომ კუ-კლუქს-კლანისთვის ნების დართვა, აღემართათ თავისი ჯვარი შტატის კაპიტოლიუმთან ახლოს, იქნებოდა რელიგიის დაწესება²⁶⁹.

პინეტის სასამართლომ მხარი დაუჭირა კუ-კლუქს-კლანის თავისუფალი სიტყვის უფლებას და არ მიიჩნია, რომ ადგილი ექნებოდა „დაწესების დებულების დარღვევას²⁷⁰. „სიტყვის თავისუფლების შესახებ დებულება რელიგიის გარეშე იქნებოდა როგორც პრინციპის გარეშე“, მოსამართლე სკალიამ გამოხატა უმრავლესობის აზრი²⁷¹. შტატმა შექმნა ლია სახალხო ფორუმი კაპიტოლიუმის შემოგარენში და მას არ ჰქონდა უფლება, დისკრიმინაციულად გამოერიცხა ფორუმიდან რომელიმე რელიგიური გამოხატვა, თუ მას არ ექნებოდა

²⁶¹ იგივე, გვ. 620-21.

²⁶² კაპიტოლიუმის შემოგარენის კონტროლისა და მრჩეველთა საბჭო პინეტეს წინააღმდეგ, 515 უზენაესი სასამართლო 753 (1995).

²⁶³ იგივე, გვ. 757.

²⁶⁴ იგივე, გვ. 757-58.

²⁶⁵ იგივე, გვ. 758.

²⁶⁶ იგივე.

²⁶⁷ იგივე.

²⁶⁸ იგივე, გვ. 758-59.

²⁶⁹ იგივე.

²⁷⁰ იგივე, გვ. 753.

²⁷¹ იგივე, გვ. 760.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი მიზეზი²⁷². სასამართლომ დაასკვნა, რომ საერთო მისწრაფება, არ მომხდარიყო რელიგიის დაწესება, ვერ იქნებოდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი მიზეზი იმისთვის, რომ გაემართლებინა რელიგიური დისკრიმინაცია²⁷³. უფრო მეტიც, ლათინური ჯვარი იყო მხოლოდ რელიგიის კერძო გამოხატულება და არც ერთი გონიერი პიროვნება არ ჩათვლიდა, რომ თითქოს სახელმწიფომ აღმართა ან მისაღებად თვლიდა მას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კუ-კლუქს-კლანი აპირებდა გარკვევით მიეთითებინა, რომ ეს იყო მისი საკუთარი ჯვარი²⁷⁴. განსხვავებით ქრისტეშობის სცენის გამოფენისაგან „დიდ კიბეზე“ ალეგრიის ოლქში, ეს იქნებოდა ერთი-ერთი იმ რამდენიმე გამოფენიდან სახალხო ფორუმში, რომლებიც ღია იყო ნებისმიერი მსურველისთვის.

მოსამართლე თომასმა თავის თანმთხვევად მოსაზრებაში განაცხადა, რომ ლათინური ჯვარი იყო არა მხოლოდ კერძო გამოხატვის ფორმა, არამედ მას არ ჰქონდა რელიგიური მნიშვნელობა²⁷⁵.

კუ-კლუქს-კლანისთვის „ასეთი ჯვარის აღმართვა პოლიტიკური ქმედებაა და არა ქრისტიანული²⁷⁶“. მისი გამოსახულება ღრმად შეურაცხმყოფელია მონობის ისტორიის მქონე ერი-სათვის და კუ-კლუქს-კლანის რასიზმის ისტორიისათვის²⁷⁷. მაგრამ შეურაცხმყოფელი სიტყვაც კი იმსახურებს სიტყვის თავისუფლების დაცვას²⁷⁸.

დ. ათი მცნების გამოფენა სამთავრობო მიწაზე

რელიგიური სიმბოლოების საჯარო გამოფენასთან დაკავშირებული სასამართლოს კონფლიქტური მესიჯები და მეთოდები უფრო მეტად დამაბნეველი გახდა მისი ორი საქმის შემდეგ, რომელიც შეეხებოდა ათი მცნების გამოფენის კონსტიტუციურობას ხელისუფლების კუთვნილ ადგილზე. სასამართლო საქმეში – მაქრეარის ოლქი კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ²⁷⁹ და ვან ორდენი პერის²⁸⁰ წინააღმდეგ, რომელიც გამოქვეყნდა ერთიმეორის მიყოლებით, ერთსა და იმავე დღეს, მკვეთრად გაყოფილმა სასამართლომ ერთ შემთხვევაში დაგმო დეკოლოგის გამოფენა²⁸¹, მაგრამ მეორე ძალაში დატოვა²⁸². მაქრეარის ოლქში, მოსამართლე საუტერმა, გამოხატარა უმრავლესობის აზრი, გამოიყენა მკაცრი ლემონის ანალიზი, რათა დაეგმო დეკოლოგი

²⁷² იგივე, გვ. 753.

²⁷³ იგივე, გვ. 764-65.

²⁷⁴ იგივე.

²⁷⁵ იგივე 770-ზე (თომასი, მოსამართლე, თანმთხვევადი მოსაზრება).

²⁷⁶ იგივე.

²⁷⁷ იგივე.

²⁷⁸ იგივე.

²⁷⁹ მაქრეარის ოლქი კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ., 545 აშშ 844 (2005).

²⁸⁰ ვან ორდენი პერის წინააღმდეგ, 545 აშშ 677 (2005).

²⁸¹ მაქრეარის ოლქი, 545 აშშ 858.

²⁸² ვან ორდენი, 545 აშშ 677.

ძლიერი პრეცედენტის – სტოუნი გრეჭემის წინააღმდეგ გამოყენებით²⁸³. ვან ორდენის საქმეში რენკვისტმა გამოხატა რა უმრავლესობის აზრი, იგნორირება გაუკეთა ლემონს და ამის ნაცვლად გამოფენის მხარდასაჭერად გამოიყენა ისტორიის არგუმენტი. ამ მიმართულების ყველაზე ძლიერი პრეცედენტი იყო საქმე ლინჩი დონელის წინააღმდეგ²⁸⁴. ორივე საქმე ხასიათდება მოსამართლე სტივენსისა და მოსამართლე სკალიას²⁸⁵ გრძელი და ცხარე აზრთა სხვადასხვაობით და შესაბამისად, სხვა მოსამართლების თანმთხვევი თუ განსხვავებული აზრთა კაკაფონიით²⁸⁶. საბოლოო შედეგისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა მოსამართლე ბრეიერის ხმა, რომელიც მიემზრო უმრავლესობას მაქრეარის ოლქის საქმეში²⁸⁷ და მიემზრო გადაწყვეტილებას (მაგრამ არ გაიზიარა უმრავლესობის აზრი) ვან ორდენის საქმეში. თავის თანმხვედრ აზრში ვან ორდენის საქმეზე²⁸⁸, მოსამართლე ბრეიერმა თქვა, რომ ეს იყო „რთული მიჯნაზე მყოფი საქმე“ რომელიც მოითხოვდა „სამართლებრივი შეფასების გაკეთებას“²⁸⁹.

მაქრეარის ოლქის საქმე ეხებოდა კენტუკის ოლქის მიერ ათი მცნების ახალ გამოფენას ოლქის მთავრი სასამართლო შენობის კედელზე²⁹⁰. თავდაპირველად ოლქის ადმინისტრაციამ ბრძანა მხოლოდ დეკოლოგის განთავსება²⁹¹. როცა ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირმა გაასაჩინორა, ოლქის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დეკოლოგის შენარჩუნება, მაგრამ გამოფენის გარშემო უნდა დაეკიდათ სხვა ხელისუფლების მიერ მიღებული აქტები²⁹². ოლქის ახალი ბრძანებით დადგინდა, რომ „ათი მცნება კოდიფიცირებული იყო კენტუკის სამოქალაქო და სისხლის სამართალში“ და რომ ისინი გამოხატავდენენ „ხსოვნასა და პატივისცემას იესო ქრისტეს, როგორც ეთიკური მთავრისადმი“ და რომ „კონსტიტუციის დამუშავებელ მამებს ჰქონდათ იმგვარი გაგება, რომ არჩეულ ოფიციალურ პირებს ჰქონდათ მოვალეობა, უფლის საჯაროდ თაყვანისცემისა, რაც ამერიკის სიძლიერისა და მიმართულების წყაროდ მიიჩნეოდა“²⁹³. თითქმის ყველა ხელისუფლების მიერ მიღებულ აქტში, რომლებიც შეირჩა გამოფენისათვის, გამოკვეთილი იყო რელიგიური ენა²⁹⁴.

²⁸³ მაქრეარის ოლქი, 545 აშშ 850-81.

²⁸⁴ ვან ორდენი, 545 აშშ 681-92.

²⁸⁵ იგივე, გვ. 692, (მოსამართლე სკალიას განსხვავებული მოსაზრება); იგივე, გვ. 737 (მოსამართლეების სტივენსის, სოუტერის და გინბერუგის განსხვავებული მოსაზრება); მაქრეარის ოლქი, 545 აშშ 885 (თავმჯდომარე რენტვისტის, მოსამართლეების: სკალიას, კენდის და ტომასის განსხვავებული მოსაზრება).

²⁸⁶ ვან ორდენი, 545 აშშ 692 მოსამართლე სკალიას თანმთხვევადი მოსაზრება; იგივე, 698 (მოსამართლე ბრეიერის თანმთხვევადი მოსაზრება გადაწყვეტილებაზე); იგივე, გვ. 737 (მოსამართლეების სტივენსის, საუტერის და გინბერუგის განსხვავებული აზრი); მაქრეარის ოლქი, 545 აშშ 881 (მოსამართლე ოკონორის განსხვავებული აზრი); იგივე 885 (თავმჯდომარე რენტვისტის, მოსამართლეების სკალიას, კენდის და ტომასის განსხვავებული მოსაზრება)

²⁸⁷ მაქრეარის ოლქი, 545 აშშ 849.

²⁸⁸ ვან ორდენი, 545 აშშ 698-706 (მოსამართლე ბრეიერის თანმთხვევადი მოსაზრება გადაწყვეტილებაზე).

²⁸⁹ იგივე, გვ. 678 (მოსამართლე ბრეიერის თანმთხვევადი მოსაზრება გადაწყვეტილებაში).

²⁹⁰ მაქრეარის ოლქი, 545 აშშ 850-61.

²⁹¹ იგივე, გვ. 851-52.

²⁹² იგივე, გვ. 853-54.

²⁹³ იგივე, გვ. 853 (ციტირება ბრალდებულის სიტყვიდან მე-9 მემორანდუმში საქმის შეწყვეტაზე ბრალდებულის შუამდგომლობის მხარდასაჭერად. გვ. 1-3, 6, „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი“ 96F. მე-2 დანართი, 679 (E.D. Ky. 2000) (No. Civ. A. 99-507)).

²⁹⁴ იგივე, გვ. 853-54.

სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, ოლქის ადმინისტრაციამ ბრძანა, გაეკეთებინათ მესამე უფრო ფართო გამოფენა ისე, რომ არ გაეუქმებინა წინა ორი დადგენილება. ახლა დეკალოგი გააფართოვეს და მასში შეიტანეს ბიბლიის გამოსვლის თავიდან მე-20 ნაწილის ტექსტის სრული ვერსია და არა მხოლოდ მისი შინაარსი, როგორც წინა გამოფენის დროს²⁹⁵. ის გარშემორტყმული იყო ცხრა დაახლოებით იმავე ზომის დოკუმენტით, მაგნა კარტას, დამოუკიდებლობის დეკლარაციის, უფლებების ბილისა და მეიფლაუერის კომპაქტის ჩათვლით, თუმცა ამ დოკუმენტებში უფრო მეტად ნეიტრალური ენა იყო გამოკვეთილი²⁹⁶. მთლიანობაში იგი დასათაურებული იყო როგორც „ამერიკის სამართლისა და მთავრობის საფუძვლების გამოფენა“²⁹⁷. თითოეულ დოკუმენტს ჰქონდა მისი ისტორიული და სამართლებრივი მნიშვნელობის საკმაო ზომის აღწერა²⁹⁸. ათ მცნებას ჰქონდა ეს წარწერა:

ათმა მცნებამ სერიოზული გავლენა მოახდინა დასავლური სამართლებრივი აზროვნებისა და ჩვენი ქვეყნის ჩამოყალიბებაზე. ეს ზეგავლენა აშკარად ჩანს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისა კენ ლტოლვა...“ ათი მცნება უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და სამართლებრივი ტრადიციების ჩამოყალიბების მორალურ ფონს²⁹⁹.

მთელი გამოფენა მდებარეობდა ოლქის მთავარი სასამართლო შენობის ხალხით გადატვირთულ დერეფანში³⁰⁰. ოლქის ადმინისტრაცია იყო გამოფენის ინიციატორი და დამფინანსებელი³⁰¹.

მაქრეარის საოლქო სასამართლომ დაგმო ეს გამოფენა როგორც რელიგიის დაწესების დებულების დარღვევა³⁰². ამ რეგულაციის ბედის გადაწყვეტისას ფატალური აღმოჩნდა ჭეშმარიტად საერო მიზნების ნაკლებობა, რომლებიც ორივე – ლემონის და სტოუნის არგუმენტებს მოითხოვდნენ³⁰³. დეკალოგი წარმოადგენს „მძაფრად რელიგიურ ტექსტს“ აშკარად რელიგიური მესიჯით, გამოხატა უმრავლესობის აზრი მოსამართლე საოუტერმა, მაშინაც კი, თუ ეს ტექსტი წარსულში გამოიყენებოდა ლეგალური ან პოლიტიკური მიზნით³⁰⁴. ოლქის მიერ გაცხადებული საკანონმდებლო მიზანი გამოფენისა იყო „ქრისტეს, ეთიკის მთავრისადმი“ პატივისცემა³⁰⁵. თავდაპირველი ტექსტი მთლიანად წარმოადგენდა, უდავოდ, რელი-

²⁹⁵ იგივე.

²⁹⁶ იგივე, გვ. 857.

²⁹⁷ იგივე, 856.

²⁹⁸ იგივე.

²⁹⁹ იგივე, 856, შუამდგომლობა ამერიკის უზენაეს სასამართლოში საქმის მისაღებად, გვ. 180ა, მაქრეარის ოლქი კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ, 545 აშშ 644 (2005).

³⁰⁰ იგივე, გვ. 864-65.

³⁰¹ იგივე, გვ. 874-75.

³⁰² იგივე, გვ. 864-75.

³⁰³ იგივე, გვ. 864-65.

³⁰⁴ იგივე, გვ. 869.

³⁰⁵ იგივე, გვ. 870 (ციტირება ბრალდებულის გამოსვლიდან მე-9 მემორანდუმში, საქმის შეწყვეტაზე ბრალდებულის შუამდგომლობის მხარდასაჭერად 1-3, 6, კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი“, 96 F. Supp. 2d 679 (E.D.

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

გიურ განცხადებას რელიგიურ ვალდებულებებსა და რელიგიურ სანქციებზე დაფუძნებული მორალის შესახებ. „როცა მთავრობაა ინიციატორი ამ განცხადების საჯარო გამოფენისა, რელიგიური მიზანი უდავოა³⁰⁶. ეს ფატალური აღმოჩნდა სტოუნის საქმეში და ეს ფატალური იყო აქაც³⁰⁷.

ოლქის მოუქნელმა ცდამ, აქსნა ეს რელიგიური გზავნილი იმით, რომ დეკალოგს მორალური კოდექსის იარღიყო დაადო და გამოფინა სხვა პოლიტიკურ აქტებთან ერთად, სადაც გამოკვეთეს რელიგიური აბზაცები, მხოლოდ გააუარესა მისი კონსტიტუციური შეცდომები „გონიერი და მკვირვებლის თვალში“, გააგრძელა მოსამართლე სოუტერმა³⁰⁸. ოლქის საბოლოო გამოფენის საერო მიზნების მტკიცება „წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სამართალწარმოებაში პოზიციის გასამყარებლად“³⁰⁹ და ძალიან ცოტა გააკეთა იმისათვის, რათა გამოესწორებინა შეურაცხმყოფელი რელიგიური მიზანი, რომელიც ცნობილი გახდა პირველი ორი გამოფენით და ოლქის ქმედებებით მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში³¹⁰. მთავრობას რომ ჭეშმარიტად ჰქონოდა მცდელობა, გამოესწორებინა დაუდევარი არაკონსტიტუციური მდგომარეობა, რასაკვირველია შესაძლებელია ჩათვლილიყო ვარგისად „რელიგიის დაწესების დებულების“ მიხედვით, დაასკვნა მაქრეარის საოლქო სასამართლომ, მაგრამ არავითარ ასეთ ჭეშმარიტ მცდელობას აქ ადგილი არ ჰქონდა³¹¹. მთლიანობაში, დროთა განმავლობაში ილქის ქმედებებმა შეიძინა რელიგიის დაწესების ხასიათი³¹².

სასამართლო საქმეში ორდენი პერის წინააღმდეგ, რომელიც გამოიცა ორ საათში მაქრეარის საქმის შემდეგ, სასამართლომ გამოიყენა განსხვავებული მიდგომა³¹³. ეს საქმე შეეხებოდა დეკალოგის ექვსფუტიანი ქვის მონუმენტის დადგმას შტატის კაპიტოლიუმის მიწებზე ოსტინში, ტეხასში³¹⁴. მოხალისე სამოქალაქო ჯგუფმა, არწივების ძმათა ორდენმა, დეკალოგი შეწირა შტატს ორმოცი წლით ადრე³¹⁵. ის იყო ერთ-ერთი ოცდათვრამეტ ისტორიულ ძეგლსა და მონუმენტს შორის 22 აკრიან შტატის კაპიტოლიუმის ტერიტორიაზე³¹⁶. იგი მდებარეობდა შედარებით პატარა ტროტუარზე, რომელიც აერთებდა შტატის კონგრესის შენობას უზენაესი სასამართლოს შენობასთან³¹⁷. ვან ორდენი, გადასახადების რიგითი გადამხდელი იყო, რომელიც რეგულარულად იყენებდა სამართლის ბიბლიოთეკას გასული 6 წლის განმავლობაში და გაასაჩივრა დეკალოგის გამოფენა, როგორც რელიგიის დაწესება³¹⁸.

Ky. 2000) (No. Civ. A. 99-507)).

³⁰⁶ იგივე, გვ. 869.

³⁰⁷ იგივე, გვ. 871.

³⁰⁸ იგივე, გვ. 870.

³⁰⁹ იგივე, გვ. 871.

³¹⁰ იგივე, გვ. 869-74.

³¹¹ იგივე.

³¹² იგივე, გვ. 881.

³¹³ იხ. ვან ორდენი პერუს წინააღმდეგ, 545 აშშ 677,677-92(2005).

³¹⁴ იგივე.

³¹⁵ იგივე.

³¹⁶ იგივე.

³¹⁷ იგივე.

³¹⁸ იგივე, გვ. 677.

ვან ორდენის სასამართლომ მხარი დაუჭირა გამოფენას³¹⁹. „ჩვენი სასამართლო საქმეები, ურთიერთსაწინააღმდეგო ორ მიმართულებაზე მიგვითითებს“ გულწრფელად გამოხატავდა უმრავლესობის აზრს მოსამართლე რენქვისტი³²⁰. ერთი წყება საქმეებისა „ეყრდნობა იმ ძლიავრ როლს, რომელიც რელიგიაში და რელიგიურმა ტრადიციებმა ითამაშეს მთელ ჩვენს ნაციონალურ ისტორიაში“³²¹, დანარჩენები კი იმ პრინციპებს ეყრდნობიან, რომ „სამთავრობო ინტერვენციას რელიგიურ საქმეებში შეუძლიათ თვით რელიგიის თავი-სუფლებას მოუტანონ საფრთხე“³²². ვან ორდენის სასამართლო მიჰყვა საქმეების პირველ ხაზს და ლემონის ტესტი ამ შემთხვევაში გამოაცხადა „არასასარგებლოდ“³²³. დეკალოგი არის აშკარად რელიგიური ტექსტი რელიგიური მესიჯით, განაცხადა სასამართლომ³²⁴. მაგრამ უბრალოდ რელიგიური შინაარსი და გზავნილის რელიგიურ დოქტრინასთან შეთავსების უზრუნველყოფა არ არის დაწესების დებულების დარღვევა³²⁵. დეკალოგი როგორც სხვა ბევრი რელიგიური ტექსტი და სიმბოლო ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ სამთავრობო მიწებზე, ასევე წარმოადგენს „ამერიკის მემკვიდრეობის“ ნაწილს, ამერიკის საზოგადოების სტრუქტურის ნაწილს³²⁶. მისი საჯარო გამოფენა სამთავრობო მიწაზე დემოკრატიულად ცნობს და წარმოადგენს, რომ „რელიგია მჭიდროდაა გაიგივებული ჩვენს ისტორიასა და მთავრობასთან“ და ამერიკელები არიან „რელიგიური ხალხი, რომელთა საზოგადოება ეფუძნება უზენაესის არსებობას“³²⁷ უფრო მეტიც, ამ დეკალოგის გამოფენა ეფუძნებოდა კერძო შემოწირულობას³²⁸. იგი იდგა 40 წლის განმავლობაში დაპირისპირების გარეშე³²⁹. ეს უბრალოდ „პასიური“ გამოფენაა და ნებისმიერს შეუძლია მას თავი აარიდოს შტატის კაპიტოლიუმის ტერიტორიაზე გავლის დროს³³⁰. მისი გზავნილი ოცდაჩვიდმეტი სხვა მონუმენტით და ძეგლით არის ბუფერიზებული იმავე სამთავრობო მიწაზე, რომელთა უმეტესობა აშკარად საეროა³³¹. თუ ეს გამოფენა არაკონსტიტუციურია, გამოხატათ თავისი აზრი მოსამართლე რენქვისტმა, მაშინ ასობით სხვა რელიგიური გამოფენები და მოსეს და მოპამედის ქანდაკებებიც კი უნდა ჩამოიღონ უზენაესი სასამართლოს შენობის ფრიზიდან³³². ეს კი, რასაკვირველია, პირველი შესწორების დებულების მუხლის არც მიზანს და არც მნიშვნელობას არ შეესაბამებოდა³³³.

³¹⁹ იგივე.³²⁰ იგივე, გვ. 683.³²¹ იგივე.³²² იგივე.³²³ იგივე, გვ. 685-86.³²⁴ იგივე, გვ. 690.³²⁵ იგივე.³²⁶ იგივე, გვ. 689.³²⁷ იგივე, გვ. 683 (ბინგტონის ქალაქის სასკოლო რაიონი სქემპის წინააღმდეგ, 374 აშშ 203, 212-13 (1963); ზორაბი კლაუსონის წინააღმდეგ, 343 აშშ 306, 313 (1952)).³²⁸ იგივე, გვ. 701.³²⁹ იგივე, გვ. 682.³³⁰ იგივე.³³¹ იგივე, გვ. 681.³³² იგივე, გვ. 689.³³³ იგივე, გვ. 691-92.

ასეთი შესაბჩნევად წინააღმდეგობრივი სასამართლო საქმეების შემდეგ ექსპერტთა უმეტესობისათვის გასაოცარი იყო ის, რომ ოთხი წლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ საქმეში პლეზენთ გროვ სიტი სუმუმის წინააღმდეგ³³⁴ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სამთავრობო მიწაზე ათი მცნების მონუმენტის კონსტიტუციურობას³³⁵. ისევე როგორც ვან ორდენის საქმეში, აქაც მონუმენტი იყო „არწივების საძმო ორდენის“ 40 წლის წინანდელი კერძო შემოწირულობა³³⁶. ეს იყო უამრავ გამოსახულებასა და ძეგლს შორის ერთ-ერთი ქალაქის პარკში, იუტაში³³⁷. ახალი რელიგიური ჯგუფი, სახელად „სუმუმი“, ცდილობდა მიეღო ნებართვა, რომ აღემართა პარკში მონუმენტი რწმენის „შვიდი აფორიზმით“³³⁸. ქალაქის ადმინისტრაციამ უარი უთხრა, ასე რომ, „სუმუმ“ აღძრა სარჩელი პირველი შესწორების დებულების მიხედვით³³⁹. იგი ბრალს დებდა ქალაქის ადმინისტრაციას, რომ „შვიდი აფორიზმის“ დისკრიმინაციით იგი არღვევდა სიტყვის თავისუფლების პუნქტს³⁴⁰. „სუმუმი“ ასევე ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა რელიგიის დაწესების დებულების დარღვევას, რადგან ქალაქში გამოიწინეს მხოლოდ „ათი მცნება“³⁴¹. ამან ქალაქის მთავრობა დააყენა არჩევანის წინაშე: ან ჩამოედო „ათი მცნება“ ან დაედგა „შვიდი აფორიზმიც“³⁴².

ფლეზენთ გროვ სიტის საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა არც ერთი მიდგომა და მხარი დაუჭირა მთავრობას³⁴³. სასამართლომ მიიჩნია, რომ „ათი მცნების“ მონუმენტი იყო ხელი-სუფლების მიერ სიტყვის გამოთქმის დასაშვები ფორმა³⁴⁴. ხელისუფლება „უფლებამოსილია თქვას რაც სურს“ გამოხატა მოსამართლე ალიტომ სასამართლოს აზრი. და მას შეუძლია შეარჩიოს და ასახოს გარკვეული შეხედულებები³⁴⁵. მთავრობას შეუძლია გამოხატოს თავისი შეხედულებები გადასახადების ხარჯზე აგებული მონუმენტით ან მიიღოს მონუმენტი, რომელიც აგებულია სხვა კერძო მხარეების შემოწირულობებით (რომლის შინაარსიც არ არის სრულად მხარდაჭერილი)³⁴⁶. ამ საქმეში ქალაქის ოფიციალურმა პირებმა უფრო ადრე მიიღეს „ათი მცნების“ მონუმენტი იმ მიზეზით, რომ იგი ასახავდა „ქალაქის ესთეტიკას, ისტორიას და ადგილობრივ კულტურას“³⁴⁷. სიტყვის თავისუფლების მუხლი არ აძლევს კერძო მოქალაქეს ხელშემშენებლის ვეტოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ადრეა მიღებულია ქალაქის მიერ³⁴⁸. სიტყვის თავისუფლება არ აიძულებს ქალაქს, რომ მიიღოს ყოველი კერძო

³³⁴ ფლეზენთ გროვ სიტი სუმუმის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125 (2009).

³³⁵ იგივე.

³³⁶ იგივე, გვ. 1129.

³³⁷ იგივე.

³³⁸ იგივე.

³³⁹ იგივე.

³⁴⁰ იგივე.

³⁴¹ იგივე.

³⁴² იგივე, გვ. 1139.

³⁴³ იგივე, გვ. 1125.

³⁴⁴ იგივე.

³⁴⁵ იგივე, 1127 (ციტატა საქმიდან როზენბერგი რექტორის წინააღმდეგ, 515 აშშ 819.833 (1995)).

³⁴⁶ იგივე, გვ. 1136.

³⁴⁷ იგივე, გვ. 1128.

³⁴⁸ იგივე, გვ. 1131 (ციტატა ჯონასი ლივერსტოკის მარკეტინგის ასოციაციის წინააღმდეგ, 544 აშშ 550, 574 (2005) მოსამართლე საუტერის განსხვავებული აზრი)

შემოწირული მონუმენტი, რადგანაც ერთხელ უკვე პირველი შემოწირულობა მიიღო³⁴⁹. ხელისუფლების სიტყვა უბრალოდ არ „არის კრიტიკული განხილვის საგანი სიტყვის თავისუფლების მუხლის მიხედვით“, დაასკვნა სასამართლომ და არც იურიდიული მეორადი ვარაუდების საგანი „პირველი შესწორების“ მიხედვით³⁵⁰. ხელისუფლების ოფიციალური პირები არიან თავიანთ სიტყვაზე „პასუხისმგებელნი ამომრჩევლების წინაშე“ და მათ აღარ აირჩევენ, თუ მათი შეხედულებები ამომრჩევლების წყენას გამოიწვევს³⁵¹.

ფლეზენთ გროვ სითის საქმეზე სასამართლოს დაეხმარა ფაქტი, რომ ქალაქის პარკში ბევრი სხვა მონუმენტი იყო, რომელთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა რელიგიური შინაარსი³⁵². მათ ისიც დაეხმარა, რომ განხილვის ქვეშ მყოფი დეკალოგი იყო 40 წლის მონუმენტი და არასდროს არ ყოფილა დაპირისპირების საგანი³⁵³. ასეთმა ფაქტებმა საშუალება მისცა ზოგიერთ მოსამართლეს, დათანხმებოდა, რომ ეს გამოფენა არ ცდილობდა რელიგიის დაწესებას³⁵⁴. მაგრამ ამ საქმისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა „ათი მცნების“ მონუმენტის „დახასიათება, როგორც ხელისუფლების გამოხატვის ფორმისა, იმის ნაცვლად რომ ის ჩაეთვალათ ცერემონიული დეიზმის სეკულარიზებულ გამოვლინებად ან რელიგიურ სიმბოლოდ, რომელიც საკმარისი საერო ეკვივალენტებით იყო ბუფერიზებული³⁵⁵. ფლეზენთ გროვ სითის ხელისუფლება არ უარყოფდა და არ ცდილობდა გაექარწყლებინა „ათი მცნების“ რელიგიური ხასიათი³⁵⁶. ნაცვლად ამისა, მან არჩეული თანამდებობის პირებს მიანდო გადაეწყვიტათ, თუ როგორ უნდა ასახულიყო ან წარმოდგენილიყო ხალხის შეხედულებები რელიგიური შეხედულებების ჩათვლით³⁵⁷. სასამართლომ ასევე ხალხს მიანდო, რომ ემსჯელათ და გადაეწყვიტათ, მათი შეხედულებების ხელისუფლების მიერ წარმოდგენა ადეკვატური იყო თუ მოძველებული³⁵⁸. სასამართლოს, რასაკვირველია, შეეძლო მიეღო ზომები იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა აიძულებდა მოქალაქეებს, რომ მიეღოთ ამ სიმბოლოების რელიგიური იდეები, ან თუ მთავრობის გამოხატვა დაარღვევდა მათ პირად ცხოვრებას, საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებას ან დაარღვევდა კონსტიტუციას³⁵⁹. თუმცა ზოგადი რელიგიური სიმბოლოს ან ტექსტის უბრალოდ პასიური გამოფენა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ამოქმედებულიყო ფედერალური იურიდიული ინტერვენცია³⁶⁰.

³⁴⁹ იგივე, გვ. 1138.

³⁵⁰ იგივე, გვ. 1125.

³⁵¹ იგივე, გვ. 1127 (ციტატა ვისკონსინის უნივერსიტეტის მეურვეთა საბჭო საზოგრთსის წინააღმდეგ, 529 აშშ 217,135 (2000))

³⁵² იგივე, გვ. 1125.

³⁵³ იგივე, გვ. 1140.

³⁵⁴ იგივე.

³⁵⁵ იგივე, გვ. 1125.

³⁵⁶ იგივე, გვ. 1140.

³⁵⁷ იგივე, გვ. 1132.

³⁵⁸ იგივე.

³⁵⁹ იგივე, გვ. 1125.

³⁶⁰ იბ. იგივე.

ე. ჯვარი ეროვნულ პარკში

უზენაესმა სასამართლომ არ გამოიყენა ეს ხელისუფლების გამოხატვის ლოგიკა სასა-მართლო საქმეში სალაზარი ბუონოს წინააღმდეგ³⁶¹. საქმე, როგორც განხილულია შესა-ვალში, შეეხება კალიფორნიაში მოხავეს ეროვნულ ნაკრძალში 7 ფუტიანი ჯვარის გამოფე-ნის წინააღმდეგ მიმართულ საჩივარს³⁶². ეს ჯვარი 1943 წელს შეწირა და აღმართა კერძო ჯგუფმა – „საგარეო ომების ვეტერანებმა“ – როგორც დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების მემორიალი³⁶³. ჯვარი იდგა მარტო³⁶⁴. რამდენიმე წლით ადრე ბუდისტთა ჯგუფმა ითხოვა ნებართვა, რომ დაედგათ ერთ-ერთი მათი სალოცავი ჯვართან ახლოს, მაგრამ მთავრო-ბამ უარყო მათი მოთხოვნა³⁶⁵. ყოფილი პარკის მუშა ახლა უკვე მის კონსტიტუციურობაზე დავობდა³⁶⁶.

დამკვირვებლები მოელოდნენ, რომ სალაზარის სასამართლო საქმე გამოიყენებდა ფლეზენთ გროვ სითის საქმეს და გადაწყვეტდა ფედერალურ პარკში ეს კერძო შემოწირუ-ლობით მიღებული ჯვარი, მსგავსად კერძოდ შემოწირული დეკალოგისა ქალაქის პარკში, უნდა ჩათვლილიყო თუ არა ხელისუფლების გამოხატვის კონსტიტუციურად დასაშვებ ფორ-მად³⁶⁷. განსხვავებით ფლეზენთ გროვ სითის საქმისაგან, არ არსებობდა არავითარი საერო ბუფერი, რომელიც დააბალანსებდა რელიგიურ მესიჯებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ჯვარი იყო არა სიტყვიერი სიმბოლო, ის მდებარეობდა ძალიან მოცილებულ ადგილზე და ორჯერ მეტი ხნის განმავლობაში არ გაუსაჩივრებია არავის ვიდრე დეკალოგი ფლეზენთ გროვ სითის საქმეში³⁶⁸. თუმცა მოსამართლების ექვს ნაწილად დაყოფილი შეხედულებები სალაზარის საქმეში ძირითადად ფოკუსირებული იყო ბუონოს პროცედურულ უფლებებზე, კონგრესის კერძო მიწის გაყიდვის კონსტიტუციურობასა და სასამართლოს უფლებამოსილებაზე, აეკრ-ძალა მიწის გაყიდვა³⁶⁹.

გამოხატა რა თავისი და ორი სხვა მოსამართლის აზრი, მოსამართლე კენედიმ დაას-კვნა, რომ ბუონო სათანადო მოსარჩელე იყო ორივე საქმეში. მას ჰქონდა უფლება, აღეძრა სარჩელი ძირითად საქმეში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ფედერალურ მიწაზე ჯვრის გა-მოფენას და აგრეთვე აღეძრა სარჩელი მომდევნო საქმეში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ფედერალური მიწის გაყიდვას³⁷⁰. მაგრამ კენედი არ იყო დარწმუნებული, რომ საოლქო სასამართლოს ჰქონდა იურისდიქცია თავისი ბრძანება ჯვრის წინააღმდეგ გაევრცელები-

³⁶¹ სალაზარი ბუონოს წინააღმდეგ, 130 უზენაესი სასამართლო 1803 (2010).

³⁶² იგივე, გვ. 1826.

³⁶³ იგივე, გვ. 1807.

³⁶⁴ იგივე, გვ. 18340.

³⁶⁵ ბუონო ნორტონის წინააღმდეგ (ბუონო II), 371 F. მე-3 543, 550 (მე-9 საოლქო 2004).

³⁶⁶ სალაზარი, 130 უზენაესი სასამართლო 1803.

³⁶⁷ იხ. ზოგადად ნელსონ ტებბე, სიტყვის პრივატიზაცია და განსაჯაროება, 104 Nw. U. L. REV. COLLOQUY 70 (2009).

³⁶⁸ სალაზარი, 130 უზენაესი სასამართლო 1803.

³⁶⁹ იგივე.

³⁷⁰ იგივე, გვ. 1808.

ნა აგრეთვე კონგრესის მიერ მიწის გაყიდვაზე³⁷¹. იმისთვის, რომ სასამართლოს აეკრძალა კონგრესისთვის მიწის გაყიდვა, მას უნდა ჩაეტარებინა ცალკე კონსტიტუციური გამოკვლევა იმის დასადგენად, კონგრესმა ნამდვილად დაარღვია თუ არა რელიგიის „დაწესების“ დებულება (Establishment clause). სასამართლო განცხადება, რომ მიწის გაყიდვა წარმოადგენდა სიყალბეს, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის აევლოთ გვერდი, არ იყო საკმარისი უზენაესი სასამართლოს აზრით³⁷². საოლქო სასამართლოს არსებითად უნდა შეეფასებინა კონგრესის ქმედებები³⁷³. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, წერდა კენედი, საოლქო სასამართლოს მოუწევდა მხედველობაში მიეღო ის რეალობა, რომ, თუმცალა ჯვარი „რასაკვირველია, ქრისტიანობის სიმბოლოა“, ის არ აღუმართავთ პარკში ქრისტიანული იდეების გავრცელებისთვის, ან იმისთვის, რომ სახელმწიფოს დამღა დაესვათ გარკვეულ სარწმუნოებაზე „არამედ, მათ, ვინც აღმართეს ჯვარი, განზრახული ჰქონდათ უბრალოდ პატივი ეცათ ჩვენი ერის დაღუპული ჯარისკაცებისათვის“³⁷⁴. საოლქო სასამართლოს დამატებით უნდა გაეაზრებინა, რომ „დრომაც, რასაკვირველია, ითამაშა თავისი როლი“ და „ჯვარი და მიზანი, რომელსაც ის აღნიშნავდა, გახდა ჩაწინული ხალხის ცნობიერებაში“ და გადაიქცა „ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის“ ნაწილად³⁷⁵. მოსამართლე კენედიმ ამგვარად შეცვალა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავდა მიწის გაყიდვას და საქმე დააბრუნა საოლქო სასამართლოში, რათა მათ არსებითად განეხილათ კონგრესის ქმედების კონსტიტუციურობა ამ ფაქტორების გათვალისწინებით³⁷⁶.

უერთდებოდა რა უმრავლესობის აზრს, მოსამართლე ალიტო ფიქრობდა, რომ ეს საქმე საკმაოდ მომწიფებული იყო იმისათვის, რათა თვითონ უზენაეს სასამართლოს მიეღო საკონსტიტუციო გადაწყვეტილება მთავრობის სასარგებლოდ³⁷⁷. ჯვარი წარმოადგენდა კერძო შემოწირულობას ერის ომში დაღუპულების პატივსაცემად (ისე როგორც ჯვრები სახელმწიფო სასაფლაოებზე ყველგან), ის იდგა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე 70 წლის განმავლობაში და ეს იყო მიტოვებული პარკის უკიდურესად შორეული კუთხე, რომელიც „ჩერიალა გველისათვის უფრო ადვილი დასანახი იყო, ვიდრე ადამიანისათვის“³⁷⁸. გაიზიარეს რა უმრავლესობის აზრი, მოსამართლეებმა სკალიამ და ტომასმა იფიქრეს, რომ ბუონო არ იყო პროცედურულად უფლებამოსილი პირი რომ მოეთხოვა მიწის გაყიდვის სასამართლოს მიერ შეჩერება, სასამართლოს ამგვარი ბრძანების გაცემის უფლებამოსილება არ ჰქონდა³⁷⁹. ბუონო სთხოვს ფედერალურ სასამართლოს, არ დაუშვას პატარა ჯვრის გამოფენა კერძო მიწაზე, დაასკვნეს მათ. ამით არც ერთი საკონსტიტუციო საკითხი არ რჩება გადაუწყვეტელი³⁸⁰.

³⁷¹ იგივე, გვ. 1815.

³⁷² იგივე, გვ. 1814, 1817.

³⁷³ იგივე, გვ. 1815.

³⁷⁴ იგივე, გვ. 1816-17.

³⁷⁵ იგივე, გვ. 1817.

³⁷⁶ იგივე, გვ. 1821.

³⁷⁷ იგივე, (მოსამართლე ალიტოს თანმთხვევადი მოსაზრება).

³⁷⁸ იგივე, გვ. 1822.

³⁷⁹ იგივე, გვ. 1824 (მოსამართლეების სკალიას და ტომასის თანმთხვევადი მოსაზრება).

³⁸⁰ იგივე.

ამგვარი გადაწყვეტა ასცდა საქმის არსს კონსტიტუციური თვალსაზრისით, გამოხატა განსხვავებული აზრი მოსამართლე სტივენსმა, რომელიც გაიზიარეს სხვა მოსამართლეებმა³⁸¹. მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, ჯვრის თავდაპირველმა გამოფენამ დაარღვია თუ არა რელიგიის დაწესების დებულება და კონგრესის საბასუხო ქმედება საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიძლება თუ არა ჩაითვალოს თავის არიდებად – როგორც ეს იყო მაქრეარის ოლქის საქმეში სადაც ხელისუფლების ქმედებები არაკონსტიტუციურად ჩაითვალა³⁸². მოსამართლე სტივენსმა დაასკვნა, რომ მიწის გაყიდვის მიზანიც და ეფექტიც იყო რელიგიის ხელშეწყობა და დაწესების დებულების დარღვევას წარმოადგენდა³⁸³. თავის განსხვავებულ მოსაზრებაში მოსამართლე ბრეიერმა დაასკვნა, რომ საოლქო სასამართლოს ჰქონდა უფლება-მოსილება, აეკრძალა მიწის გაყიდვა და ამის გასაკეთებლად არ იყო აუცილებელი კონგრესის ქმედებების ხელახლა შეფასება რელიგიის დაწესების დებულების მიმართ³⁸⁴.

ვ. „რბილი“ წესები მომავალი რელიგიური სიმბოლიზმის საკითხებში

რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების 30 წლიანი გზა – სტიუნი-გრეპემიდან სალაზარ-ბუენოს საქმემდე³⁸⁵, ყველაზე ნაკლებად მდგრადი იყო სასამართლოს საქმეებს შორის რელიგიის დაწესების დებულების მიმართ. ბევრი ამ საქმეთაგანი დამოკიდებულია ფაქტებზე და ამ ფაქტების დახასიათებაზე. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არსებითად განსხვავებულ მოსაზრებებს, რომლებიც გამოხატულებას პოვებდნენ მაღალფარდოვან ტერმინებში. როგორც ჩანს, სასამართლო ჯერ კიდევ შორს არის იმისგან რომ ამ წინააღმდეგობრივი მოსაზრებების საფუძველზე რაიმე შეთანხმებას მიაღწიოს – თუმცა ლინკნერი თავისი სტატიით ამის შემდეგ ყოველ ღონეს იხმარს, რომ თანამიმდევრულად დაალაგოს ეს არეულდარეული შეხედულებები³⁸⁶. ჯერჯერობით, შეოლოდ რამდენიმე „რბილი“ წესი არსებობს იმისათვის რომ მხარეებმა და ქვემდგომმა სასამართლომ იხელმძღვანელონ ამ საქმეებით. ღირს რომ ოთხი მათგანი განვიხილოთ იმ დათემით რომ თუმცა შესაძლოა თითოეული სასარგებლო იყოს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის გადამწყვეტი.

პირველი, უფრო ძველი რელიგიური გამოფენები და წეს-ჩვეულებები უფრო კარგად უძლებენ დროს ვიდრე ახალი გამოფენები, განასაკუთრებით, თუ წინათ ისინი არ გამხდარან კონსტიტუციური დავის საგანი. მაშინაც კი, თუ ძველი გამოფენის ან ადათების თავდაპირველი შთაგონება რელიგიური იყო, მისმა ხანგრძლივმა არსებობამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, გაუღინთა იგი ერთგვარი კულტურული და კონსტიტუციური მისაღებობით. სასამართლოს აზრით, იგი გახდა ამერიკის კულტურის, საზოგადოების და დემოკრატიის ნაწილი. ამგვარად ნაკლებ სავარაუდოა ეს იყოს რელიგიის დაწესებისკენ

³⁸¹ იგივე, გვ. 1828 (მოსამართლეების სტივენსის, გინსბერგის და სოტომაიერის, განსხვავებული აზრი).

³⁸² იგივე, გვ. 1841.

³⁸³ იგივე, გვ. 1837.

³⁸⁴ იგივე, გვ. 1845 (მოსამართლე ბრეიერის განსხვავებული აზრი).

³⁸⁵ სალაზარი, 130 უზენაესი სასამართლო 1803; სტოუნი გრეპემის წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო (1980).

³⁸⁶ იბ. ზოგადად ლინკნერი, იხილეთ ზემოთ შენიშვნა 23.

გადადგმული პირველი ნაბიჯი³⁸⁷. ზოგჯერ სასამართლო გულისხმობდა, რომ მაშინაც კი, თუ გამოფენას და ადათ-წესებს ოდესლაც ჰქონდა განსაკუთრებული რელიგიური მნიშვნელობა, ახლა ეს მნიშვნელობა უკვე დაიკარგა და გამოფენა ახლა ან უბრალოდ სამოქალაქო სიმბოლოა, რომელიც მოკლებულია რელიგიურ შინაარსს ან უფრო განზოგადებული სიმბოლო, რომელიც ავლენს „ცერემონიალურ დეიზმს“³⁸⁸. ზოგჯერ სასამართლოს მეტი შრომა უხდებოდა რათა დაედგინა, სიმბოლოს განხილვის მომენტშიც ხომ არ ჰქონდა შერჩენილი რელიგიური ბუნება და შინაარსი ბევრი მოქალაქისთვის³⁸⁹.

უფრო მეტიც, თუ დაწესების დებულების საფუძველზე მოდავე მხარეები დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენებენ თავიანთ უფლებებს, ამ უფლებებს ნაკლებად გაუწევენ ანგარიშს, როცა საბოლოოდ მათ გამოიყენებენ. უფრო ძველი რელიგიური გამოფენები და რიტუალები იყო წარმოდგენილი ლინჩის, ვან ორდენის, ფლეზენთ გროვ სითის, ბუნძოს საქმეების განხილვისას და სახელმწიფომ ყველა ეს საქმე მოიგო³⁹⁰. უფრო ახალი გამოფენები იყო სტოუნის, ალეგრის ოლქის და მაქრეარის ოლქის საქმეებში და სახელმწიფომ ყველა მათგანი წააგო³⁹¹.

სამართლის სხვა სფეროებში სასამართლო იაზრებს დროის ძალასაც და ზეწოლასაც. მაგალითად, დროის ძალის დანახვა შესაძლებელია ისტორიული ადგილების დაცვასა და ურბანული განვითარების წესებში, რომლის მიხედვითაც, საკუთრების სხვადასხვა ძველებურ (რელიგიურ) გამოყენებას უპირატესობა ენიჭება მის ახლანდელ პრივილეგირებულ გამოყენებასთან შედარებით³⁹².

ამის დანახვა ასევე შესაძლებელია კერძო საკუთრების სამართალში: უკანონო ფლობის საფუძველზე მომხმარებელი ბოლოს და ბოლოს მიიღებს საკუთრების ღია, უწყვეტ და აშკარა გამოყენების უფლებას³⁹³. ამ ლეგალურ იდეებს აქვთ რაღაც გავლენა რელიგიური სიმბოლოების სასამართლო საქმეებზე, რომლებიც უფრო ძველ გამოფენებს საეროდ და მისაღებად, ანალ გამოფენებს კი უფრო მეტად მტკიცნეულად თვლიან. გარდა ამისა, სამართალი ცნობს დროის ზეწოლას სასამართლო წარმოებისა და პროცედურების კანონების მაგალითზე. იმისათვის, რომ საკითხის გადაწყვეტა საბოლოო იყოს და თავიდან იქნეს აცილებული ძველი სარჩელები, კანონმდებლობები აწესებენ ხანდაზმულობის ვადებს ბევრ მოთხოვნასთან დაკავშირებით³⁹⁴. სამართალი აგრეთვე დიდი ხანია იგივეს აკეთებს დაუდევარი დაყოვნების დოქტრინის მეშ-

³⁸⁷ იბ. ფლეზენთ გროვ სითი სუმუმის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125 (2009); ვან ორდენი პერის წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 677 (2005).

³⁸⁸ ლინჩი დონების წინააღმდეგ, 465 უზენაესი სასამართლო 668, 716 (1984) (ციტატა არტურ სუზერლანდის წიგნის მიმღებილი, 40, დამოუკიდებელი სამართლის უურნალი 83, 86 (1964)).

³⁸⁹ იბ. მაქრეარის ოლქი კენტუკის „მერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ, 544 უზენაესი სასამართლო (2005); სტოუნი, 449 უზენაესი სასამართლო, გვ. 39.

³⁹⁰ ფლეზენთ გროვ სითი, 129 უზენაესი სასამართლო 1125; ვან ორდენი, 545 უზენაესი სასამართლო 677; ლინჩი 465 უზენაესი სასამართლო 668; ბუნძო II, 371F. მე-5 543,543 (მე-9 საოლქო სასამართლო (2004)).

³⁹¹ მაქრეარის ოლქი, 544 უზენაესი სასამართლო; ალეგრის ოლქი „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ დიდი პიტსბურგის დანაყოფის წინააღმდეგ, 492 უზენაესი სასამართლო 573, 573 (1989); სტოუნი გრიჭების წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო 39, 39 (1980).

³⁹² მარიანა მ. ჯენინგსი, უძრავი საკუთრების სამართალი 536 (2008).

³⁹³ იგივე, გვ. 344.

³⁹⁴ იბ. GA. CODE ANN. § 9-3-24 (West 2011); MASS. GEN. LAWS. ANN. ch. 260, § 2A (West 2011); N.Y. CIVIL PRACTICE LAW § 213 (McKinney 2011).

ვეობით, რომელიც ასევე სჯის მხარეებს იმის გამო, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ ისარგებლეს თავისი უფლებებით³⁹⁵. მიუხედავად იმისა, რომ სამართალი არ აწესებს ხანდაზმულობის ვადებს კონსტიტუციურ საქმეებზე და სასამართლოს არასოდეს გამოუყენებია პირდაპირ დაუდევარი დაყოვნების დოქტრინა, თვითონ იდეა ახდენს ზეგავლენას სასამართლოზე. „თუ 200 წლის განმავლობაში რაღაც ხდებოდა საყოველთაო თანხმობის საფუძველზე, განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე, გამოხატა თავისი აზრი მოსამართლე ჰოლმსმა, საჭიროა ძლიერი საქმე, რომ მე-14 შესწორებით რაიმე შეიცვალოს“³⁹⁶.

მეორე, სიმბოლოს ან დამკვიდრებული პრაქტიკის იარღიყო, ან ხასიათი შეიძლება გადამწყვეტი გახდეს სასამართლო საქმისათვის. სტოუნის და მაქრეარის ოლქის საქმეებში დეკალოგი დახასიათდა როგორც რელიგიური სიმბოლო და დაგმობილი იქნა³⁹⁷. ვან ორდენისა და ფლეზენთ გროვ სითის საქმეებში დაახასიათეს იგი როგორც ისტორიული ძეგლი და ნება დართეს, რომ მდგარიყო თავის ადგილზე³⁹⁸. ლინჩის საქმეში ქრისტეშობის სცენას დაარქვა უბრალოდ კომერციულად მომგებიანი სადღესასწაულო გაფორმება და მას ნება დართეს დარჩენილიყო³⁹⁹. ალეგენის ოლქის საქმეში ქრისტეშობის სცენას დაარქვეს საშობაო ამბის გამოსახულება და მისი ჩამოხსნა გახდა საჭირო⁴⁰⁰. პინეტმა დაარქვა ლათინურ ჯვარს კერძო გამოხატვის ფორმა, რომელსაც იცავდა სიტყვის თავისუფლების მუხლით⁴⁰¹; ფლეზენთ გროვ სითიმ დაარქვა დეკალოგს იმუნიტეტის მქონე სახელმწიფო გამოხატვის ფორმა სიტყვის თავისუფლების მუხლიდან გამომდინარე⁴⁰². ლინჩის საქმეში ქრისტეშობის სცენის ირგვლივ საერო დეკორაციებს ეფექტური ბუფერი დაარქვეს⁴⁰³. მაქრეარის ოლქის საქმეში დეკალოგის გარშემო მოთავსებული საერო დოკუმენტები კი სიცრუედ და შენიღბვად იქნა შეფასებული⁴⁰⁴. სტოუნი დეკალოგის მორალურ კოდექსად დასათაურებას უყურებდა როგორც ხრისტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა „მცნებების“ მბრძანებლურ ტონთან⁴⁰⁵. ალეგენის ოლქისათვის 45 ფუტიანი საშობაო ხის დასათაურება, როგორც „თავისუფლების სალუტი“ საკმარისი საკონსტიტუციო შირმა იყო მენორას დასაყენებლად⁴⁰⁶. ალეგენის ოლქის საქმეში ქრისტეშობის სცენის ორი წარწერა, რომლებსაც იმპერატიული დატვირთვა

³⁹⁵ გრეგორი ს. სისკი და სხვები (რედ.), სამართალწარმოება ფედერალური ხელისუფლების წინააღმდეგ, 529 (მე-4 გამოცემა, 2006).

³⁹⁶ ჯექმანი როსენბაუმის კორპორაციის წინააღმდეგ, 260 უზენაესი სასამართლო, 22, 31 (1922).

³⁹⁷ მაქრეარის ოლქი კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 844, 858 (2005); სტოუნი გრეპერმის წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო 39, 39 (1980).

³⁹⁸ ფლეზენთ გროვ სითი სუმუმის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125, 1126 (2009); ვან ორდენი პერის წინააღმდეგ, 545უზენაესი სსამართლო 677, 681 (2005).

³⁹⁹ ლინჩი დონელის წინააღმდეგ, 465 უზენაესი სასამართლო 668, 672 (1984).

⁴⁰⁰ ალეგენის ოლქი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის დიდი პიცბურგის დანაყოფის წინააღმდეგ, 492 უზენაესი სასამართლო 573, 578 -79 (1989).

⁴⁰¹ კაპიტოლიუმის შემოგარენის კონტროლისა და მრჩეველთა საბჭო პინეტეს წინააღმდეგ, 515 უზენაესი სასამართლო 753, 770 (1995).

⁴⁰² ფლეზენთ გროვ სითი, 129 უზენაესი სასამართლო 1126.

⁴⁰³ ლინჩი, 465 უზენაესი სასამართლო 668.

⁴⁰⁴ მაქრეარის ოლქი კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 844, 852 (2005).

⁴⁰⁵ სტოუნი გრეპერმის წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო 39, 39 (1980).

⁴⁰⁶ ალეგენის ოლქი „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ დიდი პიცბურგის დანაყოფის წინააღმდეგ, 492 უზენაესი სასამართლო 573, 635 (1989).

ჰქონდათ „დიდება უზენაეს ღმერთს“ და „წმინდა სახელის საზოგადოების შემოწირულობა“⁴⁰⁷ კონსტიტუციურად ფატალური აღმოჩნდა. ვან ორდენის საქმეში კი ჩათვალეს, რომ პატარა ნიშანი, რომელზეც ვკითხულობთ – „საჩუქარი... არწივების საძმოს კავშირის მიერ“ აქარწყლებდა ნებისმიერ კონსტიტუციურ 6 ფუტიან დეკალოგთან დაკავშირებით, რომელშიც ისეთი იმპერატივებია მოყვანილი, როგორიცაა: „შენ არ უნდა გყავდეს სხვა ღმერთი ჩემს გარდა“, „შენ ამაოდ არ უნდა ახსენო შენი ღმერთის სახელი“ და „გახსოვდეს შაბათის დღე, შეინახე წმინდად“⁴⁰⁸. როგორ შეფასებას მიიღებს სიმბოლო ან დამკვიდრებული პრაქტიკის დამახასიათებელი შეიძლება იყოს მისი საკონსტიტუციო ბედის გასაღები.

გეოგრაფიულ მდებარეობასაც აქვს მნიშვნელობა. კერძო საკუთრებაზე სახელმწიფოს მიერ დასპონსორებული გამოფენები, როგორიც იყო ლინჩის საქმეში⁴⁰⁹, უფრო განსხვავებულია, ვიდრე კერძო გამოფენები ხელისუფლების საკუთრებაზე, როგორც სტოუნისა და ალეგენის საქმეებში⁴¹⁰. გამოფენები ხელისუფლების საკუთრებაზე გამოჩენილ ადგილებზე, როგორიცაა „დიდი კიბე“ ალეგენის ოლქში⁴¹¹, ან მთავარი დერეფანი მაქრეარის ოლქის სასამართლოს შენობაში⁴¹², უფრო საეჭვოა, ვიდრე ისინი, რომლებიც ნაკლებად შესამჩნევ ადგილებზეა, მაგალითად, ალეგენის ოლქის მეორეხარისხოვანი შესასვლელი⁴¹³, ვან ორდენის მეორეხარისხოვანი ტროტუარი⁴¹⁴, ქალაქის პატარა პარკი ფლეზენთ გროვ სითიში⁴¹⁵, ან ეროვნული პარკის შორეული მიტოვებული კუთხე ბურნოს საქმეში⁴¹⁶. როგორც პინეტის საქმეში მხარეებმა აღმოჩინეს, მდებარეობა არ არის დაწესების დებულების გადამწყვეტი საკითხი ამ საქმეში შტატის კაპიტოლიუმის მიმდებარე ტერიტორიაზე რელიგიურ გამოფენებსა და ქმედებებს მხარი დაუჭირეს⁴¹⁷. მაგრამ მდებარეობა წარმოადგენს ფაქტორს ზოგიერთ საქმეზე და მდებარეობამ შეიძლება მთავარი როლი ითამაშოს, თუ იგი ძლიერ გავლენას ახდენს მოქალაქეებზე ან თუ ისინი განიცდიან სინამდვილეში ეფექტურ ძალდატანებას, რათა შეასრულონ ან მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში.

ეს წააგავს ძალდატანებას და მიჰყავს სასამართლო იქით, რომ დაადგინოს დაწესების დებულების დარღვევა როგორც სტოუნის საქმეში⁴¹⁸, ასევე სხვადასხვა სასამართლო საქმეებში საჯარო სკოლებში ლოცვების შესახებ⁴¹⁹.

⁴⁰⁷ იგივე, გვ. 573.

⁴⁰⁸ ვან ორდენის პერის წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 677, 707 (2005).

⁴⁰⁹ ლინჩი დონელის წინააღმდეგ, 465 უზენაესი სასამართლო 668, (1984).

⁴¹⁰ ალეგენის ოლქი, 492 უზენაესი სასამართლო 573; სტოუნი, 449 უზენაესი სასამართლო 39.

⁴¹¹ ალეგენის ოლქი, 492 უზენაესი სასამართლო 675.

⁴¹² მაქრეარის ოლქი აენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის“ წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 844, 852 (2005).

⁴¹³ ალეგენის ოლქი, 492 უზენაესი სასამართლო 573.

⁴¹⁴ ვან ორდენი პერის წინააღმდეგ, 545 უზენაესი სასამართლო 677, 677 (2005).

⁴¹⁵ ფლეზენთ გროვ სითი სუმუმის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125, 1134 (2009).

⁴¹⁶ ბურნი II, 371 F. მე 543, 549 (მე-9 საოლქო სასამართლო, 2004).

⁴¹⁷ კაპიტოლიუმის შემოგარენის კონტროლისა და მრჩეველთა საბჭო პინეტეს წინააღმდეგ, 515 უზენაესი სასამართლო 753, 770 (1995).

⁴¹⁸ სტოუნი გრევემის წინააღმდეგ, 449 უზენაესი სასამართლო 39 (1980).

⁴¹⁹ ლი ვეისმანის წინააღმდეგ, 505 უზენაესი სასამართლო 577 (1992); ვოლასი ვეფრის წინააღმდეგ, 472 უზენაესი სასამართლო 38 (1985); ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ, 370 უზენაესი სასამართლო 421 (1962).

მეოთხე ფაქტორია რელიგიური სიმბოლო ან დამკვიდრებული პრაქტიკა ბალანსირდება თუ არა სხვა საერო სიმბოლოებითა და ადათით. კერძოდ, როცა სახელმწიფო ასპონ-სორებს ან ათავსებს რელიგიურ სიმბოლოებს მათ საკუთრებაზე, უკეთესია ეს რელიგიური სიმბოლოები დაბალანსდეს შესაბამისი ზომის, წონის და უანრის არარელიგიური სიმბოლოებით. მაქრეარის ოლქის საქმე ცხადყოფს, რომ სასამართლოს შეუძლია მხარი დაუჭიროს მთავრობას, როცა სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ადგილი აქვს ხრისტებს⁴²⁰. მაგრამ, ქვედა ინსტანციის სასამართლოები ზოგადად თანაგრძნობას უცხადებდნენ სახელმწიფო ოფიციალურ პირებს, რომლებიც ცდილობდნენ რელიგიური და არარელიგიური გზავნილების დაბალანსებას საჯარო გამოფენაზე⁴²¹. ბალანსის შეფასებისას, ისინი მკაფიო გადაწყვეტილებას იღებენ იმასთან დაკავშირებით, დამაბალანსებელი სხვა სიმბოლოების მესიჯები არის თუ არა შესაფერისი უანრის სადაც სიმბოლოს რელიგიური თვისებები აშკარაა თუ უფრო აბსტრაქტული და რელიგიური სიმბოლო სახელმწიფო ფორუმისთვის შესაფერისია თუ არა⁴²². მაგალითად, რენესანსის პერიოდის „მადონა ჩვილით“ შეიძლება მშვენიერი იყოს სახელმწიფო მუზეუმის ფოიეში, მაგრამ არა სახელმწიფო კონგრესის შენობის შესასვლელში. ეს რბილი წესები უბრალოდ იმეორებენ იგივე აზრს, რომ კონტექსტს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა.

დასპონა და პოსტსპონატუმი⁴²³

სალაზარის და ლუკის სასამართლო საქმეების შედეგი არ იყო გარდაუვალი ცვალებადი პრეცედენტების გათვალისწინებით, რაც ხელმისაწვდომი იყო აშშ-ის უმაღლეს სასამართლოებში და ევროპაში. სავარაუდოდ, ვერც ერთი საქმე ვერ შეძლებს წერტილი დაუსვას მუდვივად სადაც საკითხს თუ რა კონსტიტუციური ადგილი უჭირავთ რელიგიურ სიმბოლებს სახლემწიფოს კუთნილ მიწაზე.

ამ სტატიის მომზადების დროს სალაზარი კიდევ ერთხელ წარსდგა მტკიცებულებებით ფედერალური საოლქო სასამართლოს წინაშე, რომელმაც უნდა გაარჩიოს მიწის გაყიდვაზე კონგრესის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა⁴²⁴. მას შემდეგ სანამ სალაზარის საქმე

⁴²⁰ იხ. მაქრეარის ოლქი კენტუკის „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კაგშირის წინააღმდეგ“, 545 უზენაესი სასამართლო 844 (2005).

⁴²¹ ფლეინთ გროვ სითო სუმისის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125, 1129 (2009) (ეხებოდა ათი მცხების განთავსებას კოლექციაში, რომელიც ძირითადად დიდწილად საერო ხელოვნების ნიმუშებს მოიცავდა და ლია გამოუყნაზე იყო წარმოდგენილი); ალეგრის ოლქი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების დიდი პიცბურგის დანაყოფის წინააღმდეგ, 492 უზენაესი სასამართლო 573, 635 (1989) (ეხებოდა საშპაო ხეს სხვა რელიგიურ და საერო სადღესასწაულო დეკორაციებს შორის).

⁴²² იხ. ალეგრის ოლქი, 492 უზენაესი სასამართლო 635.

⁴²³ ჯონ ვითი, უურნალი, მაღლა ასწიეთ ჯვარი? რელიგია სახალხო სიგრცეში, ჰაფინგტონ პოსტი (27 მარტი, 2011, 9:11pm), http://www.Huffingtonpost.com/john-witte-jr/lift-high-the-cross-lauts_b_840790.html.

⁴²⁴ იხ. სალაზარი ბურნოს წინააღმდეგ, 130 უზენაესი სასამართლო 1803,1820 (2010).

შეჩერებული იყო, მეცხრე საოლქო სააპელაციო სასამართლომ გამოაქვეყნა კიდევ ერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც შეაჩერა კიდევ ერთი მემორიალური ჯვარი, რომელიც ქალაქ სან დიეგომ მიჰყიდა კონგრესს, რითაც ეცადა, რომ დაეცვა იგი დაწესების დებულების გამოწვევისგან⁴²⁵. მიუხედავად იმისა, რომ სალაზარის საოლქო სასამართლომ მოითხოვა საქმის შეჩერება, ეს საქმე ისევ გასაჩივრდება იმავე მეცხრე საოლქო სასამართლოში და შესაძლებელია უზენაეს სასამართლოშიც კი.

ზუსტად მაშინ, როცა ეს სტატია უნდა დაბეჭდილიყო, ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს დიდმა პალატამ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც მხარს უჭერდა საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოფენის იტალიის პოლიტიკას და ამით შეცვალა ზემოთ მოცემული სასამართლოს 15 ერთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება⁴²⁶. დიდმა პალატამ განაცხადა, რომ ჯვარცმა არის რელიგიური სიმბოლო, რომ ათეიზმი არის დაცული რელიგიური რწმენა და რომ საჯარო სკოლები უნდა იყვნენ რელიგიურად ნეიტრალურნი⁴²⁷. მაგრამ სასამართლომ მხარი დაუჭირა იმასაც, რომ იტალიის დიდი ხნის პოლიტიკა ჯვარცმის „პასიური გამოფენის“ შესახებ, თითოეული საჯარო სკოლის საკლასო ოთახში არ იყო რელიგიური თავისუფლების დარღვევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველა რწმენის სტუდენტებს საჯარო სკოლებში თავისუფლად შეეძლოთ ეტარებინათ საკუთარი რელიგიური სიმბოლოები⁴²⁸. სასამართლომ შემდგომში დასკვნა, რომ იტალიის პოლიტიკა მხოლოდ ჯვარცმის გამოფენის თაობაზე არანაირად არ წარმოადგენდა რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევას, არამედ იგი მაჟორიტარული კათოლიკური კულტურის მისაღები დემოკრატიული ასახვა იყო⁴²⁹. იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპული ერები დაიყვნენ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ სად გამოეფინათ სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოები, სასამართლომ დაასკვნა, რომ იტალიას უნდა მიეცეს „შეფასების თავისუფლება“ რათა თვითონ გადაწყვიტოს როგორ და სად შეინარჩუნოს თავისი ქრისტიანული ტრადიციები სკოლაში⁴³⁰.

კიდევ ბევრია სათქმელი დიდი პალატის სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ლუცის საქმეში. მაგრამ აღსანიშნავი ის არის, თუ რამდენად ახლოსაა დიდი პალატის ლოგიკა აშშის უზენაეს სასამართლოს სამ სასამართლო საქმესთან რელიგიური სიმბოლოების შესახებ – ვან ორდენი, ფლეზენთ გროვ სითი და სალაზარი⁴³¹. მიუხედავად იმისა, რომ მათი პრაქტიკა მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს რელიგიური სიმბოლიზმის შესახებ, ამერიკისა და ევროპის უმაღლესი სასამართლოები ერთნაირად ემხრობიან 6 დოქტრინას.

პირველი, ამ საქმეებში ტრადიციას უნდა გაეწიოს ანგარიში. ამერიკის სასამართლოებში, როგორც დავინახეთ, უფრო ძველი რელიგიური გამოფენები არ განიცდიან ისეთ წი-

⁴²⁵ ტრუნკი სანდიეგოს წინამდევ, 629 F მე-3 1099, 1125 (მე-9 საოლქო სასამართლო 2011).

⁴²⁶ ლუცი II, იხილეთ ზემოთ შენიშვნა 14, სხვადასხვა ადგილზე.

⁴²⁷ იბ. იგივე, § 63-66.

⁴²⁸ იბ. იგივე § 73-74.

⁴²⁹ იბ. იგივე § 67,71.

⁴³⁰ იგივე § 68.

⁴³¹ იბ. ზემოთ ნაწილი II. დ-ე ქვეთავები.

ნააღმდეგობას, როგორც უფრო ახალი გამოფენები⁴³². საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიური სიმბოლოების დიდი ხნის არსებობა მიჩნეულია არა მარტო მისაღებად, არამედ აუცილებლობადაც კი, რათა განისაზღვროს, თუ ვინ ვართ როგორც ადამიანები. ლუცის საქმეში მოსამართლე ჯანელომ მოიყვანა ეს ძლიერი არგუმენტი თავისი აზრის გასამყარებლად: „შეუძლებელია ადამიანის უფლებების სასამართლომ დაუშვას, რომ იტანჯვებოდეს ისტორიული ალტერნატივური განვითარება დროში ან იგნორირება გაუკეთოს იმას, რაც საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა, რათა ჩამოყალიბებინა და განესაზღვრა ადამიანის პროფილი“⁴³³.

მეორე, რელიგიურ სიმბოლოებს ხშირად აქვთ შეძენილი კულტურული ღირებულება. ამერიკის სასამართლო დიდი ხანია ცნობს რომ დეკალოგი არა მარტო რელიგიური მცნებაა, არამედ, ამავე დროს, ის არის საერთო მორალური კოდექსი, რომ ჯვარი არა მხოლოდ ქრისტიანობის სიმბოლოა, არამედ იგი ამავე დროს სამხედრო მსხვერპლის მტკიცნეული მემორიალია⁴³⁴. როცა პასიურად და სწორადაა გამოფენილი, სიმბოლოს მნიშვნელობა შეიძლება აისახოს მაყურებლის თვალებში – ერთგვარი თავისუფალი ბაზრის ჰერმენევტიკა. ლუცის სასამართლო გამოეხმაურა ამ ლოგიკას. ცნო რა ჯვარცმა როგორც წარმოშობით რელიგიური, სასამართლომ მიიღო იტალიის არგუმენტი, რომ „ჯვარცმა ასევე სიმბოლო იყო თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის, რომელმაც „ჩამოაყალიბა დემოკრატიის საფუძვები“, ადამიანთა უფლებები იტალიაში და არა მარტო იტალიაში⁴³⁵.

მესამე, ადგილობრივი ფასეულობები იმსახურებენ პატივისცემას. შეერთებულ შტატებში ფედერალიზმის დოქტრინა მოითხოვს, რომ ფედერალურმა სასამართლომ პატივი სცეს ინდივიდუალური შტატების ადათ-წესებსა და პოლიტიკას, თუ არ არსებობს თავისუფალი რიტუალებისა და რელიგიის დაწესების ფედერალური კონსტიტუციური უფლებების აშკარა დარღვევა⁴³⁶. უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ეს დოქტრინა, რათა მხარი დაეჭირა ჯვრებისა და დეკალოგების პასიური გამოფენისათვის შტატის კაპიტოლიუმის შემოგარენში⁴³⁷. ლუცის სასამართლო ამგვარადვე გამოიყენებს ევროპის „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინას. რადგანაც რელიგიის საჯარო გამოფენის საკითხებში ევროპის კონსენსუსის ნაკლებობაა და არ მოიძებნა არავითარი რელიგიური იძულებითი რიტუალი ან ინდოქტრინაცია ამ საქმეებში, სასამართლოს აზრით, იტალიის გადასაწყვეტია, თუ როგორ დააბალანსებს კათოლიკური მაჟორიტარების რელიგიურ სიმბოლიზმს მისი ათეისტური უმცირესობის რელიგიური თავისუფლების და განათლების უფლების მიმართ⁴³⁸.

⁴³² იხ. ზემოთ ნაწილი II.

⁴³³ ლუცი II, იხილეთ ზემოთ შენიშვნა 14, პარ. 1. 1. (მოსამართლე ბონელოს თანმთხვევადი მოსაზრება).

⁴³⁴ იხ. ზემოთ ნაწილი II.

⁴³⁵ ლუცი II, იხ. ზემოთ შენიშვნა 14, § 67.

⁴³⁶ იხ. ზოგადად სტიუარტ დ. პოპელი, ფედერალიზმი, უზრდამენტური სამართლიანობა და რელიგიური დებულებები, 25 კაბერეტლანდის სამართლის კომენტარები 247 (1995) (განიხილავს რელიგიასა და ფედერალიზმის დოქტრინას შორის ურთიერთდამოკიდებულებას).

⁴³⁷ იხ. ზემოთ ნაწილი II.

⁴³⁸ იხ. ლუცი II, ზემოთ შენიშვნა 14, § 68.

მეოთხე, რელიგიური თავისუფლება არ მოითხოვს საზოგადოების სეკულარიზაციას. აშშ-ის უზენაესი სასამართლო ცნობილი გახდა სახელმწიფოსა და ეკლესიის გამოყოფის „მაღლალი და ურყევი“ კედლის იმიჯით⁴³⁹, რამაც რელიგია გახდა ჰერმეტულად გამოყოფილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტებისაგან და ჰერმენევტიკულად გამოყოფილი პოლიტიკური და ლეგალური არგუმენტებისაგან. მაგრამ დღევანდელი რეალობა ის არის, რომ უზენაესმა სასამართლომ მიატოვა დიდი ნაწილი თავისი მკაცრი სეპარატიზმისა და ახლა რელიგიურ და არარელიგიურ მხარეებს ერთნაირად აძლევს საშუალებას, რომ ჩაერთონ მშვიდობიან საზოგადოებრივ საქმიანობებში, საჯარო სკოლებშიც კი⁴⁴⁰. ასევე ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო ცნობილი გახდა საჯარო სკოლებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრანგული სტილის laicite-ს მხარდაჭერით, მხარი დაუჭირა რა მუსლიმანური თავისებურებისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების აკრძალვას, რომლებიც, მისი აზრით, არ შეესაბამებოდა დემოკრატიული „ტოლერანტობის, სხვების პატივისცემისა და... თანასწორუფლებიანობის და არადისკრიმინაციის⁴⁴¹“ იდეებს. ლუცი გვთავაზობს ახალ პოლიტიკას, რომელიც თანაბრად სცემს პატივს კერძო რელიგიური და არარელიგიური ჯგუფების უფლებებს, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, მაგრამ საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, დემოკრატიულად გამოავლინოს უმრავლესობის ტრადიციული რელიგიური შეხედულებები⁴⁴².

მეხუთე, რელიგიური თავისუფლება არ უზღუდავს უმცირესობას სიტყვის თავისუფლების უფლებას (Heckler's Veto) მაჟორიტარულ პოლიტიკაზე. აქამდე, აშშ-ის სასამართლოები ნებას რთავდნენ გადასახადების გადამხდელებს, ედავათ ნებისმიერ კანონზე, რომელიც შეეხებოდა რელიგიას, მაშინაც კი, თუ იგი არ აყენებდა მათ არანაირ პიროვნულ ზიანს⁴⁴³. ეს ეფექტურად აძლევდა სეკულარისტებს საშუალებას, „ვეტო“ დაედოთ სხვადასხვა კანონებსა და პოლიტიკაზე რელიგიასთან დაკავშირებით, რაც არ უნდა ძველი, გავრცელებული ან პოპულარული ყოფილიყო ეს კანონები⁴⁴⁴. უზენაესმა სასამართლომ ახლა მნიშვნელოვნად შეამჭიდროვა წესები სარჩელის ალძრის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, რითაც აიძულებს მხარეებს, კანონმდებლობის ცვლილებისთვის საკანონმდებლო ორგანოში იბრძოლონ ან მიაღწიონ ინდივიდუალურ განთავისუფლებას საერთო პოლიტიკიდან, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ რწმენას⁴⁴⁵. ლუციც ამას უჭერს მხარს. ის აღიარებს რომ თუ ჯვარცმას შეუძლია გამოიწვიოს ლუცის შეურაცხვოფა, ჯვარი ამავე დროს წარმოადგენს მილიონობით სხვა ადამიანისთვის სათუთ კულტურულ ფასეულობას, იმათ-სას, ვინც შეურაცხვოფილი არიან ლუცის შეხედულებებით⁴⁴⁶. მაგრამ პიროვნული შეუ-

⁴³⁹ ევერსონი განათლების ბორდის წინააღმდეგ, 330, უზენაესი სასამართლო 1, 18 (1947).

⁴⁴⁰ იხ. ზემოთ ნაწილი II.

⁴⁴¹ დალაბი შვეიცარიის წინააღმდეგ, 2001 ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო 463.

⁴⁴² იხ. ლუცი II, ზემოთ შენიშვნა 14, § 63-77.

⁴⁴³ შეადარეთ, ფლეზენთ გროვ სითო სუმუმის წინააღმდეგ, 129 უზენაესი სასამართლო 1125 (2009).

⁴⁴⁴ შეადარეთ, იგივე გვ. 1131 (ციტატა ჯოანსი ლივსტოკის მარკეტნგული ასოციაციის წინააღმდეგ. 544 უზენაესი სასამართლო 550,574 (2005) (მოსამართლე საუტერის განსხავებული მოსაზრება).

⁴⁴⁵ იხ. იგივე.

⁴⁴⁶ იხ. ლუცი II, ზემოთ შენიშვნა 14, § 63-77.

მაღლა ასწიეთ ჯვარი?

რაცხოფა არ შეიძლება საფუძველი იყოს ცენზურისათვის⁴⁴⁷. რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლება მოითხოვს, რომ ყველა ადამიანის შეხედულება გაუღერდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში⁴⁴⁸.

ბოლოს, რელიგიური სიმბოლიზმის საქმეები რთული საქმეა. როგორც უკვე ვთქვით შესავალში, ადვილია იყო ცინიკური ამ საქმეებთან დაკავშირებით. მაგრამ დავის მაღალი ტემპერატურა და საერთაშორისო მედიის ყურადღების ფოკუსირება ამ საქმეებზე გვაფიქრებინებს, რომ რელიგიური სიმბოლიზმის საქმეები სიმბოლურად მნიშვნელოვანია დემოკრატიული კულტურისათვის. ეს საქმეები წარმოადგენენ აუცილებელ ფორუმს, რათა მშვიდობიანად განვავითაროთ ლრმა კულტურული განსხვავებანი და მოვქებნოთ ორივე – ტრადიციებისა და თანამედროვე კულტურის გარდაუვალი ცვალებადობის უზრუნველყოფის გზები.

⁴⁴⁷ იგივე.

⁴⁴⁸ იგივე.